პირადი ანგარიშსწორება - არასამთავრობოთა მთავარი ეჭვი

A7

ჭიკაშვილი ავადმყოფების მატებას ელოდება

B1

პრეზიდენტის ახალი კადილაკი

B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 22 თებერვალი, 2005 წელი. №40 (900)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

"პრეზიდენტს პარაშუტი გაეხსნა..."

"კონსერვატორები" აქტიურ ქმედებებზე გადავიდნენ და მთავრობას შრომის ვეტერანები აუმხედრეს. გუშინ პარლამენტში "კონსერვატორთა" ლიდერები შრომის ვეტერანთა პარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

A2

ეკონომიკა

ბაზრებში და ბაზრობებზე თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია იკრძალება

ფინანსური პოლიცია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის აკრძალვას გააკონტროლებს.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

ამინდი

	22/2	23/2	24/2
თბილისი	12	9	13
ქუთაისი	13	14	16
ბათუმი	14	16	16
სოხუმი	12	12	14
ფოთი	14	16	17
თელავი	9	7	12
ზუგდიდი	14	15	16
გორი	8	6	11
ახმეტა	9	7	12
ჭიათურა	9	9	13
გაბარა	10	11	13
სამტრედია	14	14	17

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8350
ევრო	2.3960
ბირვანქა სტერლ.	3.4815
რუბლი	0.0657

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
ეკონომიკა	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
საზოგადოება	A6	მეცნიერება	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

უმრავლესობამ პრეზიდენტის მორიგი მადლობა დაიმსახურა

გუშინ, საღამოს ხუთი საათისთვის, პარლამენტში დაწყებული უმრავლესობის სხდომა, მოულოდნელად, სახელმწიფო კანცელარიაში გაგრძელდა. სხდომის დაწყებიდან, დაახლოებით, ოც წუთში, პარლამენტის კინოდარბაზში შეკრებილმა პარლამენტარებმა მოულოდნელად გაიგეს, რომ მათ პრეზიდენტი იბარებდა. შესაბამისად, სხდომა შეწყდა და უმრავლესობამ სახელმწიფო კანცელარიაში გადაინაცვლა.

როგორც ცნობილია, გუშინ ჟურნალისტებს სახელმწიფო კანცელარიის შენობაში გადაადგილება აეკრძალათ. ასე რომ, უმრავლესობის პრეზიდენტთან შეხვედრისა და სხდომის მიმდინარეობის თაობაზე კომენტარების მოსმენა მხოლოდ ტელეფონებით იყო შესაძლებელი.

როგორც ჩვენთან საუბარში რამდენიმე დეპუტატმა განაცხადა, პრეზიდენტმა უმრავლესობის წევრებს მადლობა გადაუხადა საკონსტიტუციო ცვლილების მიღების დროს გამოჩენილი ერთსულოვნებისა და მობილიზაციისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მეორე და მესამე მოსმენის დროსაც უმრავლესობა ასეთი ერთიანი იქნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

პარლამენტის "დასაკლავი დანა", შესაძლოა, იქვე ილესება

გიორგი ასანიშვილი

დღევანდელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტი მეორე მოსმენით განიხილავს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, რომელიც დეპუტატთა რიცხოვნობის 235-დან 150-მდე შემცირებას ითვალისწინებს. უახლოეს დღეებში მოხდება დოკუმენტის მესამე მოსმენით მიღებაც. გასაგებია, რომ 2003 წლის 2 ნოემბერს გამართულ რეფერენდუმზე გამოვლენილი ხალხის ნება უნდა აღსრულდეს. გაუგებარია მხოლოდ ის, თუ რატომ სურს ხელისუფლებას ყოველივე ამის "სტახონოვური მეთოდით" დაკანონება.

ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, თუ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდებოდა და დეპუტატთა "სეკვესტრი" უშუალოდ 2007 წლის "გეგმიური" საპარლამენტო არჩევნების წინ განხორციელდებოდა. მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილი, ეტყობა, ამ დრომდე მოცდას არ აპირებს. მისი სურვილი, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები საკანონმდებლო ორგანომ დაჩქარებული წესით მიიღოს, ალბათ, შემდეგზე მიანიშნებს: მზადდება 2004 წლის მოწვევის პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების გზით, უფრო "კომპაქტური" საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ჯორჯ ბუშის ევროპული ტურნე

პოზიციათა დაახლოების მცდელობა თუ მორიგი უშედეგო სამიტი

ხათუნა გაბიევი

ევროპაში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტს დასავლურ სამყაროში ერაყის ომის შემდეგ ორი გაუცხოებული მხარის პოზიციების დაახლოების მცდელობა შეიძლება ეწოდოს. აშშ-ს პრეზიდენტის ევროპული ტურნე კვირას ბრიუსელში ვიზიტით დაიწყო. ევროპელ კოლეგებთან აშშ-ს ლიდერის მოლაპარაკებების ძირითადი თემები ჩინეთისათვის იარაღის მიყიდვა, ირანის ბირთვული პროგრამა, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი და დედამიწის კლიმატის გაკონტროლებაა. "ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ალიანსი ახალ საუკუნეში ჩვენი უსაფრთხოების უმთავრესი საყრდენია. ჩვენი მყარი მეგობრობა უმთავრესია მსოფლიო მასშტაბით მშვიდობისა და აღმშენებლობისათვის. ამდენად, ვერავითარი დროებითი უთანხმოება და დედამიწის ზურგზე ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ჩვენს დაპირისპირებას,"- აღნიშნა ბუშმა. მისი თქმით, აშშ-სა და ევროპის ურთიერთობებში ახალი ერა იწყება და სწორედ ამ კონტექსტში ამერიკა მოკავშირის რანგში ძლიერი ევროპითაა დაინტერესებული. "მოვიდა დრო, გვერდზე გადავდოთ ძველი უთანხმოება და წინ გადავდგათ ნაბიჯი,"- განაცხადა ევროპაში ვიზიტის წინ ჯორჯ ბუშმა. მან მოუწოდა ევროპელ კოლეგებს თანამშრომლობისაკენ, რომელიც წერტილს დაუსვამს რიგ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას. ერაყის გარდა, დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანის ბირთვულ პროგრამასა და სირიის საკითხს უკავია. ირანის ხელისუფლებასთან ბირთვული პროგრამის შეჩერების შესახებ ევროპული სახელმწიფოები, კერძოდ, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ადრეც აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

ისარგებლეთ 24 საათი & იკითხეთ

იხილეთ B3 გვერდზე

მძიმე სავარძლები

სოხუმში ძალოვან მინისტრებად გადამდგარი რუსი გენერლები დაინიშნებიან

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

გასულ კვირას ახალმა ხელისუფლებამ პირველი საკადრო გადაწყვეტილებები მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებისთვის მხოლოდ ორკვირიანი კონსულტაციებია საჭირო და, შესაბამისად, დროც საკმაოდ ცოტა რჩება, მინისტრთა კაბინეტის სავარძლების გადანაწილებასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, მხოლოდ არაოფიციალური ინფორმაციაა გავრცელებული.

ახალმა პრეზიდენტმა და მისმა "მარჯვენა ხელმა" ხაჯიმბამ მხოლოდ რამდენიმე თანამდებობის განაწილება შეძლეს. მთავრობის ხელმძღვანელი, როგორც იმთავითვე იყო მოსალოდნელი, გახდა ალექსანდრ ანქვაბი. ბაგაფშის გუნდიდან ვიცე-პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი სტანისლავ ლაკობა ეროვნული უშიშროების საბჭოს ჩაუდგა სათავეში. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა დაინიშნა. სოხუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი კი ტურიზმისა და სპორტის ყოფილი მინისტრი ასტამურ ადლეიბა გახდა.

თუ ანქვაბისა და ლაკობას შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნა პროგნოზირებადი იყო, არშბასა და ადლეიბას წარმატებები უმრავლესობისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

თავის დროზე, გაერთიანებული ოპოზიციის მხარეს გადასული არშბა, ცხადია, ელოდებოდა გარკვეულ კომპენსაციას ყოფილ პრეზიდენტთან არძინბასთან გაფუჭებული ურთიერთობების სანაცვლოდ. თუმცა, მისი დანიშვნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ახალ ხელისუფლებას არ სურს, პოლიტიკურ პროცესებზე ამ უწყებამ გარკვეული გავლენა იქონიოს. ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას, არშბას ლამის ერთადერთი ფუნქცია იყო აფხაზეთის პრეზიდენტის დავალებით სხვადასხვა ჯილდოების გაცემა. მაშინაც კი, როდესაც არძინბა, ავადმყოფობის გამო, ქვეყანას ვეღარ მართავდა, არშბას მართვის სადავეების ხელში აღება არ უცდია. ამდენად, საეჭვოა, რომ ახალმა ხელისუფლებამ არშბას დღეს რაიმე სერიოზული სამუშაო ანდოს.

ასტამურ ადლეიბას სოხუმის მერის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა, რასაკვირველია, პირველ რიგში იმის გამო მოხდა, რომ ეს ადამიანი ბოლო დროს აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არანაირად არ მონაწილეობდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ყარაულში ქალები დგანან

სამხედრო გაწვევა სიურპრიზებით

ქრება ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც არმიის აღმშენებლობა პირველი რიგის პრიორიტეტად გამოაცხადა, კიდევ ერთხელ მოუწევს ამ დეკლარაციის საქმით დამტკიცება.
თებერვლის შუა რიცხვებიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო საგაზაფხულო გაწვევის კამპანია, რომელმაც სამხედრო ძალების რიგები 4500 წვევამდელით უნდა შეავსოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

თამარ ხორბალაძის სვეტი

ერთი გადაწყვეტილების გამო...

გუშინ საქართველოს კანცელარიაში საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ჟურნალისტებისთვის ახალი წესების დამკვიდრება გადაწყვიტა: პირველ და ყველა დანარჩენ სართულებზე ასვლა-ჩასვლა აკრძალული ჟურნალისტები გუშინ დამფრთხები აწყდებოდნენ სახელმწიფო კანცელარიის მოლუშულ კედლებს, თვალს უსწორებდნენ კიბეების გასასვლელში დაყენებულ დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს (ძველი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახალმა ჟურნალისტებს კედელზე ვიდეო და ფოტოგადაღების ამკრძალავი პლაკატების გაკვრა არ აკმარა) და სიცივისაგან ძაგძაგებდნენ უკვე მესამე სართულზე გადატანილ ჟურნალისტთა სამყოფელში, საიდანაც შენობაში შესასვლელი არც ერთი კარის მისადგომები არ ჩანს და სადაც აბსოლუტურ ვაკუუმში ხარ მოქცეული.

თუმცა იმ თაობის ჟურნალისტისთვის, ვისაც ედუარდ შევარდნაძის დროს კანცელარიის პირველი სართულის კიბეები 24 საათის განმავლობაში უკვე "უხეხია", სახელმწიფო კანცელარიაში ახალი შეზღუდვების შემოღება ხელისუფლების მხრიდან ამ ხელისუფლების პრობლემების თაობაზე გაკეთებული მინიშნება უფროა, ვიდრე - პრესის შეზღუდვაზე.

თქვენი მონა-მორჩილი ჟურნალისტი იმ პერიოდსაც მოესწრო, როცა სამთავრობო სხდომები ღია იყო და იმ პოლიტიკურ შოუებზე, რომელსაც ნაკლებად პომპეზურად, მაგრამ საკუთარი ხელწერით აწყობდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, დასწრება, ფაქტობრივად, თავისუფალი გახლდათ.

პრესის თავისუფლება - სამთავრობო ჩინების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შევარდნაძის ხელისუფლების შესუსტების პირდაპირპროპორციულად მცირდებოდა.

ჯერ იყო და - ჟურნალისტები სამთავრობო საოთხშაბათო შეხვედრების ოთახიდან გამოაძევეს და სარდაფში მონიტორთან დასვეს, სადაც სხდომის ოფიციალური დიალოგები ჟურნალისტებისთვის "ხელმისაწვდომი" გახდა;

შემდეგ ეტაპზე აიკრძალა ჟურნალისტების ასვლა მეთორმეტე სართულზე, სადაც მთავრობის წევრი და მომხსენებელი სამთავრობო სათათბირო ოთახიდან გამოსვლის დროს შეიძლება "გამოგეჭირა";

შემდეგ პირველ და მესამე სართულებზე გადაღება აიკრძალა, საიდანაც იმჟამინდელი სამთავრობო ბლოკის წარმომადგენლები და მთავრობის წევრები მოძრაობდნენ და სადაც ლიფტის კართან ფეხის დადების გზით შეგეძლო ჩაგეწერა ესოდენ ნანატრი და მნიშვნელოვანი კომენტარი იმის თაობაზე, რომ "კომენტარი არ გაკეთდება".

ყველაფერი კი, ყველას კარგად მოეხსენება - კანცელარიაში "ღია კარის დღის" გამოცხადებით და პრეზიდენტის სკამად შერაცხული მორიგე ქალის სკამის სახალხოდ დაწვით დასრულდა.

ზუსტი ანალოგიების მოტანა ამ თვალსაზრისით, იქნებ, უადგილოც იყოს, თუმცა ფაქტია, რომ "ცივილიზებულობის" დროშით შემოთავაზებული ცვლილებები მეტად წააგავს ქართული მედიის კიდევ უფრო მეტად (თუ ასეთი რეზერვი ჯერ კიდევ დარჩა) დამორჩილების მცდელობას, რაც მას ხელისუფლების ხმამაღალი პიარ-აქციების გამშუქებლის არცთუ სახარბიელო როლისთვის საბოლოოდ შეამზადებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო გადაწყვეტილებაში აშკარად იკვეთება მედიისთვის ინფორმაციის კიდევ უფრო მეტად დახურვის მცდელობა (ჟურნალისტები ისედაც უკვე საკმაოდ წუხდნენ იმაზე, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საინტერესო ინფორმაცია ქვეყანაში ნაკლებად ხელმისაწვდომია), მასში დადებითი მხარის მოძებნა მაინც შეიძლება: ზოგისთვის ეს "დადებითი", შესაძლოა, ის იყოს, რომ ჟურნალისტები აღარ ირბენენ კანცელარიის დერეფნებში, როგორც ნაღირზე დაგეშილი მაძებრები, აღარ გაჭედავენ ლიფტებს და აღარ "ურტყამენ" თავებში და ცხვირებში მიკროფონებს რესპონდენტებს, რომელთაც კომენტარის გაკეთება ჟურნალისტისთვის გაღებულ მოწყალებად მიაჩნიათ.

პირადად ჩემთვის ჟურნალისტებისთვის შექმნილი ახალი წინაღობები იმის სიგნალი გახლავთ, რომ თავის ოდნავ მაინც პატივისმცემელმა მედიამ თავი უნდა დაანებოს სახელისუფლებო ჩინების უაზრო და უშინაარსო კომენტარებზე საინფორმაციო გამოშვებების აგებას, უნდა გამოვიდეს სახელმწიფო კანცელარიიდან და ქვეყანაში არსებული სიტუაციის მხოლოდ სახელისუფლებო კაბინეტების ფანჯრებიდან ყურებაზე უარი თქვას.

თავის ოდნავ მაინც პატივისმცემელმა მედიამ უნდა ცადოს ღირებული თემების პოვნა კანცელარიის პირველ სართულზე პრეზიდენტთან თუ ახალ პრემიერთან მიმსვლელ-მომსვლელისთვის ჩასაფრების გარეშე და ამ თემებს "მოარგოს" სახელისუფლებო ჩინოვნიკთა კომენტარები და - არა პირიქით.

თავის ოდნავ მაინც პატივისმცემელმა მედიამ უნდა დაძლიოს ჩინოვნიკთა "ამალაში" ყოფნისა და ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პიარ-აქციების უნებური მონაწილის უკვე საფუძვლიანად მორგებული როლი და ეს თემები არა პირველი პირების პრეს-მდივანთა ერთ ფურცელზე ჩამოწერილ, გაჭირვებით ჩაკითხულ განცხადებებში, არამედ - სანდო და ექსკლუზიური წყაროების, ექსპერტების, ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მონიტორინგის განხორციელების და სხვა ცივილური, როგორც საქართველოს პრეზიდენტი იტყოდა - ამერიკული თუ ევროპული სტანდარტების შესაბამისი გზებით იშოვოს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს მედია "ამერიკულ თუ ევროპულ სტანდარტებს", ამ შემთხვევაში გახდება რეალურად ანგარიშგასაწევი "მეოთხე ხელისუფლება" და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუქმნის უხერხულობას ხელისუფლებას, რაც მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გახლავთ - ის ფუნქცია, რომელიც დღევანდელმა მედიამ, როგორც ასაკმიღწეულმა სკლეროზიანმა ქალმა, უკვე საფუძვლიანად და საგულდაგულოდ დაივიწყა.

რეგიონი

გურჯაანელი მძღოლები გაიფიცნენ

უკვე რამდენიმე თვეა, რაც გურჯაანელი ავტობუსის მძღოლები სიმართლის გასარკვევად რაიონის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართავნენ, მაგრამ მათი კითხვები დღემდე უპასუხოდ რჩება. ისინი კერძო ტაქსებზე ლიცენზიის და მოსაკრებლების დაწესებას მოითხოვენ. **"ტაქსის მძღოლებმა თუ სახელმწიფოს ბიუჯეტში არანაირი გადასახადი არ უნდა გადაიხადონ, ჩვენ რაღა დავაშავეთ?"** - კითხულობენ ავტობუსების მძღოლები, რომლებმაც გუშინ დილიდან საპროტესტო აქცია გამართეს და მთელი დღის განმავლობაში წნორი-კარდენახი-გურჯაანის მიმართულებით მოძრაობა პარალიზებული იყო. **"ჩვენ დაგვიწესეს, რომ, გყავს თუ არა მგზავრი, ბიუჯეტის სასარგებლოდ ყოველდღიურად 8 ლარი უნდა გადავიხადოთ. სად არის სამართალი!"** - ამბობს მძღოლი ავთანდილ ბერიკაშვილი. ის, რომ გურჯაანის რაიონში ტაქსის მძღოლებს არანაირი სერტიფიკატი და გადასახადები არა ქვთ დაწესებული, კერძო სამგზავრო მსუბუქი მანქანების მძღოლები თავადაც ადასტურებენ. შექმნილ გაუგებრობას კი, სს "გურჯაანის ავტოსატრანსპორტოს" დირექტორი ალექსანდრე დათუკიშვილი იმით ხსნის, რომ დღემდე არ არსებობს კანონი ან დაწესებულება, რომლიც კერძო ტაქსის მძღოლების მუშაობას გააკონტროლებს. **"თავიდან თითქოს დაწესებული იყო კერძო ტაქსებზე და მიკროავტობუსებზე მოსაკრებლები, მაგრამ თავი დიდხანს ვერ დაიჭირა. რაც შეეხება ჩვენს დაწესებულებას, მხოლოდ სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი ავტოტრანსპორტის გაკონტროლება გვევალება,"** - აცახადებს ალექსანდრე დათუკიშვილი.

ამ დროისთვის გურჯაანის რაიონში ასამდე კერძო ტაქსი მოძრაობს და ორმოცდაათამდე სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი ავტობუსია. იმ შემთხვევაში, თუ რაიონის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი კვლავ უყურადღებოდ დატოვა, სამგზავრო ავტობუსის მძღოლები უკვე ფარტომასშტაბიან აქციებს გეგმავენ.

24 საათი

მძიმე სავარძლები

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ადლეიბა ტურიზმისა და სპორტის მინისტრობიდან ჯერ კიდევ არძინბამ გაათავისუფლა და ეს უწყება საერთოდ გააუქმა. ასე რომ, დღეს ცოტა ვინმე თუ ხედავს რაიმე ლოგიკას ადლეიბას უეცარ დაწინაურებაში. სოხუმის მერიის თანამშრომლებს ადლეიბა თავად ბაგაფშმა წარუდგინა. მერიის თანამშრომლებს ბაგაფშმა ასეთი არგუმენტი მოუტანა: "ომის შემდეგ ადლეიბამ კარგად გამოიჩინა თავი. სამეურნეო პოტენციალის განადგურების პერიოდში მან სოხუმის ერთ-ერთი ტურისტული ობიექტის, სასტუმრო "აიტარის" გადარჩენა შეძლო." ამ არგუმენტმა, როგორც ჩანს, არ დააკმაყოფილა "ამცახარას" ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებმაც ამ დანიშვნის გამო დიდი უკმაყოფილება გამოხატეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ასე ნაჩქარევი დანიშვნა (ჯერ მთავრობაც კი არ არის ფორმირებული) მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ბაგაფშს სურს, სოხუმის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლისგან ადგურ ხარაზიასგან რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლდეს. ამ ჩინოვნიკზე გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული გურრიფშის რაიონის პროკურორის ცემის ფაქტზე. სოხუმის მერად ადლეიბას დანიშვნის შემთხვევაში, ბაგაფში იმავე შეცდომას იმეორებს, რასაც ძველი ხელისუფლება უშვებდა და რის გამოც არძინბა ოპოზიციის კრიტიკას იმსახურებდა. საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პრეზიდენტმა მხოლოდ ადგილობრივი დეპუტატების რიგებიდან უნდა შეარჩიოს. ამდენად, ტრადიციად იქცა შემდეგი სქემა: პრეზიდენტი ნიშნავს მერის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც ადგილობრივ დეპუტატთა რიგებიდან არ არის შერჩეული, შემდეგ იმართება არჩევნები, პრეზიდენტის ფავორიტს, ცხადია, ბედი სწყალობს და ამის შემდეგ პრეზიდენტი ნიშნავს ამ ადამიანს სრულუფლებიან მერად, ყოველგვარი ბოლოსართის - "მოვალეობის შემსრულებლის" გარეშე.

დანიშნა რა მერის მოვალეობის შემსრულებლად ადლეიბა, რომელიც ადგილობრივი დეპუტატიის წევრი არ არის, ბაგაფშმა, ისევე როგორც მისმა წინამორბედმა, კანონი დაარღვია.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბაგაფშს ადგილობრივ დეპუტატთა რიგებში დიდი არჩევანი არ ჰქონია. სოხუმის საქალაქო საბჭომ, უკვე კარგა ხანია, ღიად განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლება არ მოსწონს, ხოლო საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე გივი გაბნია ახალი ოპოზიციური ალიანსის ერთ-ერთ ლიდერადაც გვევლინება.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ სტანისლავ ლაკობას დანიშვნა უპირობოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ისტორიკოსი, პროფესორი ლაკობა საკმაოდ შორსაა ძალოვანი სტრუქტურებისგან, რომელთა ხელმძღვანელობაც მას მოუწევს. გასაგებია, რომ მისი დანიშვნა ხაჯიმბას გასანეიტრალებლად გადაწყდა. სწორედ ხაჯიმბას პრეროგატივა იქნება ძალოვანი სტრუქტურების კონტროლი, ლაკობა კი სამხედროებზე ხაჯიმბას გავლენის განეიტრალებას შეეცდება.

ჟურნალისტებისა და მთავრობის ყოფილი ჩინოვნიკებისთვის ახალი მთავრობის ზოგადი შტრიხები უკვე ცნობილია. დანიშვნები ამ კვირის განმავლობაში განხორციელდება.

ზოგიერთი პოტენციური მინისტრის გვარი დიდ კრიტიკას იმსახურებს. პირველი ვიცე-პრემიერი, ალბათ, ბესლან კუბრავა გახდება. ცნობილია, რომ მის კანდიდატურას აქტიურად ლობირებს ანქვაბი. ანქვაბი მიიჩნევს, რომ კუბრავა ძლიერი ეკონომისტია. იგი წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იყო ეკონომიკის მინისტრი, აქვს ვიცე-პრემიერად მუშაობის გამოცდილებაც, აგრეთვე, მუშაობდა მთავრობის აპარატის ხელმძღვანელად. მომავალ სამთავრობო სისტემაში კუბრავას ახალ სახეს ვერ დაარქმევ.

მეორე ვიცე-პრემიერად დანიშვნაზე უარი განაცხადა "აიტაირას" ლიდერმა ლეონიდ ლაკერბაიამ. ლაკერბაიამ პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" რეფორმირება ამჟობინა. მას გადაწყვეტილი აქვს, ეს ორგანიზაცია სერიოზულ პარტიად აქციოს. დღეისათვის უცნობია, ვინ გახდება მეორე ვიცე-პრემიერი. თავდაცვის მინისტრად მუჰამედ კილბა დაინიშნება. ის ფაქტი, რომ ამ უწყებას კილბა უხელმძღვანელებს, იმის მანიშნებელია, რომ საკადრო პოლიტიკას ამ უწყებაში ხაჯიმბა განახორციელებს. თავდაცვის მინისტრად კილბას დანიშვნას, თავის დროზე, არძინბაც ცდილობდა. მაშინ ბაგაფში ამ დანიშვნის წინააღმდეგ გამოდიოდა. არის ინფორმაცია, რომ კილბას პრობლემები აქვს ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამართალდამცავებთან, სადაც იგი ადრე ცხოვრობდა.

თანამდებობას კარგავს გენერალური შტაბის უფროსი ვლადიმერ არშბა. მის ადგილს, სავარაუდოდ, თავდაცვის მინისტრის ამჟამინდელი მოადგილე ვიქტორ ზაიცევი დაიკავებს. არშბა პროფესიონალი სამხედროა, რომელსაც ავღანეთისა და ყარაბახის სკოლები აქვს გავლილი. არშბას თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ იგი ქვეყანაში მეორე პირის პოზიციის დაკავებას უშედეგოდ ცდილობდა. არჩევნებზე იგი სერგეი შამბასთან ერთად გამოდიოდა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოდა. ბაიცევიც პროფესიონალი სამხედროა. ადრე იგი რუსეთში ბაიკალისპირეთის სამხედრო ოლქს სარდლობდა.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, ამ უწყებების საკადრო პოლიტიკაში ანქვაბის გავლენა იგრძნობა. ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად ვინ ჩაუდგება ამ უწყებებს სათავეში, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, ამ უწყებების ხელმძღვანელები გადამდგარი რუსი ძალოვნები იქნებიან. ბაგაფშის გუნდში კარგა ხანია საუბრობენ იმაზე, რომ შსს და უშიშროების სამსახური აფხაზეთში კორუმპირებული კავშირების არმქონე პირებს უნდა ჩაბარდეს.

საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი საგარეო საქმეთა მომავალი მინისტრის საკითხიც. ცნობილია, რომ ეს თანამდებობა აფხაზეთის ქალთა ასოციაციის ლიდერს ნათელა აკაბას შესთავაზეს, თუმცა აკაბა "ჯერ ფიქრობს." ძალიან ბევრი ამბობს იმასაც, რომ, თუ აკაბა მართლაც დაინიშნება საგარეო საქმეთა მინისტრად, ეს იქნება ყველაზე წარმატებული საკადრო გადაწყვეტილება ახალი ხელისუფლების მხრიდან. აკაბას იცნობენ საქართველოს და რუსეთის არასამთავრობო და დიპლომატიურ წრეებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ვიდრე არ არის მთავრობა, არ არის არც ხმაურიანი გადაწყვეტილებები, რასაც ასე ელოდება საზოგადოება. ჯერჯერობით, ახალი პრემიერის, ანქვაბის მთავარი საქმიანობა სატელევიზიო პიარია. სახელმწიფო ტელევიზია აქტიურად აშუქებს ანქვაბის გაცნობით საქმიანობას თანამშრომლებთან და სამთავრობო წრეებთან. ტელეკამერების წინ ის "დაუღალავი მუშაობის" აუცილებლობაზე და "პროფესიონალი კადრების საჭიროებაზე" საუბრობს.

ანქვაბს ამ საქმიანობაში ბაგაფშიც არ ჩამორჩება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის უფრო ძველი ხელისუფლების ჭეშმარიტი სახის გამოაშკარავებითაა დაკავებული. **"ხაზინა ცარიელია, ფონდები ცარიელია, წელიწადი დაკარგულია,"** - აცხადებს ბაგაფში ყველა შეხვედრაზე.

ახალი ხელისუფლების მოსვლა ვიზუალურად მხოლოდ სამთავრობო შენობათა კომპლექსს დაეტყო. აქ დაგებულია ახალი ასფალტი, ქუჩაში დამონტაჟდა ახალი ფანრები, გახსნილია პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის მთავარი შესასვლელი, რომელიც არძინბას დროს არ ფუნქციონირებდა.

მოკლედ, აფხაზეთის ახალი ხელისუფლება რეალური ნაბიჯების გადადგმას, ჯერჯერობით, არ ჩქარობს. ამ ეტაპზე მხოლოდ საკადრო პოლიტიკით შემოიფარგლებიან. ის რომ, ამ საკადრო პოლიტიკის შედეგებით ბევრი უკმაყოფილო დარჩება, დღესაც ცხადია. ახალი მთავრობის შემადგენლობაში არ აღმოჩნდება ძალიან ბევრი პირი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აფხაზური "ხავერდოვანი რევოლუციის" ავანგარდში იდგა.

"პრეზიდენტს პარაშუტი გაეხსნა..."

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უარი თქვა კონსერვატორების მოთხოვნის გათვალისწინებაზე, რომელიც დამსახურებებისა და სტაჟის მიხედვით პენსიების გაცემას ეხება, "კონსერვატორები" აქტიურ ქმედებებზე გადავიდნენ და მთავრობას შრომის veტერანები აუმხედრეს. გუშინ პარლამენტში "კონსერვატორთა" ლიდერები შრომის ვეტერანთა პარტიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მთავრობის კრიტიკა და ერთობლივი ძალისხმევით ვეტერანთა პრობლემების დაძლევა - ეს ის საკითხებია, რომლის ირგვლივაც გუშინდელი მსჯელობა წარიმართა.

თამარ მჭედლიშვილი

შეხვედრა "კონსერვატორთა" ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა გახსნა. მის გამოსვლაში იყო ყველაფერი, რაც ასეთი თავყრილობების დროს აუდიტორიაზე შესანიშნავად მოქმედებს - საუბარი მატყუარა მთავრობაზე, პრეზიდენტზე, რომელმაც წინასაარჩევნო დაპირებები დაივიწყა, პენსიონერთა უფლებებისთვის ბრძოლაზე და ა.შ.

ზვიად ძიძიგურის კრიტიკის მთავარი ადრესატები, პირველ რიგში, ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და, შემდეგ უკვე, საქართველოს პრეზიდენტი იყვნენ.

"რამდენიმე დღის წინ ჩვენ შევხვდით პრეზიდენტს და მივიღეთ მისგან სიტყვიერი დაპირება, რომ მთავრობა ჩვენს მოთხოვნებს გაითვალისწინებდა და პენსიებს პენსიონერებზე სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გასცემდა. თუმცა, ზურაბ ნოღაიდელმა ცივი წყალი გადაგვასხა და პირდაპირ, უცერემონიოდ განაცხადა, რომ ამ მხრივ, ქვეყანაში არანაირი ცვლილებები არ მოხდება. მეტიც - როგორც მან გვითხრა, ეს სტატუსი რომ შემოვიღოთ, საქართველოში შრომის ვეტერანები ნახევარ მილიონზე მეტი აღმოჩნდება და ქვეყნის ბიუჯეტი ამდენს ვერ გაუძლებსო. საბავშვოსთან დაკავშირებით კი ერთი ანეკდოტი მახსენდება: როცა პარაშუტისტს პარაშუტი არ გაეხსნა, ღმერთს ბევრ რამეს შეჰპირდა. როცა პარაშუტი გაიხსნა, თქვა, ხანდახან რა სისულეებზე ვფიქრობო. ასეა მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაშიც - მას პარაშუტი გაეხსნა და დაივიწყა ის პენსიონერები, რომელთა დახმარებით იგი საქართველოს პრეზიდენტი გახდა," - ასე მიმართა ძიძიგურმა შრომის ვეტერანებს.

ვეტერანთა პარტია გაზაფხულზე "კონსერვატორებს" შეუერთდება.

თავის მხრივ, შრომის ვეტერანთა პარტიის წევრები აცხადებენ, რომ თავად არიან დამნაშავენი იმაში, რომ ბოლომდე არ იბრძოლეს და წლების განმათლობაში კანონით გათვალისწინებული შეღავათები არ მოითხოვეს.

შრომის ვეტერანები საქართველოს პარლამენტისაგან შრომის veტერანთა წოდებისა და იმ სოციალური შეღავათების აღდგენას მოითხოვენ, რომელიც მათ რამდენიმე წლის წინ გაუუქმდათ.

ვეტერანები, პირველ რიგში, შექმნილ მდგომარეობაში საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ადანაშაულებენ, რომელიც, მათი თქმით, **"ახლა მემუარებს წერს, ხოლო თავის დროზე, მისი ხელქვეითები სოციალურ შეღავათებს მიზნობრივად კი არ გასცემდნენ, პირდაპირ ჯიბეში იდებდნენ."**

ამასთან ერთად, შრომის ვეტერანთა პარტიის ლიდერებს უკვე მომზადებული აქვთ კონკრეტული წინადადებები, რომელიც, "კონსერვატორთა" დახმარებით, მალე საკანონმდებლო ინიციატივების სახეს მიიღებს.

ამ თავყრილობის ბოლოს კი გარკვა მთავარი: გაზაფხულზე, კონსერვატორთა პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, შრომის ვეტერანთა პარტია "კონსერვატორებს" შეუერთდება, რაც ამ უკანასკნელის პოტენციურ ამომრჩეველთა რიცხვს აშკარად გაზრდის. გადაწყვეტილება გაერთიანების შესახებ უკვე მიღებულია, დოკუმენტურად კი ეს კავშირი აპრილის ბოლოს გაფორმდება.

მოკლედ

სეპარატისტები ირაკლი ალასანიასთან მოლაპარაკებებს არ აპირებენ

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პოლიტიკური წრეები კატეგორიულად აპროტესტებენ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირად წარმომადგენლად აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას დანიშვნას. აფხაზური მხარის განცხადებით, ისინი მარტის ბოლოსთვის ჟენევაში დანიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ მიიღებენ, თუ ქართულ დელეგაციას ალასანია უხელმძღვანელებს.

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სტანისლავ ლაკობას განცხადებით, იგი "ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების წარმოებას არ აპირებს," პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დანიშნულ ირაკლი ალასანიასთან დაკავშირებით "პრობლემა არა პიროვნებაში, არამედ მის მიერ დაკავებულ თანამდებობაშია."

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის - სერგეი ბაგაფშის მრჩეველი სოკრატ ჯინჯოლია და საპარლამენტო გაერთიანება "რესპუბლიკა".

სოხუმის პარლამენტის დეპუტატის თემურ აჩუგბას შეფასებით, "აღნიშნული დანიშვნით პრეზიდენტ სააკაშვილს საქართველოსა და აფხაზეთს შორის განვითარებული პროცესებისათვის ეთნოკონფლიქტის შეფასების მიცემა სურს და შეგნებულად ივიწყებს, რომ 1992-1993 წლებში საომარი მოქმედებები საქართველოსა და აფხაზეთის სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა." **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო სწავლებების (BLACKSEAFOR) მეოთხე აქტივაციის მეორე ეტაპის დაგეგმარების დასკვნითი კონფერენციის ჩატარების მიზნით, თბილისში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფი ჩამოვიდა.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის მხრიდან, პირველი რანგის კაპიტანი მიხეილ სუხოვალი და მეორე რანგის კაპიტანი იური ლევჩენკო, უკრაინიდან - მეორე რანგის კაპიტანი ვალერი ვაგინი, რუმინეთიდან - პირველი რანგის კაპიტანი ნიკოლა ვალსანი, ბულგარეთიდან - პირველი რანგის კაპიტანი დიმიტრი დიმიტროვი და თურქეთიდან - მეორე რანგის კაპიტანი ელდიჩ ალდიმერი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ იმერლიშვილი და შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე დავით ნაირაშვილი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრნენ.

ვიზიტის მიზანია საქართველო-თურქეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივის განხილვა.

საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდებიან თურქეთის პრეზიდენტს ნეჯდეთ სეზერს, ეროვნული თავდაცვის მინისტრს ვეჯდი გიონლუს, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის, გენერალ ჯახით სარსილმაზს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მე-2 უფროსს ილკერ ბაშბუღს, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ჯენგიზ ქართანოღლუს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მხარს უჭერს კოტე კუბლაშვილის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატურას. ამიტომ მე პირადად მას მხარს ვუჭერ," - აღნიშნა ელენე თევდორაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კონსერვატიული პარტიის წევრი პარლამენტარები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კოტე კუბლაშვილის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ.

პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ისინი ოპოზიციონერები არიან "ოპოზიციურ საქმიანობას კი თავისი კანონები აქვს."

"ჩვენი მხარდაჭერა ნიშნავს გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას და როგორც ხედავთ, პასუხისმგებლობას ქვეყანაში ყველაფერზე უმრავლესობა იღებს," - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტების თავისუფლად გადაადგილება შეიზღუდა, პრეზიდენტისა და მთავრობის პრესსპიკერები ჟურნალისტებს ინფორმაციას ყველა აქტუალურ საკითხზე მიაწვდიან, - აცხადებს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი.

"თქვენ გექნებათ ინფორმაციის მიღების ყველა პირობა, სამუშაო პროცედურა კი ბევრად უფრო გამჭვირვალე იქნება. ჩვენი თანამშრომლობა უფრო ცივილიზებულ ფორმებში გადავა," - განაცხადა ნოღაიდელმა.

ურთიერთობის ახალი ფორმატის თანახმად, კანცელარიაში ჟურნალისტები მესამე სართულზე, მათთვის გამოყოფილ ოთახში განთავსდებიან. ყოველ დილით მათთვის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან დაგეგმილი შეხვედრების სია გამოიკვრება. შეხვედრების შემდეგ მედიის წარმომადგენლებს პრესსპიკერები შეხვდებიან და მათთვის ოფიციალურ განცხადებებს გააკეთებენ. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

უმრავლესობამ პრეზიდენტის მორიგი მადლობა დაიმსახურა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რაც შეეხება სხვა საკითხებს, პრეზიდენტმა პარლამენტარებისაგან პროფკავშირებთან დაკავშირებული ორივე კანონპროექტის დაჩქარებულად განხილვა მოითხოვა. იყო საუბარი თბილისის შესახებ კანონპროექტზეც. ჩვენი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ამ კანონპროექტის სწრაფად მიღებასაც ითხოვს.

გუშინვე, პრეზიდენტმა უმრავლესობის წარმომადგენლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კუბლაშვილი წარუდგინა. თუმცა, ეს მხოლოდ ფორმალური პროცედურა იყო, რადგან გუშინ, მთელი დღის მანძილზე, პარლამენტში კუბლაშვილის კანდიდატურა აქტიურად განიხილებოდა.

დღის პირველ ნახევარში, ნინო ბურჯანაძესთან კომიტეტების თავმჯდომარეების შეხვედრის დროს, უკვე ცნობილი გახდა, რომ კომიტეტები კუბლაშვილს მხარს დაუჭერენ. გუშინვე გაირკვა, რომ კუბლაშვილის წინააღმდეგ ხმას მისცემენ "კონსერვატორები" და "ახალი მემარჯვენეები".

დაბოლოს: მართალია, ჩვენთან საუბარში დეპუტატებმა არაფერი თქვეს იმ შიდა დაპირისპირებებზე, რომელიც ამ ბოლო დროს უმრავლესობის რიგებში აშკარად შეიმჩნევა, მაგრამ, სავარაუდოდ, პრეზიდენტი, დეპუტატებთან შეხვედრისას, ამ თემაზე გაამახვილებდა ყურადღებას და პარლამენტარებს ერთიანი გუნდის შენარჩუნების აუცილებლობაზე ესაუბრებოდა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ეს მხოლოდ ვარაუდებია: ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჟურნალისტების სახელმწიფო კანცელარიაში გადაადგილების შეზღუდვის თაობაზე (რომელიც, სავარაუდოდ, კანცელარიიდან ინფორმაციის "გაჟონვის" შიშით არის გამოწვეული), დეპუტატებს აშკარად განაწყობს სიფრთხილისაკენ. შესაბამისად, კომენტარებიც საკმაოდ ზოგადია.

24 საათი

პარლამენტის "დასაკლავი დანა", შესაძლოა, იქვე ილესება

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბიუროზე კომიტეტებმა პარლამენტის თავმჯომარისგან არაერთი საყვედური მოისმინეს.

ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ

ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ "უდროო დროს", არჩევნებამდე ორწელიწადნახევრით ადრე, პოლიტიკურ წრეებში გაჩაღდა დისკუსია საარჩევნო ბარიერის დაწევის მიზანშეწონილობის თაობაზე.

გარდა ამისა, უახლოეს პერიოდში ნავარაუდევია საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირების წესს შეეხება (ეს ჯერ კიდევ გასული წლის საშემოდგომო სესიაზე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო).

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი უკვე წარმოადგინა და იურიდიულ კომიტეტში შემუშავებულ პროექტთან მისი შეჯერება მიმდინარე კვირაშივე მოხდება.

"მარტის პირველ რიცხვებში იგეგმება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჩვენი კომიტეტის ერთობლივი შეკრება, რომელზეც შევიმუშავებთ ცვლილებების შეჯერებულ ვარიანტს და მას პარლამენტს წარვუდგენთ განსახილველად," - აცხადებს ლევან ბეჟაშვილი.

ერთი სიტყვით, "წრე იკვრება": ამ დღეებში პარლამენტი დაკანონებს დეპუტატთა რაოდენობის 150-მდე შემცირებას, ცოტა ხნის შემდეგ დამტკიცდება საარჩევნო ადმინისტრაციების ჩამოყალიბების ახალი წესი; დღის წესრიგში დგას საარჩევნო ბარიერის დაწევა... ამ "პროცედურების" გავლის შემდეგ კი, რეფერენდუმის შედეგებზე აპელირებით, უკვე პარლამენტის დათხოვნაზეც შეიძლება ლაპარაკი.

ასე რომ, გამორიცხული არ არის, ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის "დასაკლავი დანა" საკანონმდებლო ორგანოშივე ილესება.

შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობა საკმაოდ გაღიზიანებული გამოიყურება. მაგალითად, ბიუროს გუშინდელი სხდომის დროს ნინო ბურჯანაძეს რამდენჯერმე "შეუტია" "ქვეშევრდომებს".

პირველად - მაშინ, როდესაც ნინო ბურჯანაძემ მიხეილ მაჭავარიანისგან მოითხოვა, რომ ამ უკანასკნელმა მიაწოდოს ინფორმაცია პარლამენტის სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე დიდხანს უმტკიცებდა სპიკერს, რომ მას მხოლოდ აღნიშნული გეგმის შემუშავება ევალება და არა მისი შესრულების კონტროლი.

"შენიშვნებს ვერავისგან მივიღებ," - ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგაც კიდევ დიდხანს ბობოქრობდა მიხეილ მაჭავარიანი.

ნინო ბურჯანაძე გუშინ მეორედ მაშინ "განრისხდა", როდესაც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ მოითხოვა, რომ მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შესულიყო კანონპროექტი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის 1,5-დან ერთ წლამდე შემცირებას 2008 წლამდე გადაავადებს.

"თავად კანონპროექტის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ კარგი იქნება, თუ გივი თარგამაძე მოიცლის და ხანდახან მაინც შემოივლის პარლამენტში," - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე მოისაკლისა პარლამენტის სპიკერმა.

"შერისხულ" თარგამაძეს დამცველები ბიუროს სხდომაზევე გამოუჩნდნენ.

"გივის აქ ყოფნას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ხომ ვართ აქ?" - თარგამაძის ორივე მოადგილემ, რურუამ და კირკიტაძემ ერთად სცადეს თავისი თავმჯდომარის დაცვა.

"მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, კომიტეტის თავმჯდომრის თანამდებობა არ იარსებებდა," - გივი თარგამაძის "გამამტყუნებელი განაჩენი" ნინო ბურჯანაძემ ბოლოს მაინც ძალაში დატოვა.

პარლამენტის თამჯდომარის კრიტიკას გუშინ ვერც ლეიბორისტი დეპუტატი თემურ დოლიშვილი გადაურჩა, რომელმაც ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ნინო ბურჯანაძეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში დასდო ბრალი. შალვა ნათელაშვილის თანამოაზრის თქმით, პარლამენტის ხელმძღვანელობამ იგნორირება გაუკეთა ლეიბორისტების მიერ ჯერ კიდევ 2002 წელს შეგროვილ ხელმოწერებს რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე.

სპიკერის განმარტებით, აღნიშნული საკითხი 2003 წლის მაისში პლენარულ სხდომაზე ფრიდონ ინჯიამ გამოიტანა, მაგრამ ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო და, ამდენად, ლეიბორისტ დეპუტატს თავად შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება.

აი, პროფკავშირების ხელმძღვანელთა მიმართ შეტევისთვის კი საკანონმდებლო ორგანოში, ფაქტობრივად, ყველაფერი მზადაა. 22-25 თებერვლის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შესულია ორი კანონპროექტი, რომელიც ირაკლი ტუღუშის გუნდს სიკეთეს ნამდვილად არ მოუტანს. პირველი მათგანი პროფკავშირების წევრთა ხელახალ რეგისტრაციას ითვალისწინებს; მეორე კი, პროფკავშირების ქონების "ნაციონალიზაციას" გულისხმობს.

"პროფკავშირებისთვის ქონების ჩამორთმევა ცოტა დავაგვიანეთ კიდეც. სანამ კანონს მივიღებთ, ამ ქონებიდან, შესაძლოა, აღარაფერი დარჩეს," - მოვლენების დაჩქარებას ცდილობს ბორჯომის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი, რომელმაც ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პროფკავშირების ანგარიშების გაყინვა მოითხოვა. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარემ მას "აუხსნა", რომ ამის გაკეთება საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებში არ შედის.

რაც შეეხება კიდევ ერთ საკონსტიტუციო ცვლილებას (საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანას), ნინო ბურჯანაძე მოუწოდებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომ ამ თემაზე კიდევ ერთხელ იმსჯელოს და **"რეალური სქემა წარმოადგინოს"**.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საუბარი იყო, აგრეთვე, ორი სამინისტროს (შსს-ს და უშიშროების) გაერთიანებაზე. ამ გადაწყვეტილების მართებულობას ეჭვის ქვეშ თითქმის არავინ აყენებს, ისევე, როგორც იმას, რომ ვანო მერაბიშვილის უწყებას "მხოლოდ" შინაგან საქმეთა სამინისტრო ეწოდოს.

სავარაუდოდ, დიდი ვნებათაღელვის გარეშე ჩაივლის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კუბლაშვილის დამტკიცების პროცედურაც. პარლამენტის თავმდომარემ გუშინ სიამაყით აღნიშნა, რომ სასამართლო ხელისუფლების მომავალი ხელმძღვანელი მისი ყოფილი სტუდენტი და არაანგაჟირებული იურისტია.

ᲔᲙᲐ ᲥᲔᲡᲘᲗᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ნდობის დევალვაცია და ცნებების ინფლაცია

რამდენიმე დღეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტები თავიანთი რექტორის თანმდებობიდან მოხსნას და დაპატიმრებას აპროტესტებენ. ნამდვილად არ ვიცი, სწორია თუ არა ამ სტუდენტების პროტესტი, რადგან არ ვიცი, რამდენად დამნაშავე ან უდანაშაულოა მერაბ ბერიძე.

ბუნებრივია, სტუდენტთა თუ მოსწავლეთა პროტესტი, თავისთად, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი რექტორი ან სკოლის დირექტორი გამოსარჩლების ღირსია. ამის თვალსაჩინო მაგალითი თუნდაც პარმენ მარგველაშვილის დასაცავად გამოსული სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები იყვნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მარგველაშვილი "ქართული სულიერი ღირებულებების" დამცველი იყო. თავად "ქართული სულიერების დამცველი" კი მომიტინგე მოსწავლეებს განსახვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ხალხიდან წამოსულ ზეწოლაზე და სხვა ათას სისულელეზე უყვებოდა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მისი მოხსნა მანამდე ვერ მოხერხდა, სანამ ამგვარი სისულეეებით მოსწავლეებისა და მათი მშობლების ნაწილისთვის ტვინის გამორეცხვას მოახერხებდა.

მარგველაშვილის მსგავსად, ალბათ, სწორი იყო სხვა რექტორთა და იმ დირექტორთა მოხსნაც, რომელთაც სკოლა კორუფციული გარიგებების ადგილად აქციეს. მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარი, არასწორი და აღმაშფოთებელია, როცა თავიანთ პოსტებზე ორ - ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტების რექტორებს ტოვებენ. ფაქტია, რომ ხუროძე და ხეცურიანი გამორჩეული პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის გულისათვის არავის დაუნდია. სამედიცინო, ისევე როგორც ტექნიკური უნივერსიტეტი, ყოველთვის ისევე გამოირჩოდა კორუფციით, როგორც სხვა ყველა დანარჩენი. ასე რომ, მათ შეწყალებაში, როგორც ჩანს, ისეთმა ფაქტორებმა ითამაშა როლი, რომელიც ყოველთვის გადამწყვეტი იყო საქართველოში.

ოჯახი - ეს სიტყვა კარგად ეხამებოდა შევარდნაძის გვარს და ბევრი პრობლემა სათავეს სწორედ ამ სიტყვათშეთანხამებიდან იღებდა. რევოლუციის შემდეგ ყველას იმედი ჰქონდა, რომ ახალი პრეზიდენტის გვარის გვერდით სიტყვა ოჯახი უარყოფით კონტექსტში აღარ იქნებოდა მოხსენიებული. ამის იმედი ჯერ კიდევ რჩება, თუმცა ეჭვი, რომ ეს გაუგებარი სელექცია პრეზიდენტის თუ მისი ოჯახის პირადი სიმპათია-ანტიპათიით მოხდა, უკვე არსებობს.

უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორი, შესაძლოა, მართლაც დასაჭერია. მაგრამ როდესაც არავინ იჭერს როინ მეტრეველს, რომელიც დღეს აკადემიკოსის პოზიდან გველაპარაკება, მაშინ ძნელია ხელისუფლებამ და პირადად პრეზიდენტმა ვინმე და მათ შორის პროტესტანტი სტუდენტები საკუთარ სამართლიანობაში დაარწმუნოს.

რექტორების სელექციური მოხსნა მხოლოდ ერთი მაგალითი და ნათელი დასტურია იმ ორმაგი სტანდარტის, რაც დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის მთავარ პრობლემად იქცა. ორმაგი სტანდარტები მოქმედებდა მაშინ, როდესაც ზოგ ბობოლა ჩინოვნიკ-ბიზნესმენს იჭერდნენ, ზოგს კი ბიზნესელიტაში გამორჩული ადგილით აჯილდოვებდნენ.

ამ ფონზე კი პრეზიდენტი ამაყად ამბობს, რომ "გამყრელიძისნაირებს" ჯიბეში ხელს კიდევ ჩაუყოფს. საკითხავია, რა პრინციპით, პირადი სიმპათია-ანტიპათიით თუ პოლიტიკური ნიშნით?

კახა ლომაია პრინციპული მინისტრი იყო, თუმცა დღეს მისი პრინციპულობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან პრინციპულობა იმასაც ნიშნავს, რომ პრეზიდენტის მიერ მიღებულ გაუმართლებელ გადაწყვეტილებებს პროტესტის გარეშე არ უნდა ხვდებოდე. თუ გასამართლებლად ის არგუმენტი არსებობს, რომ ეს წვრილმანია იმ რეფორმებთან შედარებით, რომელიც გასატარებელია, მაშინ კონტრარგუმენტიც მოიძებნება - ორმაგი სტანდარტით მოქმედება წვრილმანი არასოდესაა და ერთხელ ასეთ კომპრომისზე წასვლა, მომავალში მრავალჯერად ასეთ და უარეს კომპრომისს გულისხმობს.

ასეთი ქცევით ლომაიაც და მთლიანად ხელისუფლება იმ ხალხის ნდობასაც კარგავს, რომელიც მარგველაშვილის და მისი მეგობრების მხრიდან წამოსული სულელური და უზნეო ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეებად სჭირდება.

ნდობის დევალვაცია და ცნებების ინფლაცია არის ის, რაც დღეს ფასების ინფლაციის ფონზეც კი უფრო საგრძნობია.

ცნებების გაუფასურებაა, როცა სააკაშვილი ქართველი ხალხის გმირად ვინმე კირკიტაძეს აცხადებს, რომელმაც დაცვის წევრი (ერთი სოფლელი ბიჭი, როგორც პრეზიდენტმა თქვა) ჯერ ცემა, შემდეგ კი, დიდი ზეწოლის ფასად, იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა. საინტერესოა, როდის გახდა ამგვარი საქციელი გმირობის ტოლფასი?!

შესაძლოა, ის პატრული მართლაც გმირია, რომელიც პრეზიდენტმა პარლამენტში მოიყვანა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კირკიტაძეც გმირია, ძნელი მისახვედრია, რას ნიშნავს ხელისუფლებისთვის ცნება - გმირი.

რამდენიმე დღის წინ სტუდენტებთან შეხვედრისას სააკაშვილმა ამაყად ისიც განაცხადა, რომ დისკუსიის არ ეშინია. ამ ხელისუფლებისთვის გამყრელიძესთან დისკუსია მართლაც ადვილია, რადგან მას ყოველთვის წამოაძახებს რევოლუციის დროს პარლამენტის კვორუმის შევსებას. მაგრამ ხელისუფლებას ეშინია იმ ადამიანებთან დისკუსიის, რომელთვისაც წამოსაძახებელი არაფერი აქვს და რომელთანაც მათ წარსულზე საუბარი კი არა, მძიმე კითხვებზე პასუხების გაცემა მოუწევს.

სწორედ დისკუსიისა და ჯანსაღი კრიტიკის შიშით არის განპირობებული დღეს თავისუფალი სიტყვის უპრეცედენტო შეზღუდვაც. ასეთ პირობებში კი ხელისუფლება იმ მოკავშირეების ნდობასაც კარგავს, რომელიც მისი ყველაზე ერთგული მხარდამჭერი იყო.

ყარაულში ქალები დგანან

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კანონმდებლობა საქართველო მოქალაქეებს ფართო უფლებას სთავაზობს, გადაივადოს სამხედრო სამსახური. სწავლების განმავლობაში ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილია 110 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. ესეც რომ არ იყოს, არსებობს 200-ლარიანი მოსაკრებელი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2001 წელს დააკანონა. თუმცა, მიჩნეულია, რომ ქვეყანაში, სადაც გასაწვევი რესურსი 100 ათას კაცს აღწევს, ყოველთვის მოიძებნება 4000-მდე წვევამდელი, რომელიც სამხედრო ფორმას, პატრიოტული მოსაზრების გამო, უანგაროდ ჩაიცვამს. ასეთი ადამიანების მოძებნა თბილისის ქუჩებში ნამდვილად აღარ ჭირს.

"ახლა როგორც დაიწყება გაწვევა, მივდივარ ჯარში. ეს სურვილი დიდი ხანია მქონდა, მაგრამ ახლა მომივიდა უწყება და მივდივარ," - გვითხრა ერთ-ერთმა თბილისელმა ახალგაზრდამ მეტრო "რუსთაველის" სადგურთან, რომელსაც მხარი რამდენიმე თანატოლმაც აუბა.

მაგრამ გაწვევის კამპანია, ისევე როგორც ყველაფერი, რაც სამხედრო სფეროს უკავშირდება, ამ ბოლო დროს მომეტებულად განიცდის ცვლილებებს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. დეკემბრის ბოლოს ცნობილი გახდა თავდაცვის სამინისტროს ინიციატივის შესახებ, გაზარდოს სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა ნახევარი წლით. თუმცა უფრო ადრე გამოცხადდა, რომ მხედრული ვალდებულება ერთ წლამდე შემცირდა. როგორც სახელმწიფო გამწვევ კომისიაში აცხადებენ, **"გამწვევი რაიონული ორგანოები ელოდებიან გენერალური შტაბის დირექტივას, თუ რა ვადები დაუთქვან წვევამდელებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ერთი წელიწადი იციან."**

კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ ციფრი 4500, რაც წლევანდელი საგაზაფხულო გაწვევის გეგმას შეადგენს, შესაძლოა, არც იყოს საბოლოო და რაოდენობის გაზრდა გაწვევის პროცესში მოხდეს. დეკემბრის ბოლოს ახალმა თავდაცვის მინისტრმა სავალდებულო სამსახურიდან დაითხოვა არა მხოლოდ ის ჯარიკაცები, რომლებმაც კანონით დადგენილი სამსახური სრული ვადით დაასრულეს, არამედ - ისინიც, ვისაც 6 თვე ჰქონდა დარჩენილი. ამ უცნაური გადაწყვეტილების მიზეზები უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია შედეგი: ბევრ სამხედრო ობიექტზე, სადაც განაწესის შესრულება სწორედ ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს ევალებოდათ, ეს ვალდებულება ოფიცრებსა და შტაბებში მომუშავე ქალებს დაეკისრათ.

დაბოლოს: მორიგი სამხედრო სავალდებულო გაწვევა შეიარაღებულ ძალებში მაისის დასაწყისისთვის უნდა დასრულდეს. ამავე პერიოდში საქართველოს არმია 14 წლისთავს იზეიმებს. ნიშანდობლივია, რომ 14 წლის განმავლობაში გაწვევის წესით დაკომპლექტებულ ქართულ სამხედრო ქვედანაყოფში სავალდებულო სამსახური არც ერთი მაღალჩინოსნის შვილს არ გაუვლია. გახდება თუ არა მიმდინარე საგაზაფხულო გაწვევა ამ მხრივ გამონაკლისი, ორ თვეში გაირკვევა.

მოკლედ

სგსე არგადამხდელთა "გათიშვებს" იწყებს

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მცხეთა-მთიანეთის ფილიალის არგადამხდელი აბონენტებისთვის ელექტროენერგიის გათიშვას განაგრძობს. როგორც ფილიალის დირექტორმა ირაკლი ელაშვილმა განაცხადა, მოსახლეობამ იცის, რომ ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადოს. ამასთან, აბონენტები წინასწარ არიან ინფორმირებული გადასახდელი თანხის რაოდენობისა და ჩაჭრის ვადების შესახებ. **"იმ ტრანსფორმატორებზე, რომლებზეც ამოღების მაჩვენებელი 70-80 პროცენტია, არგადამხდელი აბონენტების ინდივიდუალური ჩაჭრა ხორციელდება, ხოლო ტრანსფორმატორები, სადაც ამოღების მაჩვენებელი ძალზე დაბალია, ანუ დაახლოებით 5-10 პროცენტია, მთლიანად ითიშება,"** - განაცხადა ელაშვილმა. მისი თქმით, დენის მიწოდებას ტრანსფორმატორების მიხედვით არსებული ამოღების მაჩვენებელი განსაზღვრავს. **"უახლოეს მომავალში, დენის მოხმარების და ამოღების მაჩვენებლების გამჭვირვალობის მიზნით, ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველები დამონტაჟდება. აბონენტები დენის საფასურს კომუნალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადაიხდიან. ჩვენი კომპანიის პოზიცია ელექტროენერგიის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით ცალსახაა - ტრანსფორმატორიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური სრულად უნდა დაიფაროს,"** - განაცხადა ელაშვილმა. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სათავო ოფისს დედაქალაქიდან ქუთაისში გადაიტანენ. აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარემ და კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა მიიღეს.

როგორც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტი კომპანიისგან ყოველწლიურად 5 მილიონი ლარით შეივსება. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ქუთაისის გამრიცხველიანება წლის ბოლომდე დასრულდება, მარტიდან კი ქალაქის ელექტრომომარაგება გამოსწორდება. მისი თქმით, კომპანიის სათაო ოფისის ქუთაისში გადატანის შედეგად, 200-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს მიმართ საინვესტიციო ინტერესის გაზრდის მიზნით, 5 მარტს იტალიის დედაქალაქ რომში საერთაშორისო კონფერენცია Invest in Georgia გაიმართება. აღნიშნულ კონფერენციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრება. ანალოგიური კონფერენცია 10 მარტს ბერლინში ჩატარდება, ხოლო მოგვიანებით - საფრანგეთში, აშშ-ში და იაპონიაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ გასულ წელს 2 495 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წლისას 66 პროცენტით აღემატება. მათივე ინფორმაციით, მთლიან სავაჭრო ბალანსში ექსპორტის წილი მხოლოდ 26 პროცენტს, 649 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტი - 1 846 მილიონი აშშ დოლარია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

უკრაინა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს უკრაინაში საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ექსპონატების გამოფენა გაიმართება; ექსპოზიციის გამართვა კომერციულ ბანკ "ზახიდინკომბანკის" სათავო ოფისშია დაგეგმილი. ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის განცხადებით, ეს წინადადება თავად უკრაინულ მხარეს ეკუთვნის. მისი შეფასებით, ფულადი ნიშნების გამოფენა და მისი პრეზენტაცია საზღვარგარეთ ქვეყნის იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. ქართული ბანკნოტების და მონეტების გაცნობა უკრაინელებს საქართველოს წარსულსა და მომავალზე გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2004 წელს 8,4 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, მთლიანმა შიდა პროდუქტმა შარშან 9 მილიარდ 800 მილიონი ლარი შეადგინა. მშპ-ს გაზრდა გაწაპირობა დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის, მშენებლობის სფეროებში აქტივობის სტაბილურმა გაფართოებამ. სწრაფი ზრდა აღინიშნა კავშირგაბმულობის, საფინანსო შუამავლობის და კომერციულ მომსახურებათა სფეროებში. ამასთან, არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, დამატებული ღირებულების გადასახადი სოფლის მეურნეობაში 6,7 პროცენტით შემცირდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თურქი ბიზნესმენები აჭარაში ახალ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ააშენებენ. ამის შესახებ თურქეთში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. სამშენებლო სამუშაოებს თურქული ფირმა "ფორტერ იუელერი" შეასრულებს, რომელმაც თავის დროზე, 1929 წელს, ბათუმში პირველი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ააშენა. ლევან ვარშალომიძის განცხადებით, თურქულ მხარესთან ასევე მიღწეულია შეთანხმება ბათუმის აეროპორტში თურქული ინვესტიციების დაბანდების შესახებ. თურქეთში ასევე მოეწერა ხელი მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, აჭარა ელექტროენერგიას ზამთრის პერიოდში თურქეთის რესპუბლიკიდან მიიღებს, სანაცვლოდ კი, ზაფხულში ჭარბ ენერგიას თურქეთის რესპუბლიკას საქართველო მიაწვდის. მემორანდუმი ელექტროენერგიის შესახებ 1 მარტიდან ამოქმედდება. **ინტერ-პრესი**

„პროქტერ ენდ გემბელი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი გაეცნობა ახდენს კლიენტის გადაწყვეტილებაზე კრიტიკულ და საჭიროა სიტუაციებში გაეწიდეს კონცეპტუალური შეთავაზებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ეს მეთოდი ეყრდნობა მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლას და იძლევა რეალურ სურათს, თუ რა ამოძრავებს მყიდველს ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვისას. CBD მენეჯერის კომპეტენციაში შედის ასევე ბიზნეს-გეგმების შედგენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება სავაჭრო ნიშნის გაფართოება-განვითარება და დაუხმარება მყიდველს განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც წარმატებული იქნება როგორც მისთვის, ასევე კომპანიისთვის.

კვალიფიკაცია:
წარმატებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას. სამუშაოს მოთხოვნებში შედის ქალაქში და რეგიონის მასშტაბით საქმიანობა; საგზაო შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აუცილებელია უმაღლესი განათლება და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა. ასევე კომუნიკაბელურობა და ძლიერი საორგანიზაციო ნიჭი.

რეზიუმეს გამოგზავნა:
ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე: www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განათავსეთ თქვენი პროფილი - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager, ან გადმოაგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - +994 50 350 5855

ბაზრებში და ბაზრობებზე თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია იკრძალება

ბექა ევგენიძე

1 მარტიდან ბაზრებში და ბაზრობებზე თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია აიკრძალება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით გალეგაშვილმა განაცხადა, ამის შესახებ გადაწყვეტილება ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის და ჯანდაცვის მინისტრებმა ერთობლივად მიიღეს.

"ბაზრებში და ბაზრობებზე აქციზიან ნაწარმთან ერთად უაქციზო სიგარეტიც ხვდება. უაქციზო პროდუქციის რეალიზაცია, ძირითადად, დახლს ქვემოდან ხორციელდება, რისი გაკონტროლებაც თითქმის შეუძლებელია," - განაცხადა გალეგაშვილმა.

უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის მექანიზმი, გალეგაშვილის ინფორმაციით, ასეთია: დახლზე მოვაჭრეს საჩვენებლად ულაგია აქციზური საქონელი, ხოლო დახლს ქვემოთ უაქციზო სიგარეტის 2-3 ბლოკი, რომლის რეალიზაციის შემდეგ, იმავე რაოდენობით შევსება ხდება. მოგება იმდენად დიდია, რომ სიგარეტის ჩამორთმევის მიუხედავად, მოვაჭრე იმ დღეს მაინც მოგებით ამთავრებს.

ბაზრებში და ბაზრობებზე თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის აკრძალვას ფინანსური პოლიცია გააკონტროლებს. ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის განცხადებით, სიგარეტის რეალიზაციის შემთხვევაში დაჯარიმდებიან გამყიდველები და ბაზრის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. **"ჩვენ უკვე გვქონდა შეხვედრა ბაზრების ხელმძღვანელებთან, ამიტომ მათგან პრობლემებს არ ველით,"** - აღნიშნა კეზერაშვილმა.

ფინანსური პოლიციის უფროსის აზრით, ბაზრებში და ბაზრობებზე სიგარეტის რეალიზაციის აკრძალვა არ გამოიწვევს პროდუქციის გაძვირებას, რადგან მსხვილ მწარმოებელ და იმპორტიორ კომპანიებს თავად აქვთ სარეალიზაციო ქსელები და თამბაქოს ნაწარმს სწორედ ამ ქსელების მეშვეობით იგივე ფასში გაყიდიან.

ფინანსური პოლიცია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის აკრძალვას გააკონტროლებს.

საპარლამენტო კომისია "ენერგოგენერაციაში" იაპონურ მილიონებს ეძებს

ენერგოსექტორში არსებული დარღვევების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ნაცვლიშვილი მაღალჩინოსნებზე საუბრობს, რომლებმაც იაპონიის მიერ ქართული ჰესების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 45 მილიონი აშშ დოლარი არამიზნობრივად დახარჯეს. კომისიამ ამის დამდასტურებელი მასალები პროკურატურას გუშინ გადასცა. როგორც კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, იმ მაღალჩინოსანთა გვარებს, ვის ჯიბეებშიც ეს თანხები დაილექა, პროკურატურა გამოძიების შემდეგ დაასახელებს.

მაია ურუშაძე

საუბარია ე.წ. "იაპონურ კრედიტზე", რომლის ფარგლებშიც, 1998 წლის 19 იანვარს, იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდმა (OECF) საქართველოს ენერგოსისტემის რეაბილიტაციისთვის 5 მილიარდ 332 მილიონი იენი (დაახლოებით, 40-45 მილიონი აშშ დოლარი) გამოყო. კრედიტის გამოყოფის თაობაზე მოლაპარაკებებს მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი და "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი აწარმოებდნენ. ფონდთან ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობის სახელით, ფინანსთა სამინისტრომ გააფორმა. კრედიტის ფარგლებში "ლაჯანურჰესისა" და მისი ქვესადგურის, ასევე, "ხრამი-2"-ის რეაბილიტაცია დაიგეგმა. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა "თბილსრესში." ამავე სესხში იყო გათვალისწინებული საკონსულტაციო მომსახურებაც. პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოს დამატებით 220 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია უნდა მიეღო.

"ლაჯანურჰესის" სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი ALSTOM-ის ფრანგული ჯგუფი გახლდათ. სამუშაოები ჯერ ისევ მიმდინარეობს.

რაც შეეხება "ხრამი-2"-ის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მათი შემსრულებელი იტალიური ANSALDO გახლავთ.

თავის დროზე ამ პროექტის განხორციელება ეჭვქვეშ იმის გამო დადგა, რომ ხელშეკრულების რატიფიცირებისას სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი "ხრამი-2"-ის მართვა, კრედიტის გამოყოფის შემდეგ, "ეი-ი-ესს" გადაეცა, იაპონური კრედიტის გადასესხება კი ამერიკულმა კომპანიამ არ მოისურვა. ამის გამო, კრედიტის ათვისება შეფერხდა: ფაქტობრივად, სადგურში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, დანადგარების მონტაჟი კი არ შესრულებულა.

რაც შეეხება კრედიტის მეშვეობით დაფინანსებული აღდგენითი სამუშაოების ვადებს, ამ სამუშაოთა ბოლო ეტაპის ("ლაჯანურჰესის" სარეაბილიტაციო ნაწილის დასრულების) ბოლო ვადას - ამ თარიღად თავიდან 2002 წლის დეკემბერი სახელდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი განხორციელებისას გარკვეული პრობლემები შეიქმნა, ამ თარიღად წლევანდელი აგვისტო-სექტემბერი დასახელდა. **"ამ სადგურებში 1997 წლიდან არაფერი შეცვლილა. ახლა მათ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ არის დატოვებული საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი გაურკვეველი მოწყობილობები. "საქართველოენერგოგენერაციისა" და ტენდერში გამარჯვებული კომპანიების გარეშე მათ გახსნას ვერავინ ბედავს. მეტიც: ახლა ეს სადგურები უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე მანამდე იყო. "ლაჯანურჰესის" სამივე აგრეგატი ჯერ ისევ შესაკეთებელია, ხოლო "ხრამი-1"-ზე ერთი აგრეგატი ენერგეტიკის სამინისტრომ წელს, საკუთარი ხარჯებით აღადგინა,"** - აცხადებს ნაცვლიშვილი და ვარაუდობს, რომ იაპონური 45 მილიონი დოლარიდან "გაურკვეველი მიმართულებით" 30 მილიონამდე დოლარია წასული. როგორც ნაცვლიშვილმა განაცხადა, ამის გამო, იაპონური კრედიტის ფარგლებში "ლაჯანურჰესისა" და "ხრამი-2"-ის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი კრედიტის ხარჯვის საქმეზე არსებული მასალები გენერალურ პროკურატურას გადაეცა.

გუშინდელ სხდომაზე გია ნაცვლიშვილმა ეჭვქვეშ იმ ტენდერების კანონიერებაც დააყენა, რომლებიც ჰესების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისთვის უნდა გამოცხადებულიყო. **"ტენდერები ჩატარებულია მანამდე, ვიდრე ფინანსთა სამინისტროსთან კრედიტის გადასესხების ხელშეკრულება გაფორმდებოდა,"** - აცხადებს ნაცვლიშვილი. კომისიის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, სატენდერო კომისიები ტენდერის დღეს, ან წინა დღეს იქმნებოდა და ამ კომისიებში ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არ იყვნენ მიწვეული. საპარლამენტო კომისიაში ფიქრობენ, რომ, სავარაუდოდ, სატენდერო კომისიები ფიქტიურად შეიქმნა და შესაბამის გადაწყვეტილებებს ერთი ან ორი ადამიანი იღებდა.

ტენდერები, რომლებშიც "საქენერგოგენერაციის" დირექტორი გიორგი ბადურაშვილი და ენერგეტიკის მინისტრის მაშინდელი მოადგილე დავით მირცხულავა და "ხრამი-2"-ის დირექტორი გალუსტოვი მონაწილეობდნენ, 1999 წელს ჩატარდა.

კომისია ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ საკონსულტაციო მომსახურებისთვის კრედიტით გათვალისწინებული 12 პროცენტი (დაახლოებით, 5 მილიონი დოლარი), ძირითადად, ქართულმა საკონსულტაციო კომპანიებმა აითვისეს.

"რაც შეეხება ტენდერში გამარჯვებულ ფრანგულ და იტალიურ კომპანიებს, მათ უკვე დატოვეს საქართველო. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, საქართველოს მთავრობისაგან პროექტის დასასრულებლად ისინი დამატებით თანხებს ითხოვენ," - ამბობს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე და დასძენს, რომ კონკრეტული გვარები, ვინც აღნიშნული კრედიტები მიითვისა, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ დასახელდება.

"თელიანი ველი" 5 ოქროს და 1 ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა

"თუ ქართველმა თქვა, რომ ღვინო კარგია, ე.ი ის ღვინო მთელ მსოფლიოში გაითქვამს სახელს. ქართველები ხომ ღვინის კარგი შემფასებლები არიან," - ეს სიტყვები სააქციო საზოგადოება "თელიანი ველის" გაყიდვების მენეჯერს გიორგი ხუციშვილს ეკუთვნის. ქართველების ნაქებმა "თელიანი ველის" ღვინოებმა უკვე კარგა ხანია, რაც აღიარება ქვეყნის გარეთაც ჰპოვეს. ამის დასტურია ახლახან მოსკოვში გამართული გამოფენა - "პროდექსპო 2005", რომელზეც კომპანიის ღვინოებმა ხუთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მიიღეს.

"თელიანი ველი"-ს მენეჯერები მიღებული ჯილდოებით ამაყობენ

სააქციო საზოგადოება "თელიანი ველი" 1997 წელს დაარსდა. რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგად, კომპანიამ ათეულობით დიპლომი და ჯილდო მოიპოვა, თუმცა მისი ხელმძღვანელები თვლიან, რომ მათ შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოსკოვში, "პროდექსპო 2005"-ზე მიღებული მედლებია.

"მოსკოვში გამართულ "პროდექსპო 2005"-ის გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობდა ყველა ის მსხვილი კომპანია, რომელიც დაინტერესებულია რუსეთის ბაზრით. ჩვენმა ღვინოებმა საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურეს. ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე მსხვილ ფირმასთან, რომელიც რუსეთის ბაზარზე პოზიციების გამყარებაში დაგვეხმარება. როგორც მოგეხსენებათ, მსგავს გამოფენებზე ხშირად ტარდება კონკურსები, განსაკუთრებით, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ კომპანიებს შორის. წელს ჩატარდა მხოლოდ ორი კონკურსი: "Лучший продукт 2005" ГА "VII дегустационный конкурс по алкоголной продукции", **სადაც ჩვენმა ღვინოებმა: "თელავმა", "მუკუზანმა", "წინანდალმა" და "ცოლიკაურმა" ხუთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ სულ ოთხი სახეობის ღვინო იყო წარმოდგენილი და არც ერთი მათგანი მედლის გარეშე არ დარჩენილა. "თელიანმა" ორი ოქროს, ხოლო "წინანდალმა" ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამ გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ქართული ღვინისა და ჩვენი კომპანიის საექსპორტო პოტენციალი, როგორც რუსეთის, ასევე ევროპის ბაზარზე,"** - აღნიშნა გუშინ სასტუმრო "ვარაზში" გამართულ პრესკონფერენციაზე "თელიანი ველის" მარკეტინგის დირექტორმა გოგა ყიფიანმა.

ახლო მომავალში "თელიანი ველის" ღვინოებს უკრაინაში, ფინეთსა და ჰოლანდიაში გაიტანენ. როგორც "თელიანი ველის" გაყიდვების მენეჯერი გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, მათი წარმატება, ნაწილობრივ, სახელმწიფოს მიერ მათი სფეროს პრიორიტეტად გამოცხადებას უკავშირდება.

"ამ ბოლო დროს, მეღვინეობის სფეროში სასიკეთო ძვრები შეინიშნება. ახლახან გერმანელების დახმარებით გაკეთდა ლაბორატორია, რომლის ანალოგიც საქართველოში არასდროს ყოფილა. მიხარია, რომ მისი ერთ-ერთი დამფუძნებლები ჩვენც ვართ. იმედია, ამ ლაბორატორიის მეშვეობით ხარისხზე სათანადო კონტროლი დაწესდება. სხვაგვარად ფალსიფიკაციასთან ბრძოლა წარმოუდგენელია," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გიორგი ხუციშვილმა. მისივე თქმით, როდესაც ღვინის მწარმოებელი კომპანია ქვეყნის გარეთ სამთავრობო ეგიდით მიემგზავრება, ნდობის ფაქტორი გაცილებით მეტია. "თელიანი ველი" უკრაინაში, ფინეთსა და ჰოლანდიაში სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად გაემგზავრება. ქართული ღვინის პოპულარიზაციას ხალხური ცეკვისა და სიმღერების ანსამბლიც შეუწყობს ხელს.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს სააქციო საზოგადოებამ "თელიანი ველი" ახალი სტრატეგიული ინვესტორი შეიძინა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) კომპანიის კაპიტალში 1,2 მილიონი ამერიკული დოლარი დააბანდა. ამ ინვესტიციამ კომპანიას საშუალება მისცა, გაეზარდა საწარმოო სიმძლავრეები, შეეძინა წარმოებისათვის აუცილებელი ახალი მუხის კასრები და სხვა დამხმარე მასალები. შედეგად, კომპანიამ საგრძნობლად გაზარდა რეალიზაციის მაჩვენებლები როგორც შიდა, ასევე საექსპორტო ბაზარზე.

ჯორჯ ბუშის ევროპული ტურნე

ჰირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაირკვა, ირანის ბირთვული პროგრამის პაციფისტური მიზნების რუსეთს სჯერა და ამ მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაც იქნა მიღწეული მოსკოვში ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის ჰასან როუჰანის ვიზიტის დროს. რაც შეეხება სირიას, საფრანგეთი, როგორც ყოფილი კოლონიალისტი ქვეყანა სირიასა და ლიბანში, აქამდეც თანამშრომლობდა აშშ-თან გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც ლიბანიდან სირიის არმიის გაყვანას ითვალისწინებდა. როგორც ჯერ კიდევ გასულ კვირას ჯორჯ ბუშმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სირია დამნაშავე ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობაში, ლიბანში სირიის არმიის ყოფნა უკვე დესტაბილიზაციის გამომწვევი ფაქტორია. მისი თქმით, სირიამ უნდა შეწყვიტოს ლიბანის ოკუპაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად პრეზიდენტის ევროპული ტურნეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მაინც აშშ-რუსეთის ურთიერთობების გადახედვა იქნება. მით უფრო, რომ სამიტის წინა დღეებში უკვე გაკეთდა მკვეთრი განცხადებები რუსეთში პარალიზებული

"ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ალიანსი ახალ საუკუნეში ჩვენი უსაფრთხოების უმთავრესი საყრდენია. ამდენად, ვერავითარი დროებითი უთანხმოება და დედამიწის ზურგზე ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ჩვენს დაპირისპირებას. მოვიდა დრო, გვერდზე გადავდოთ ძველი უთანხმოება და წინ გადავდგათ ნაბიჯი",- აცხადებს ჯორჯ ბუში.

დემოკრატიული პროცესებისა და "დიდი რვიანის" წევრობის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ. სენატში მომზადებული რეზოლუცია "დიდი რვიანიდან" რუსეთის გარიცხვის შესახებ, რასაც ცნობილი მილიარდერის ჯორჯ სოროსის ანალოგიური შინაარსის განცხადებაც დაემატა, საკმარისი აღმოჩნდა, რათა სამიტამდე კრემლს თეთრი სახლისთვის ეჩვენებინა საკუთარი ეროვნული ინტერესების ჰარმონიულობა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებთან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-სთან "წაკეკლუცების" გარდა, რუსეთი მის ხელთ არსებული ბერკეტების ამოქმედებასაც არ ერიდება, კერძოდ, ჩინეთთან ალიანსში შესვლას. ჩინეთი, როგორც პოტენციური ზესახელმწიფო, "შავი ოქროს" მომხმარებელთა სიაში მსოფლიოში რიგით მეორე ადგილს იკავებს, რუსეთს კი, როგორც რიგით პირველ ნავთობის მწარმოებელს მსოფლიოში, ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები ესაჭიროება. ამდენად, აღმოსავლეთით წარმოქმნილმა ალიანსმა შესაძლოა, დასავლეთის ინტერესებს სერიოზული პრობლემებიც შეუქმნას. ამას ემატება "ბოროტების ღერძ" სახელმწიფოებთან რუსეთის მეგობრული დამოკიდებულება და სამხედრო სფეროში თანამშრომლობა.

"რუსეთს თუ ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ფორმირება სურს, მისმა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას დემოკრატიული პრინციპები და აღიაროს კანონის უზენაესობა. ჩვენ გვესმის, რომ შეუძლებელია რეფორმების უმოკლეს ვადებში გატარება. ამავდროულად, ჩვენი ვალია, მუდმივად შევახსენოთ რუსეთს, რომ ტრანსატლანტიკური ალიანსის წევრობისათვის აუცილებელია ქვეყანაში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დამოუკიდებლობისა და ოპოზიციის არსებობის დაცვა. აშშ-მა და ევროპის ყველა სახელმწიფომ რუსეთთან დიალოგისას ყურადღების კონცენტრირება დემოკრატიული რეფორმების პრობლემაზე უნდა მოახდინოს",- განაცხადა ჯორჯ ბუშმა ბრიუსელში სიტყვით გამოსვლისას.

ოფიციალური მოსკოვისათვის დემოკრატიის აღიარების აუცილებლობაზე მინიშნების პარალელურად, ბუშმა რუსეთის მისამართით პოზიტიური განცხადებებიც გააკეთა. მისი თქმით, "რუსეთის მომავალი ევროპულ ოჯახშია" და აშშ მომხრეა ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების, რადგან აღნიშნული ორგანიზაციის სტანდარტები ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში თავისუფლებისა და პროგრესული მიმართულების დანერგვას.

ხოლო იმას, თუ რა ტონით იქნება გაკეთებული განცხადებები ბუშისა და პუტინის პირისპირ შეხვედრის დროს 24 თებერვალს, ბრატისლავაში დაგეგმილი სამიტი გვიჩვენებს. მანამდე კი, ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შეხვედრისას ბუში პუტინის მზარდ ავტორიტარიზმს ღიად გაკრიტიკებას არ დაუწყებს. სამიტისაგან რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელიან რუსი ექსპერტები. სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის დირექტორის სერგეი ოზნობიშევის თქმით, 24 თებერვალს რუსეთსა და აშშ-ს ელის "სამუშაო სამიტი, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს კიდეც წინ გადაგმულ ნაბიჯად, მაგრამ არ უნდა ველოდოთ მასშტაბური ხასიათის ახალ ერთობლივ ინიციატივებს. იმ შემთხვევაშიც კი თუ რაიმე სერიოზულ მიზნებზე ხმამაღლა იქნება გაკეთებული განცხადებები, არსებულ პირობებში მათი რეალიზება ნაკლებად სავარაუდო იქნება". ექსპერტის აზრით, რუსეთ-აშშ-ს პარტნიორობის ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ შეფასებებს, რასაც ადგილი აქვს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის განცხადებებში.

უკრაინის სტრატეგიული ინტერესები აღმოსავლეთით და დასავლეთით

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო გუშინ სამდღიანი ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა. ბელგიის დედაქალაქში იგი ნატოს გენერალურ მდივანს, იაპ დე ჰუპ სხეფერს, ევროკომისიის პრეზიდენტს, ჟოზე მანუელ ბაროსოს, ევროკავშირის კოორდინატორს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში, ხავიერ სოლანას, ასევე, აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს და ევროპის ქვეყნების ლიდერებს შეხვდება.

დღეს უკრაინის პრეზიდენტი უკრაინა-ნატოს კომისიის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას, ოთხშაბათს კი სტრასბურგს ეწვევა, სადაც ევროპის პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვა.

იუშენკოს თქმით, ბრიუსელში მისი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გაარკვიოს, როდის აპირებს ევროკავშირი ამ გაერთიანებაში უკრაინის შესვლის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას. მანამდე გაკეთებული განცხადებით, იუშენკომ იმედი გამოთქვა, რომ უკვე სამ წელიწადში შესაძლებელი იქნება ამ პროცესის დაწყება. ამის შესახებ, გუშინ საღამოს ბრიუსელში, უკრაინა-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზეც საუბრობდნენ. წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებს თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები უნდა განეხილათ და მოქმედების სამწლიან გეგმაზეც შეთანხმებულიყვნენ.

ევროპაში გამგზავრების წინ, იუშენკომ კიევში საქმიან ფორუმზე განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთში ხედავს "ბაზარს, სადაც ეკონომიკაში, სამხედრო-ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და სოციალურ სფეროებში ინტერესების ფორმირება ხდება".

"რუსეთი ჩვენი მარადიული სტრატეგიული პარტნიორია. უკრაინის მთელი პოლიტიკა მიმართულია იქეთ, რომ ამ თეზისმა იმაში რუსეთის გაწევრიანების, რადგან აღნიშნული ორგანიზაციის სტანდარტები ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში თავისუფლებისა და პროგრესული მიმართულების დანერგვას.

ხოლო იმას, თუ რა ტონით იქნება გაკეთებული განცხადებები ბუშისა და პუტინის პირისპირ შეხვედრის დროს 24 თებერვალს, ბრატისლავაში დაგეგმილი სამიტი გვიჩვენებს. მანამდე კი, ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შეხვედრისას ბუში პუტინის მზარდ ავტორიტარიზმს ღიად გაკრიტიკებას არ დაუწყებს. სამიტისაგან რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობებში მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელიან რუსი ექსპერტები. სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის დირექტორის სერგეი ოზნობიშევის თქმით, 24 თებერვალს რუსეთსა და აშშ-ს ელის "სამუშაო სამიტი, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს კიდეც წინ გადაგმულ ნაბიჯად, მაგრამ არ უნდა ველოდოთ მასშტაბური ხასიათის ახალ ერთობლივ ინიციატივებს. იმ შემთხვევაშიც კი თუ რაიმე სერიოზულ მიზნებზე ხმამაღლა იქნება გაკეთებული განცხადებები, არსებულ პირობებში მათი რეალიზება ნაკლებად სავარაუდო იქნება". ექსპერტის აზრით, რუსეთ-აშშ-ს პარტნიორობის ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ შეფასებებს, რასაც ადგილი აქვს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის განცხადებებში.

ჩავესი ამბობს, რომ ბუშს მისი მოკვლა უნდა

ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, აშშ-ს ხელისუფლება მის მკვლელობას გეგმავს. "თუ ისინი მე მომკლავენ, ამაზე პასუხისმგებელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იქნება," - განაცხადა ჩავესმა. უგო ჩავესს თავისი ბრალდების არანაირი მტკიცებულება არ მოუყვანია, თუმცა აცხადებს, რომ მასზე თავდასხმა ამერიკაში ნავთობის მიწოდებას საფრთხის ქვეშ დააყენებს.

ახლახანს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ყოფილ პარაშუტისტს (უგო ჩავესს) ლათინური ამერიკის "უარყოფითი ძალა" უწოდა, ხოლო ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მეთაურმა პორტერ გოსმა აღნიშნა, რომ ვენესუელა რეგიონში არასტაბილურობის კერას წარმოადგენს. ვაშინგტონი ჩავესს ვენესუელის ოპოზიციის სასტიკ ზეწოლაში ადანაშაულებს და ახლახანს კარაკასი რუსეთისგან იარაღის შეძენის გამო გააკრიტიკა. 1999 წლიდან, ვენესუელის ხელისუფლების სათავეში ჩავესის მოსვლის შემდეგ, ვაშინგტონისა და კარაკასის დიპლომატიური ურთიერთობა გაუარესდა. "თუ ეშმაკის დახმარებით ეს გარ-

"ბატონო ბუშ, თქვენ ინანებთ"

ტიობა. საქმე ისაა, რომ რეფერენდუმში ესპანეთის ხმის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ 42 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

შეგახსენებთ, კონსტიტუციას ევროკავშირის ოცდახუთივე წევრმა უნდა დაიჭიროს მხარი. დღეისთვის, ესპანეთის გარდა, კიდევ სამმა ქვეყანამ გამოხატა თავისი მხარდაჭერა - ლიტვამ, უნგრეთმა და სლოვენიამ რეფერენდუმების გა-

ყვნილი გეგმები ასრულდება, დაივიწყეთ ვენესუელის ნავთობი, ბატონო ბუშ. თუ შეეცდებით, ინანებთ, ამხანაგო ბატონო ბუშ," - განაცხადა ჩავესმა, თავის ყოველკვირეულ ტელეგამოსვლაში.

ვენესუელა ნავთობის ექსპორტის ერთ-ერთი ლიდერია. ეს ქვეყანა აშშ-ში ყოველდღიურად დაახლოებით 1,5 მილიონ ბარელ ნავთობს ყიდის. ჩავესს ბევრჯერ დაუდანაშაულებია აშშ ვენესუელის ოპოზიციის მხარდაჭერაში, რომელიც, მისი აზრით, ჩავესის მკვლელობას ან ჩამოგდებას ცდილობს. ვაშინგტონი ამ ბრალდებებს უარყოფს. უგო ჩავესი ამტკიცებს, რომ თეთრმა სახლმა 2002 წლის აპრილში ვენესუელაში მომხდარ გადატრიალებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რომლისაც ჩავესმა მცირე დროით ძალაუფლება დაკარგა. გასულ კვირას აშშ-ს მისამართით ანალოგიური ბრალდება გამოთქვა კუბის პრეზიდენტმა ფიდელ კასტრომ: "თუ ჩავესს მოკლავენ, ვაშინგტონის ბრალი იქნება. ამას ვამბობ, როგორც ადამიანი, რომელმაც ასობით იმპერიული მკვლელობის გეგმები გადაიტანა". "დღეიდან ამას მე ვიტყვი. არც მე და არც ფიდელ კასტრო სისულელეს არ ვლაპარაკობთ," - განაცხადა კვირას ჩავესმა.

იბერიის ნახევარკუნძული მარცხნივ იხრება

პორტუგალიაშიც სოციალისტებმა გაიმარჯვეს

პორტუგალიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. არჩევნებში სოციალისტურმა პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა. "ყველაფერ იქითკენ მიდის, რომ ჩვენი პარტია ისტორიულ გამარჯვებას მოიპოვებს," - განაცხადა უკანასკნელ წინასაარჩევნო მიტინგზე პორტუგალიის სოციალისტების ლიდერმა ჟოზე სოკრატეშმა. მათი გამარჯვება მართლაც ორმაგად ისტორიულია. პირველად უკანასკნელი 30 წლის მანძილზე სოციალისტები მთელს იბერიის ნახევარკუნძულს "უპატრონებენ"- ესპანეთშიც და პორტუგალიაშიც.

რიგგარეშე საყოველთაო არჩევნების შედეგად (მორიგი არჩევნების ჩატარებამდე ერთი წელი იყო დარჩენილი), პორტუგალიის ხელისუფლებაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მეოთხე მთავრობა მივიდა. საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ, სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი "ეგზიტ პოლების" მონაცემებს მიესალმა და მათ "შესანიშნავი შედეგი" უწოდა, რითაც იმაზე მიუთითა, რომ 2002 წელთან შედარებით, საარჩევნო განაცხადი 5-დან 67 პროცენტამდე გაიზარდა. სოცპარტიის წარმომადგენლის აზრით, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ამომრჩევლებს არათუ ცუდი მთავრობის უბრალოდ მოშორება სურდათ, არამედ სოციალისტების მხარდაჭერაც, რადგან მათ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა მიანიჭეს. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე პორტუგალიის პრეზიდენტი ჟორჟე სამპაიო საუბრობდა, რომ ქვეყანა კრიზისის ზღვარზე იმყოფებოდა. ქვეყნის ლიდერმა, რომელიც სოციალისტური შეხედულებების ერთგულია, ახალი არჩევნები დანიშნა, რადგან, პრემიერ-მინისტრი პედრუ სანტანა ლოპეშის მემარჯვენე-ცენტრისტული მთავრობისადმი ნდობა დაკარგა. სანტანა ლოპეშს პრემიერ-მინისტრის სავარძელი ჟოზე მანუელ ბაროზუსგან ჰქონდა მიღებული, რომელიც, თავის მხრივ, ევროკომისიის პრეზიდენტი გახდა. მთავრობის სათავეში ლოპეშის მუშაობის დროს ქვეყანაში წინააღმდეგობა გამწვავდა და ხელმძღვანელობის მისამართით არაკომპეტენტურობის ბრალდებებიც გაისმა. ლოპეშის (რომელიც პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, უკვე თანამდებობიდან გადააყენა) მთავრობის ზოგიერთი მომხრე თვლის, რომ სამპაიოს მხრიდან წაყენებული ბრალდებები პოლიტიკური იყო, ოპოზიციურ სოციალისტურ პარტიაში მისი წევრობის გათვალისწინებით. **სოციალ-დემოკრატებისა და ულტრამემარჯვენე სახალხო პარტიის კოალიცია პორტუგალიის ხელისუფლების სათავეში 2002 წელს მოვიდა, გადასახადების შემცირების, სახელმწიფო ფინანსურ პოლიტიკაში წესრიგის დამყარებისა და ეკონომიკური ვარდნის შეჩერების დაპირებებით.** მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ (დღეს ევროკომისიის პრეზიდენტი) შოკური თერაპია აირჩია, თუმცა ეკონომიკური ვარდნა კრიზისში გადაიზარდა. ხელისუფლებაში მემარჯვენეთა ყოფნის პირველი ორი წლის განმავლობაში გადასახადები გაიზარდა, უმუშევრობამ 3,8 პროცენტიდან 7,1 პროცენტამდე მოიმატა, სახელმწიფო სექტორში ხელფასები გაიყინა, მოსახლეობის შემოსავლები მკვეთრად შემცირდა. საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად მთავრობას სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა მოუწია.

უკანასკნელ მონაცემებზე დაყრდნობით, პორტუგალიის ახალი მოწვევის პარლამენტში სოციალისტები 230-დან 118 ადგილს დაიკავებენ, ამგვარად, პირველად მიიღებენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში აბსოლუტურ უმრავლესობას. პორტუგალიის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი პედრუ სანტანა ლოპეში ხელისუფლებაში სულ შვიდი თვის განმავლობაში იმყოფებოდა და სოციალ-დემოკრატების დამარცხება ამ პარტიის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგი გახდა. სოციალისტების ლიდერმა და გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა ჟოსე სოკრატეშმა ქვეყნის მოსახლეობას პორტუგალიის არც თუ სახარბიელო ეკონომიკაში ახალი სიცოცხლის შთაბერვას გადამჭრელი ზომებით დაჰპირდა. ამ ქვეყნის უმუშევრობის დონე 7 პროცენტს შეადგენს, ხოლო ევროკავშირის წარსულში არსებული გულუხვი დოტაციები თუ უცხოური ინვესტიციები მის თვალწინ "მიცურავს" აღმოსავლეთ ევროპაში.

ევროკავშირის კონსტიტუცია - ესპანეთის პირველი "დიახ"

ესპანეთის რეფერენდუმი ევროპის კონსტიტუციის სასარგებლოდ დასრულდა

ევროკავშირის ახალმა კონსტიტუციამ პირველი წინააღმდეგობა წარმატებით დაძლია. კვირას ესპანეთში 2004 წლის 29 ოქტომბერს ხელმოწერილ ევროპის მთავარ კანონთან დაკავშირებით, პირველი რეფერენდუმი ჩატარდა. მართალია, ესპანეთის კანონმდებლობით, კონსტიტუციის რატიფიკაციისთვის რეფერენდუმის გამართვა ნორმატიულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაგრამ ესპანეთის მთავრობამ ხალხის აზრის გაგება მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა.

ესპანელთა დადებითი პასუხი კონსტიტუციაზე პროგნოზირებადი იყო. შესაძლოა, ერთ-ერთი მოტივი ესეც იყო, რომ პირველი რეფერენდუმი ევროკავშირის ამ წევრ-სახელმწიფოში გაიმართა. სავარაუდოდ, ესპანეთის რეფერენდუმი მაგალითი უნდა ყოფილიყო დანარჩენი წევრ-სახელმწიფოებისთვის, რომლებშიც საკითხის ასევე უპრობლემოდ გადაწყვეტას არ მოელიან.

საბოლოო შედეგები ასეთი იყო: კითხვაზე - "უჭერთ თუ არა მხარს ევროკავშირის კონსტიტუციის დამაფუძნებელ შეთანხმებას?" - მონაწილეთა 77 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, და მხოლოდ 17,4 პროცენტი იყო წინააღმდეგი. ერთი შეხედვით დამაჯერებელი შედეგებია. თუმცა, შეშფოთებისთვის მიზეზი მაინც არის. ევროოპტიმისტებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ამომრჩეველთა დაბალი აქ-

ხოსე ლუის საპატერო: დღეს ჩვენ, ესპანელებმა ევროპის ისტორია შევქმენით.

რეშე მოახდინეს აღნიშნული შეთანხმების რატიფიცირება.

პირველი რეფერენდუმის შედეგების შეფასებისას ევროკომისიის პრეზიდენტს, ჟოზე მანუელ დურაო ბაროსოს საქებარი სიტყვები არ დაუშურებია: "ასეთ დადებითი და ნათლად გამოხატული მხარდაჭერით დაწყებული გზით, ესპანელმა ხალხმა ძლიერი სიგნალი გაუგზავნა სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც თავიანთ დამოკიდებულებას ევროპის კონსტიტუციის მიმართ მომავალ თვეებში გამოხატავენ. ეს პირველი, ისტორიული ხმის მიცემა გზას უხსნის დემოკრატიულ, ეფექტიან და გამჭირვალე ევროპას. არჩევანი ასეთია: ახალი კონსტიტუციით, ჩვენ ევროპაში მშვიდობის, კეთილდღეობის, სოლიდარობისა და უსაფრთხოების კონსოლიდირებას ვახდენთ".

მიმომხილველები ესპანეთის რეფერენდუმში მონაწილეთა დაბალ მაჩვენებელს იმითაც ხსნიან, რომ ესპანელთა უმრავლესობას, უბრალოდ, არ აინტერესებს ბრიუსელში მსხდომი "ევროჩინოვნიკების" საქმიანობა. გამოკითხულთა უმეტესობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავად კონსტიტუციის შინაარსზეც. თუმცა, თავიანთ პროევროპელობას მაინც ღიად აფიქსირებენ.

ესპანეთის რეფერენდუმს დაძაბულად ადევნებდნენ თვალს მეზობელ საფრანგეთშიც. ჟაკ შირაკი შიშობს, რომ კვირას საარჩევნო ურნებთან მისულთა სიმცირე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ფრანგებზეც, რომელთა შორის კონსტიტუციის მომხრენი გამოკითხვებით, ჯერჯერობით, უპირატესობას კი ფლობენ, მაგრამ ეს უპირატესობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ რეალურად როგორ არის გადანაწილებული ხმები, ძნელი გასარკვევია. ასე რომ, დღეს საფრანგეთში რეფერენდუმის ჩატარება (კონსტიტუციისთვის), შესაძლოა, მეტად სავალალო შედეგით დასრულდეს.

ასე რომ, რეფერენდუმები დაიწყო, ჩავთვალოთ, რომ აღმატებულ ნოტაზე, თუმცა, მთელი რიგი უარყოფითი მხარეების თანხლებით. ახლა ჯერი სხვა ქვეყნებზეა. შეგახსენებთ, კონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესის გაგრძელება მხოლოდ ორი წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

სასიცოცხლო "ბარახლოვკა" მშრალ ხიდთან

დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ, საბართულოზე, ამჟამინდელი სპორტის სასახლის ადგილას განთავსებული იყო ძველი ნივთების ბაზარი იყო. 1955 წლიდან ამ ბაზარმა საბართულოს ბაზრის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, 80-იანი წლების ბოლოს კი, "ბარახლოვკას" სახელით ცნობილი ბაზარი "მშრალ ხიდთან" გადაიტანეს.

ლევან ბერიკაშვილის ფოტო

ბაზრობა მშრალ ხიდთან

თამარ დვალი

ქალბატონი ლილი მას შემდეგ დადგა მშრალ ხიდთან, რაც არსებობის თითქმის ყველა წყარო გადაეკეტა. მთავრობამ სალაროში შეტანილი ფული გაუუქმა, პენსიას დაგვიანებით აძლევდნენ და მარტხელა მოხუცი იძულებული გახდა, სახლიდან ძველი ნივთების გატანით ერჩინა თავი.

"ისეთ დროს დავრჩი ულუკმა-პუროდ, როდესაც ფიზიკურად აღარაფრის გაკეთება შემეძლო. თავის გადარჩენის ერთადერთი გზა სახლებიდან ნივთების გატანა და გაყიდვა იყო. იმ დროს ბევრმა დაიწყო ვაჭრობა, მაგრამ მე ყიდვა-გაყიდვის არაფერი მესმოდა. მაგასაც თავისი გამოცდილება და მოხერხება უნდა. პირველად დედაჩემის ნაქონი ბეჭედი გამოვიტანე. ისე მრცხვენოდა დახლთან დგომა, რომ ვცდილობდი სახე როგორმე დამემალა. ახლა იმდენი მრჩება დღეში, რომ თავის რჩენა შემიძლია. აქედან გარეუბანში გადასვლა იმას ნიშნავს, რომ მუდმივ "კლიენტებსაც" დავკარგავ და შემოსავლის წყაროსაც," - გვითხრა 70 წელს მიღწეულმა ქალბატონმა, რომელმაც არ ისურვა თავისი გვარის გამჟღავნება.

დღეს "მშრალი ხიდის" მიმდებარე ტერიტორია გაყიდულია. თბილისის მერია მოვაჭრეებს ქალაქგარეთ გადასვლას სთავაზობს. მათ საპროტესტო აქციებიც კი გამართეს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ხმაური მალევე მიწყნარდა, (თუ მიაწყნარეს).

მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის მოადგილის, დიმიტრი ჩიკვაიძის თქმით, აღნიშნული ტერიტორია დიდი ხნის წინათ გაყიდულა. 2004 წელს კი, ახალი მეპატრონე გამოჩენილა, რომელსაც ტერიტორიის სასწრაფოდ დაცლა მოუთხოვია.

"ამჟამად რუსთაველისა და კოლმეურნეობის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაზე ვმუშაობთ. თუ დააკვირდით, რუსთაველზე აღარცერთი დახლი აღარ დგას. რაც შეეხება მშრალ ხიდთან განთავსებულ ბაზრობას, იქ პრობლემები მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ახალმა მეპატრონემ ტერიტორიის დაცლა მოითხოვა და დახლები აიღო. ჩვენ გვესმის იმ ხალხის, ვინც იქ დგას. პირადად მე, ჩემი მასწავლებელი ვნახე დახლთან... გვინდა ამ ადამიანებს მაქსიმალურად დავეხმაროთ. მერია ქალაქგარეთ სთავაზობს გადასვლას, თუმცა ვეცდებით, ჩვენივე რაიონში მოვუნახოთ რაიმე ფართი," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის მოადგილემ დიმიტრი ჩიკვაიძემ.

მართალია დროებით ხმაური მიწყნარდა, მაგრამ აქ მდგომმა ადამიანებმა იციან, რომ ეს ტერიტორია გაყიდულია და დღეს თუ ხვალ, მეპატრონე ამ ადგილს მაინც დააცლევინებს. ისინი დახმარებას ქალაქის მთავრობისგან ელიან, რათა კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდნენ ულუკმა-პუროდ.

როგორც ხედავთ, გამგეობაში კეთილი სურვილები ნამდვილად აქვთ, მაგრამ ჯერ საამისოდ არც სცალიათ და არც დახმარების კონკრეტული სქემა აქვთ შემუშავებული.

სამოქალაქო საზოგადოება ქართულად

ანუ უსინდისობის, მონათმფლობელობისა და დემოკრატიის ჩვენებური შეთავსება

ბნელი და ბინძური, ავაზაკთა სარბიელად ქცეული სადარბაზოები, ნაგავი ქუჩებში, დამტვრეული სკამები პარკებში, გამოშიგნული სავარძლები ტრანსპორტში, ჰაერში მოფრიალე, თავუკუღმა გადაყრილი ტკბილეულის შესაფუთი ქაღალდები, ნაგვის პაკეტებით გადატვირთული თავღია ყუთები და მათში ჩაყუდებული სარჩოს მაძიებელნი, ფანჯრიდან მოსროლილი ნამწვები და პრეზერვატივები, ფურთხით მოფენილი "ბირჟები" ქუჩის კუთხეებში, ყოველ ნაბიჯზე ძაღლების ექსკრემენტები, ყოველ მეორე ნაბიჯზე საკუთარი დედის გინება...

ნატო ამონაშვილი-თევზაძე

ჩვენ საბრალონი ვართ, ჩვენ მძიმედ ავად ვართ...

აქ თითქმის ყველა თამაშობს, ორმაგი სტანდარტებით თამაშობს; სამშობლო უყვართ(!) სიცოცხლეზე მეტად, ძირს ნაგვის დაყრაც უყვართ, მანქანას ისე გააჩერებენ, ადამიანებმა ტროტუარზე ვერ მოახერხონ გავლა. სკოლაში მიმავალმა ბავშვებმაც ამ მანქანებს ქუჩის მხრიდან უნდა აუარონ გვერდი, გზა რომ განაგრძონ.

აყროლებული მიწისქვეშა გადასასვლელები, ბევრი იქ იკმაყოფილებს ბუნებრივ მოთხოვნას. ამ ქალაქში ხომ საპირფარეშოები უსაშველოდ ცოტაა (ჩვენი სულიერების შესაბამისად!).

ბენზინი, რომელიც მხოლოდ საქართველოში გამოიყენება და ეკოლოგიურად ისე საშიშია, რომ ცივილურ ქვეყნებში დიდი ხანია აკრძალულია; ზოგიერთნი კი ამ ბიზნესით მდიდრდებიან, მერე თავადაც ავდდებიან და ამქვეყნიდან უდროოდ მიდიან.

დაუქორწინებელი კაცები, გაუთხოვარი ქალები, ტოქსიკომანი, მაწანწალა, ბავშვობაწართმეული ბავშვები. გარაჟებად ქცეული ეზოები - პოტენციური საბავშვო მოედნები; ქუჩებში საათობით მდგარი მოზარდები, უსახსრობის გამო რომ ვერ დადიან თითო-ოროლა ძვირადღირებულ აუზსა და სპორტულ დარბაზში.

ტყეებსა და გორებზე - ნასუფრალები, საჭმლის ნარჩენები, ერთჯერადი ჭურჭელი, სხვადასხვაფერი ცელოფნები, უამრავგან და უთვალავჯერ დაყრილი და დატოვებული;

სიმბოლური კონტრასტი - დანაგვიანებული სადარბაზოები, ქუჩები და დაწკრიალებული სახლები, უკიდურესი ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის ნიშანი.

სახლიდან პირდაპირ სადარბაზოში გამოგვილი ჭუჭყი და ნარჩენები და შემდეგ - გამოკეტილი კარები; დახშული გულის კარებიც, სინდისის კარებიც, ის რამაც ადამიანი მოქალაქედ, ქვეყნის მზრუნველად და გულშემატკივრად უნდა აქციოს.

ფანჯრებიდან გადმოსროლილი ანთებული სიგარეტები, ჩაის ერთჯერდი პაკეტები, ბევრგან ხეებზე აკუნწლულნი, ქალის წინდებთან, ცელოფნის პარკებთან და სხვა საგნებთან ერთად; მშენებლობიდან პირდაპირ ქუჩაში გადმოყრილი სამშენებლო ნარჩენები, რისი მსხვერპლიც არა ერთი მოზარდი თუ ზრდასრული გამხდარა.

დილაობით ერთჯერადი შპრიცებით მოფენილი სადარბაზოები, გაჩერებულ სამარშრუტო ტაქსებში ნემსის გასაკეთებლად ასულებს მძღოლები თვალს არიდებენ;

პრესაში - წუხილი, რომ ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი ნარკოდილერების საბინადრო და თავშესაყარია და იქ მცხოვრებლებმა ყველაფერი იციან მათ შესახებ, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის;

ჩვენსავე ქალაქში - პედოფილიის, ბავშვთა პროსტიტუციის გახმაურებული არსებობა, უამრავი დამახინჯებული ბედი და გაუკუღმართებული ცხოვრება; შემზარავი ძალადობა, რომელიც ხშირად დაუსჯელია;

ისინი კულტურულ საზოგადოებას წარმოადგენენ, მათ ხელოვნება უყვართ(!) ზოგი ტაშის დაკვრას უკადრისობენ, ოპერის თეატრის ბუფეტთან ერთმანეთის ფეხებზე გადადიან და დედები და ბებიები ბავშვებს აქტიურად ტენიან წინ, შემდეგი სიტყვებით - ცხოვრებაში დაიჩაგრებიო.

მეტად "პრაქტიკულები" არიან, კონცერტის ბოლო წუთებში (რომლის შემდეგაც საჩუქრები უნდა დარიგდეს), ფილარმონიის დარბაზი ცარიელდება, სცენიდან გაოგნებული თოვლის ბაბუა და სანტა კლაუსი ერთად იცქირებიან, მშობლები კი ბავშვებითურთ ფოიეში საჩუქრებისკენ მიიჩქარიან, გაკვირვებული მოსამსახურე პერსონალის თხოვნას - დამთავრდეს და მერე გამოდითო, არად დაგიდევენ;

ქუჩის კუთხეებში ლოცულობენ და პირჯვარს ზუსტად სამჯერ იწერენ, სანთელი რომ დაანთონ ადამიანს გადაუვლიან და ღვთისმშობელი რომელი ხატი რომელ დაავადებას კურნავს, ზედმიწევნით ზუსტად გაარკვევენ; სიმართლის ხმამაღლა მთქმელებს მტრად შერაცხავენ და ჩაქოლვითაც დაემუქრებიან, თანაც საქართველოს გაბრწყინებას დაელოდებიან(!)

ისინი გაქებენ, როდესაც ჭირდებათ და გაგინებენ ყოველთვის, როცა ამისთვის სარგებელს მოელიან და რა მიმზიდველია ეს სარგებელი, რამდენი საცდურია მასში, რამდენი ძვირი რამ და ძვირფასი!

ისინი სამართალზე ლაპარაკობენ, რომელიც მსხვერპლს მოითხოვს და როცა ფაქტის წინაშე დგებიან, თბილი ადგილები ისე იზიდავთ, რომ საოცრად უსამართლოდ იქცევიან;

ხელისუფლებაშიც მოდიან, კეთილმოსურნედ იღიმებიან, ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობენ, მაგრამ ცხოვრება ყველას უწყობს გამოცდას, მაშინ კი მოყვასს ზედ გადაუვლიან და "მიწასაც" მიაყრიან.

უცნაურად იცვლებიან, ქამელეონს შეშურდება მათი სახე-ნიღბები, ხან ერთს მოირგებენ და ხანაც მეორეს; დღეს ერთს ამბობენ, ხვალე სხვას, თვალებს აჟუჟუნებენ, ჰალსტუხებს კისერში მაგრად იჭერენ, რომ დასუსტებული სულები არ ამოძვრეთ გაფეტიშებული სხეულებიდან;

უბრალო მოკვდავთა ზარებს არ პასუხობენ, ფრიად მოუცლელნი არიან, ამიტომ "ანგელოზები" ემსახურებიან და რა ქნან, რომ დაბურული მინებიდან პრობლემებს კარგად ვერ ამჩნევენ; მათ თვალებში "იკითხება" განწირულობა, რასაც თვითონ რატომღაც სხვებში ხედავენ.

ისინი მოქალაქეები(!) არიან, ყოველ შემთხვევაში ასე უწოდებენ საკუთარ თავს და თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანასაც აშენებენ(!?). მოქალაქეები, რომელთაც არც თავისი ქალაქი სტკივათ, არც რეგიონი და არც მთლიანად ქვეყანა; ყველაფერს სარგებლის თვალით უყურებენ, სიტყვასა და საქმეს კეთილგანწყობებზე ჰყიდიან;

მოქალაქეები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო საკუთარ ხალხთან, მათ დარდსა თუ წუხილთან - იმ ბავშვებთან, რომლებიც უფეხსაცმელობის გამო თოვლსა თუ წვიმაში სკოლაში ვერ დადიან, მოხუცებთან, რომლებიც გათოშილი ხელებით პენსიას მთელ თვეზე ანაწილებენ, ახალგაზრდებთან, რომელთაც საშუალება არა აქვთ კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლისა და ამიტომ, თუნდაც ნიჭიერნი, უპერსპექტივო მომავლის წინაშე რჩებიან; სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაკებთან, გამუდმებით რომ ელოდებიან ნორმალურთან მიახლოებულ სამუშაო პირობებს; უალტერნატივოდ დარჩენილ მათ უმუშევარ კოლეგებთან, რომელთა რიცხვმა მრავალ ათასს მიაღწია; და იმათთან, ვისთვისაც პიარტექნოლოგიები არაა ცხოვრების საზრისი...

ესენი ხომ ჩვეულებრივი(!) ადამიანები არიან, ამ ზედსახელით მოიხსენიებს მათ პრესაცა და ტელევიზიაც. ალბათ ამიტომაც "ჩვეულებრივ" ცხოვრებას იმსახურებენ და მათთვის თავის შეწუხება არცა ღირს, თანაც მეორე მხარეს ხომ უამრავი გარიგება და ფარსი ელოდებათ, რასაც დიდი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა და ასევე დიდი დროც სჭირდება(!).

ახლა ზამთარია, თოვს და ბარდნის. ახალგაზრდებს "სახალისო" გასართობი მოუნახავთ - მოყინულ ქუჩებში მიმავალ მანქანებს გუნდებს უშენენ, არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ არ ანაღვლებთ; იქ, სადაც სურვილები უპირატესია, სადაც მოვალეობა მხოლოდ იძულებაა, ბევრი რამ აღარაა გასაკვირი;

რამდენი სავალალო შედეგი მოჰყვა უადგილოდ გასროლილ საახალწლო "ასაფეთქებლებს". მაგრამ რა, ჩვენ ხომ ანდაზაც გვაქვს შესაბამისი - სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო; ასე შევხვდით ახალ წელსაც და ამას ზოგიერთთა მიბაძვით დადგმული წარმოდგენაც "შეეწირა" - მაშინ მოედანზე სრული განუკითხაობა სუფევდა, ადამიანებს პირდაპირ ჯიბეებში უყრიდნენ ცეცხლწაკიდებულ "ასაფეთქებლებს". ბევრი დაბრუნდა სახლში ამომწვარი პალტოთი და ქურთუკით, შეტრუსული ფეხსაცმელებით. ზოგიერთნი სცენაზე ავარდნას ლამობდნენ და პოლიციელები ძლივს აკავებდნენ, ამ ყველაფერს კი ზემოდან ევროკავშირის წრედ შეკრული ვარსკვლავები დაჰყურებდა.

რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება შედგა, აქაც ჩვენებური ანდაზა გვამხელს - ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! ეს ბოლო ამ წლებში აყვავებული, ე.წ. ველური (ანდა უზრდელური!) კაპიტალიზმია, გასაოცარი სიმბიოზი მონათმფლობელობისა დემოკრატიული ღირებულებების დეკლარირებასთან! ჩვენ ხომ დიდი ხანია გვასწავლიან, როგორი სიძველეა მონობა (არა ღვთისა ან კანონის მორჩილება, არამედ უღირს ადამიანთა!), პირფერობა, ქვემძრომობა და ასე შემდეგ, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს უნდა გვერჩიოს და ჩვენში ხომ გამუდმებით აქტუალურია (ისევ ანდაზა!) - მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო. ამ დროს ცხენიცა და ცხენის მოსართავიც და კიდევ ბევრი სხვაც - სიცრუის მთქმელთა ხელშია; მაგრამ ჩუმჩუმად ლაპარაკი, ჩურჩულით გაჭორვა და დასამარება დიდ პატივშია და ესაა ზუსტად მონების პრეროგატივა და არა თავისუფალთა.

მონათმფლობელური დემოკრატიის გამოვლინებებს ბევრგან წააწყდებით: პრეზიდენტის გამოსვლებში თუ მის "ადვოკატთა" ციტატებში, უფუნქციო კონტროლისა თუ მრჩეველთა საბჭოების არსებობაში, გაუმჭვირვალე კონკურსებსა და ტენდერებში, დაუსრულებელ გარიგებებსა და მაამებლობაში ყველა დონეზე. სახელმწიფო დაწესებულებებშიც ეამაყებათ მისი ღირებულებები და მით უმეტეს კერძო სექტორში.

მავანთა ლობირებით მსხვილი დაწესებულებების უფროსად მიყვანილი (ხშირად დარგის უცოდინარი) ადამიანები ათიათასობით ხელფასს და ასევე მაღალხელფასიან მრჩევლებს ინიშნავენ და პირველივე დღიდან თანამშრომელთა შემცირებას გეგმავენ (ადამიანთა უალტერნატივო დათხოვნები ხომ ამ მონათმფლობელური დემოკრატიის პრიორიტეტია!), ისინი ალბათ 28 ან 70-ლარზე მცხოვრებლებს ევოლუციის გაურკვეველ საფეხურზე მდგარად მიიჩნევენ; არც აინტერესებთ, რომ ბევრი დილაობით მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ მოახერხოს იმ დღეს ოჯახის გამოკვება და ამის გამო ოპტიმისტებსაც კი აქ ცხოვრება გაუსაძლისზე უარესად მიაჩნიათ;

მრავალი კერძო დაწესებულებაც დაქირავებულის მონური შრომით არსებობს - მიზერული თანხა მათ, ვინც რეალურად მუშაობს, ძირითადი შემოსავალი კი - "პატრონს". კონტრაქტსაც ისე შეცვლის, სურვილები და სხვა მიდრეკილებები როგორც უკარნახებს! "მონები" მაინც ასე გადაწყვეტენ - სახლში ჯდომას ხომ სჯობიაო;

აი, ასეთი მიმზიდველია ბევრისათვის ეს სიმბიოზი და რა დროს სამოქალაქო საზოგადოებაა, რა დროს წესრიგისა და კანონთა უპირატესობაა, რაღა დროს მორალური პრიორიტეტებია!

ჩვენს ქალაქში, მრგვალ ბაღში - ხელმეორედ(!) გაძარცვული "პატარა უფლისწულის" ქანდაკებაა, პაწაწინა პლანეტებიდან მოხსნილი სტატუეტები, უფლისწულის ხელიდან მოგლეჯილი ჩაიდანი, რომლითაც რწყავდა ასევე მოგლეჯილ - ვარდს; მისი არაამქალაქური სახე, უმწეოდ გაშლილი ხელი და ალბათ ჩურჩულით ნათქვამი - დამიხატეთ რა, ქალაქი; დამიხატეთ, ადამიანი.

აქ ხომ უამრავი პატარა უფლისწული უნდა გაიზარდოს, რას ვეუბნებით მათ, როცა რეალობასთან შეხებისას გაოცება ჩაუდგებათ ფართო თვალებში?

ჩვენ გაძარცვულები ვართ, ძალიან ავადა ვართ, მაგრამ, რატომღაც გვგონია, რომ მოქალაქეები გვქვია და თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ...

მოკლედ

გამოხმაურება

5 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით "წყალბადის საწვავი თუ გვიშველის" ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი ოთარ გიორგობიანი გამოეხმაურა და დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდა. "საქართველოს შავი ზღვის დაცვისა და რესურსების კვლევა-ათვისების სახელმწიფო სააგენტო"-ს მიერ წარმოდგენილ "ავტომობილის ბენზინი-წყალბადის კომბინირებული სისტემით (საწვავით) კვებისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა "скап"- ის დაყენება და გამოცდის ბიზნეს გეგმასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილია დასკვნები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტიდან და საქართველოს ქიმიური საზოგადოებიდან. წარმოდგენილი დასკვნები ცალსახად უჭერენ მხარს საქართველოში წყალბადის ენერგეტიკის განვითარებას და სათანადო სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას. ქ. თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის გარკვეული ნაწილის გადაყვანა შერეულ საწვავზე: ბენზინ-წყალბადი ან ბუნებრივი აირი-წყალბადი საგრძნობლად გააუმჯობესებს ამ ტრანსპორტის ეკოლოგიურ პარამეტრებს. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ, მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა წარდგენილი ყოფილიყო ბუნებრივ და თხევად აირზე მომუშავე ძრავების ეკოლოგიური და ეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე ზემოთ ხსენებული ყველა სახის საწვავის შედარებითი ანალიზი, ვერ მოხერხდა, შესაბამისი სამუშაოების ლაბორატორიული კვლევის ჩაუტარებლობის გამო. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ "საქართველოს შავი ზღვის დაცვისა და რესურსების კვლევა-ათვისების სახელმწიფო სააგენტო"-ს მიერ წარმოდგენილი წინადადება აქტუალურია და საინტერესოა ენერგეტიკული თვალსაზრისით და საჭიროებს მხარდაჭერას მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით.

ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

აუცილებელი მოთხოვნები

ა) ასაკი - 24 წლამდე.

ბ) განათლება - უმაღლესი.

გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლების მქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge

კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კომერციულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2004 წლის 10 დეკემბრის №668 გადაწყვეტილებით გამოცხადდა კომერციული კონკურსი კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად. ინფორმაცია კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. საკონკურსო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2005 წლის 11 თებერვლის 13 საათი, დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადად 2005 წლის 13 იანვრის 17 საათი, ხოლო სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობად 32684 (ოცდათორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი) ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ კონკურსში გამარჯვებული საერთაშორისო სატელეფონო კავშირის განსახორციელებლად ირჩევს კოდს შემდეგი ნუმერაციის რესურსიდან: 8-61, 8-63;

“კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ” კომისიის 2004 წლის 10 დეკემბრის №668 გადაწყვეტილების შესაბამისად, განაცხადი და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგინა მხოლოდ შპს “შავი ზღვის ტელეკომმა”. ამავე დროს, კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილია სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ისა და სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

კომისია აღნიშნავს, რომ კონკურსი კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ჩატარდა 2005 წლის 11 თებერვალს კომისიის საჯარო სხდომაზე. საკონკურსო სხდომას ესწრებოდნენ შპს “შავი ზღვის ტელეკომის” წარმომადგენლები: ზ.სამხარაძე და ლ.კვიჟინაძე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონისა და “კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ” კომისიის 2004 წლის 10 დეკემბრის №668 გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკურსის პირობას წარმოადგენს კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობა, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა, რომლის შეთავაზება მოხდება ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსის ჩატარების დროს;

“საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად:”თუ კონკურსში მხოლოდ ერთი ლიცენზიის მაძიებელი მონაწილეობს, იგი ჩაითვლება გამარჯვებულად სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის გადახდაზე თანხმობის დადასტურების შემთხვევაში”. კონკურსში მონაწილემ - შპს “შავი ზღვის ტელეკომის” წარმომადგენელმა, ზ.სამხარაძემ დაადასტურა, რომ იგი თანახმაა კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გადაიხადოს 32684 (ოცდათორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი) ლარი. კონკურსის პირობების თანახმად, კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის დასამყარებლად აირჩია კოდი 8-63.

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის 362 მუხლისა და “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-13 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კომერციულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს “შავი ზღვის ტელეკომი” რომელიც თანახმაა გადაიხადოს სალიცენზიო გადასახდელი 32684 (ოცდათორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი) ლარი;

2. განესაზღვროს შპს “შავი ზღვის ტელეკომს” საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის დასამყარებლად ნუმერაციის რესურსი 8-63;

3. 1) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ი ანუ 6536.80 (ექვსი ათას ხუთას ოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის ანუ 3268.4 (სამი ათას ორას სამოცდარვა ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის გამოკლებით მიიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიშზე მიმდინარე წლის 11 მარტამდე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი “თი-ბი-სი”;

-ა/ანგარიში: 609326

-კოდი: 220101830

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050

2) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10% ანუ 3268.4 (სამი ათას ორას სამოცდარვა ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი მიიმართოს სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე მიმდინარე წლის 11 მარტამდე;

მიმღები სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი.
კავშირგაბმულობის სალიცენზიო გადასახდელი
საიდენტიფიკაციო N 204953050
ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი 220101107
ანგარიშის N 000141408
სახაზინო ქვეანგარიში (კოდი) 9051
დანიშნულება სალიცენზიო გადასახდელი

4. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დარჩენილი 70% ანუ 22878.8 (ოცდაორი ათას რვაას სამოცდათვრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის გადახდა მოხდეს ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით;

მეორე პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, მოამზადოს და წარმოადგინოს გადაწყვეტილების პროექტი შპს “ შავი ზღვის ტელეკომი”-სათვის კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

კომისიის თავმჯდომარე დ.ქიტოშვილი

პირადი ანგარიშსწორება - არასამთავრობოთა მთავარი ეჭვი

ახალციხის მოვლენები ადამიანის უფლებების დამცველთა ყურადღების ცენტრში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის დირექტორის მერაბ ბერიძის დაკავება-დაპატიმრებასთან დაკავშირებით ატეხილი ხმაური ახალციხესა და თბილისში არ ცხრება. ამ ფაქტმა ადამიანის უფლებების დამცველების ყურადღება დაიმსახურა. მერაბ ბერიძის მსგავსად, ბოლო ხანებში არაერთი ადამიანი დაუპატიმრებიათ, მაგრამ რით დაიმსახურა ამ კონკრეტულმა შემთხვევამ განსაკუთრებული ყურადღება?

თამარ მაისურაძე

მესხეთის ფილიალის სტუდენტები კვლავ პროტესტის უკიდურესი ფორმებით იმუქრებიან. მათი ერთი ნაწილი უნივერსიტეტის ფილიალის შენობაში შიმშილობის აქციას გეგმავს, მეორე ნაწილი კი გუშინ თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის წინ შეიკრიბა და ხელისუფლებას მერაბ ბერიძის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოსთხოვა. მათ შორის იყვნენ ის სტუდენტებიც, რომლებიც ორი დღის წინ სამართალდამცველებმა მერაბ ბერიძის მხარდასაჭერად გამართული ფართომასშტაბიანი აქციის ორგანიზატორობისთვის დააკავეს და მოგვიანებით ხელწერილით გაათავისუფლეს. თავად ბრალდებული თბილისში, მეშვიდე საპყრობილეში იმყოფება და დღევანდელ სასამართლო პროცესს ელოდება, რომელიც საოლქო სასამართლოში გაიმართება და რომელზეც მართლმსაჯულება მისთვის შეფარდებული აღკვეთი ღონისძიების - წინასწარი სამთვიანი პატიმრობის - კანონიერება-არაკანონიერებაზე იმსჯელებს. საქმე ისაა, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც რექტორს პატიმრობა მიესაჯა, საოლქო სასამართლოში მისმა ადვოკატმა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა გირშელ ძებნიაურმა გაასაჩივრა.

მერაბ ბერიძის დაკავების ფაქტი გუშინ ერთდროულად იხილებოდა ომბუდსმენის, "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოფისებში.

ისევე, როგორც მესხეთის ფილიალის სტუდენტები, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრებიც ირწმუნებიან, რომ მერაბ ბერიძე პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლია და მისი დაპატიმრება ერთ-ერთი მორიგი შეკვეთის სისრულეში მოყვანის მაგალითია. თუმცა, კერძოდ ვისი ინტერესი გახლავთ მერაბ ბერიძის დაპატიმრება, ჯერჯერობით, არ კონკრეტდება.

"ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის რექტორი უკანონო პატიმარია, ბერიძეს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია იმით, რომ ფილიალის სტუდენტები თსუ-ს სამხედრო კათედრაზე ჩარიცხა," - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" და იმ მრავალ კონკრეტულ პროცესუალურ დარღვევებზე მიუთითებენ, რომლებიც მერაბ ბერიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დევს.

"გამოძიება მერაბ ბერიძეს თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებას და თანხების მითვისებას ედავება, თუმცა, მისი საქმის მასალებში არც უფლებამოსილების გადამეტების და არც თანხის მითვისების დამადასტურებელი ნიშნები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა უპრობლემოდ დააკმაყოფილა და ბრალდებულს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ჩვენ არც ისეთი არაკომპეტენტური მოსამართლეები გვყავს, რომ ასეთ ყალბ საქმეზე ასეთი არაობიექტური გადაწყვეტილებები მიიღონ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ მოსამართლემ, რაც უბრძანეს, ის გააკეთა. ანდა, როგორ შეიძლება მოსამართლემ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს ისეთ პირობებში, როგორიც ორი დღის წინ ახალციხის სასამართლოში იყო. გარდა იმისა, რომ სასამართლოს შენობა სპეცრაზმელებით იყო გარშემორტყმული, მოსამართლის სათაბირო ოთახსაც პოლიციელები იცავდნენ," - აცხადებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის წევრი თინათინ ხიდაშელი. მისივე თქმით, გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე აქციები განათლების სფეროში რეფორმების წინააღმდეგ არის მიმართული, სრული სიცრუეა.

გიორგი გაბუნიას ფოტო

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მერაბ ბერაძეს უკანონო პატიმრად მიიჩნევს.

"უბრალოდ, ვიღაცას სჭირდება, რომ ამ ყველაფერს უფრო ფართო პოლიტიკური დატვირთვა მისცეს, რომ ხალხმა უკანონობაზე დახუჭოს თვალი და უკანონოდ დაპატიმრებულის დასაცავად ხმა არ ამოიღოს. ხალხი, რომელიც დღეს ქუჩაშია გამოსული, დარწმუნებულია მერაბ ბერიძის სიმართლეში," - ამბობს თინათინ ხიდაშელი.

"საქმეში არ მოიპოვება ფაქტობრივი გარემოებები მერაბ ბერიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შესაფარდებლად. მას სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლისთვის სამხედრო კათედრაზე სტუდენტთა ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტა არ შეეძლო. ეს საკითხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა გადაწყვიტა," - აცხადებს მერაბ ბერიძის ადვოკატი გირშელ ძებნიაური. მისივე მტკიცებით, 159 სტუდენტისგან აკრეფილი თანხა ბუღალტრული წესით გადახდილია სამხედრო კათედრის თანამშრომლებისთვის, რაც სარგებლის მიზნით მერაბ ბერიძისგან ფულის მითვისებას თავისთავად გამორიცხავს.

მესხეთის ფილიალის სტუდენტი ვაჟებისთვის სამხედრო კათედრის გავლის გადაწყვეტილება მერაბ ბერიძეს თავად რომ არ მიუღია, საქმეში არსებული მასალები ადასტურებს. საქმის მასალების მიხედვით, მან წერილობით მიმართა როინ მეტრეველს, ფილიალის სტუდენტებისთვის ნება დაერთო, მომზადება სამხედრო კათედრაზე გაევლოთ. როინ მეტრეველის ბრძანებით, უნივერსიტეტის სამხედრო კათედრას დაევალა ფილიალში მოემზადებინა რეზერვის ოფიცრები, ხოლო ფილიალის ხელმძღვანელებს დაავალა, მოემზადებინათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეცადინეობების ჩასატარებლად.

ერთი სიტყვით, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გამოძიებას და მართლმსაჯულებას შეკვეთის შესრულებაში ადანაშაულებს და მერაბ ბერიძის დაცვას ბოლომდე აპირებს.

იმავე საქმესთან დაკავშირებით, ოღონდ სხვა ეპიზოდზე, კერძოდ, საპროტესტო აქციის მონაწილე სტუდენტების დაკავებაზე აკეთებს აქცენტს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი.

"ყველა ადამიანს აქვს თავისი პოზიციის იმ ფორმით გამოხატვის უფლება, როგორც საჭიროდ მიიჩნევს," - აცხადებს ომბუდსმენი სოზარ სუბარი და თავისი აზრის გასამყარებლად საქართველოს კონსტიტუციას იშველიებს.

"ხელისუფლება გადამეტებით ზღუდავს თავისუფლებას. შარშან, რევოლუციის შემდეგ ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა ხელისუფლებამ აშკარა ძალა გამოიყენა თერჯოლაში და გზის გადაკეტვისთვის მოსახლეობის ერთი ნაწილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა," - განაცხადა სოზარ სუბარმა.

ომბუდსმენის მოადგილის ბაჩო ახალაიას თქმით, სამართალდამცველებმა აქციის მონაწილე სტუდენტების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ისინი დაიშალნენ. პოლიციელებმა მათ სახლებში ჩამოუარეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. **"ჩვენი ჩარევის შემდეგ დაკავებულები სახლებში გაუშვეს, თუმცა მათი დასჯა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით გადაწყვიტეს. არც ეს დავუშვით. ამ ეტაპზე სტუდენტებზე პოლიციის მხრიდან არანაირი ზეწოლა არ ხორციელდება,"** - განაცხადა ახალაიამ.

რაც შეეხება უშუალოდ სტუდენტების პროტესტის მიზეზს, სოზარ სუბარი უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის რექტორის მერაბ ბერიძის დაკავების ფაქტის კომენტირებისგან თავს იკავებს და ამ საქმის მოგვარებას პროკურატურას ანდობს. სამაგიეროდ, სტუდენტების მოთხოვნას - რატომ იხდის ბერიძე სასჯელს, თუ მეტრეველი "კარგადაა", ლოგიკურს უწოდებს.

ომბუდსმენს არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტშიც" ეთანხმებიან. მათი აზრით, მერაბ ბერიძის დაკავება საჭვენებელი შოუა და მის ბედს, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი როინ მეტრეველი, საქართველოს ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტების რექტორები - თემურ ხუროძე და რამაზ ხეცურიანი უნდა იზიარებდნენ.

PRI ქართულ პენიტენციურ სისტემას საერთაშორისო გამოცდილებას ასწავლის

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული სიტუაცია გაცილებით უკეთესია, ვიდრე სომხეთისა და აზერბაიჯანის პენიტენციურ სისტემებში, - ასეთი დასკვნა გაკეთდა კონფერენციაზე, რომელიც ევროპის საერთაშორისო ორგანიზაცია "ციხის საერთაშორისო რეფორმამ" (PRI) ჩაატარა და რომელიც სამხრეთ კავკასიის პენიტენციური სისტემების საზოგადოებრივ მონიტორინგს მიეძღვნა.

"ამ მხრივ, სამივე ქვეყანას გარკვეული პრობლემები აქვს, რაც დაკავშირებულია საპატიმრო დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარების ნებართვასთან. საქართველოში აუცილებელია მონიტორინგის ღია მექანიზმის არსებობა, რომლის მიხედვითაც, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს უფრო ეფექტური მონიტორინგის ჩატარების საშუალება მიეცემათ. ვეთანხმები იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს სისტემა უფრო ღია უნდა იყოს, ყველა დაინტერესებულ პირს იქ მონიტორინგის ჩატარების უფლება უნდა ჰქონდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი, ვინც მონიტორინგს ატარებენ, ეთიკურ პრინციპებს მკაცრად უნდა იცავდნენ," - აცხადებს "ციხის საერთაშორისო რეფორმის" სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დირექტორი მაურა ჰარინგტონი.

"ციხის საერთაშორისო რეფორმის" რეგიონული ოფისი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მონიტორინგის სტანდარტული მექანიზმების შექმნაზე მუშაობს და სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სამდღიან კონფერენციაზე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებების დამცველები საპატიმრო ადგილებსა და წინასწარი დაკავების საკნებში საზოგადოებრივი მონიტორინგის ჩატარების საერთაშორისო ნორმებს სწავლობდნენ და ერთმანეთს გამოცდილებასაც უზიარებდნენ. აღმოჩნდა, რომ მართალია, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პრობლემები მრავლადაა, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, იქ არსებული სიტუაცია ბევრად უსწრებს აზერბაიჯანსა და სომხეთს. ამის აღიარება ადამიანის უფლებების აზერბაიჯანელ და სომეხ დამცველებსაც არ გასჭირვებიათ.

"რაც შეეხება გახსნილობას, ამ თვალსაზრისით ყველაზე წინ საქართველოა, შემდეგ - სომხეთი და აზერბაიჯანი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აზერბაიჯანშია, ამ მხრივ გაცილებით რთული პირობებია საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. სამწუხაროდ, აზერბაიჯანში სერიოზული პრობლემებია ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. რაც შეეხება სომხეთს, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებების დაცვა დიდ პრობლემას წარმოადგენს, სიტყვის თავისუფლება სომხეთში უფრო შეზღუდულია, ვიდრე საქართველოში," - ასეთია მაურა ჰარინგტონის აზრი.

"ციხის საერთაშორისო რეფორმის" სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, რომლის ოფისიც თბილისშია, პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მისაახლოებლად რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა პროექტი "მონიტორინგის ეროვნული სტანდარტების შექმნა საქართველოში" და პრობაციის რეფორმის პროექტი.

24 საათი

მოკლედ

საპატრულო პოლიცია მუშაობას რეგიონებშიც იწყებს

საპატრულო პოლიცია მუშაობას გორში დაიწყებს. საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გორს ოცდაოთხსაათიანი რეჟიმით საპატრულო პოლიციის 5 ეკიპაჟი მოემსახურება. უახლოეს მომავალში პატრული კასპში, ხაშურში და ქარელშიც დაიწყებს ფუნქციონირებას.

შიდა ქართლის საპატრულო პოლიციაში ოპერატორი "022"-იც ამუშავდება.

გარდა ამისა, ქვეითი პატრულის ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა სიები, გუშინ პრეტენდენტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაიონულ პოლიციებში გამოიკრა. პოლიციის აკადემიის რექტორის ლევან იზორიას ცნობით, აკადემიაში განცხადება შეტანილი ჰქონდა სა-პატრულო პოლიციაში ჩარიცხვის 6 ათას მსურველს, რომელთაგან 1000-მა სპეციალურად შექმნილ კომისიასთან სამი კვირის განმავლობაში გაიარა გასაუბრება. მისი თქმით, გამარჯვებულ ათას პრეტენდენტს მორიგ ეტაპზე კიდევ ერთი ტესტირების გავლა მოუწევს ფიზმომზადებაში. ხოლო ისინი, ვინც ამ ტესტირებასაც წარმატებით ჩააბარებენ, პოლიციის აკადემიის ბაზაზე ექვსკვირიან სპეციალურ და თეორიულ მომზადებას გაივლიან. აკადემიის რექტორი ვარაუდობს, რომ ამ ეტაპზე მოამზადებენ 600-მდე კანდიდატს, რომლებიც საპატრულო პოლიციაში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დასაქმდებიან. იმ პირებს, ვინც მიმდინარე გასაუბრებებზე შედარებით დაბალი ქულები მიიღეს, საშუალება მიეცემათ, შემდგომ ეტაპზე სცადონ ბედი. მათთვის ფიზმომზადებაში ტესტირება, სავარაუდოდ, მაისისთვის დაინიშნება. **მედიანიუსი**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობა ვაკანტურია

საბჭოს მდივანმა პავლე კუბლაშვილმა თანამდებობა დატოვა და ამის მიზეზად მისი ძმის, კოტე კუბლაშვილის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენას ასახელებს. **"არავითარი სხვა მიზეზი ამ განცხადების დაწერისა არ არსებობს. ეს ჩემი ძმის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენას უკავშირდება; შესაბამისად, თავიდან რომ ავიცილოთ ძალიან ბევრი უხერხული კითხვა ჩვენს ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, მე უნდა დამეტოვებინა თანამდებობა,"** - განაცხადა პავლე კუბლაშვილმა. მან უარყო დაპირისპირება უზენაესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესთან კოტე კუმულარიასთან და დასძინა: **"მინდა, ყველას იმედები გავუცრუო და ვუთხრა, რომ არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა."** მედიანიუსი

კონფლიქტის ზონაში ხუთი სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს

გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში ხუთი სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს. შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა მგზავრებს ფული და პირადი ნივთები წაართვეს.

მოსახლეობის განცხადებით, ასეთი ფაქტები გალის რაიონში თითქმის ყოველდღე ხდება და დახმარებას ვერავისგან იღებენ.

ავტობუსების დაყაჩაღების გახშირების გამო ქართულმა მხარემ არაერთხელ დასვა საკითხი ჭუბურხინჯის შეხვედრებზე, თუმცა აფხაზური მხარე პასუხისმგებლობას იხსნის და აცხადებს, რომ კრიმინალურ დაჯგუფებათა მოქმედებას ვერ აკონტროლებენ. **მედიანიუსი**

ფინანსურმა პოლიციამ თაღლითობის ფაქტზე საქმე აღძრა

ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველოში, თაღლითობის მუხლით, სისხლის სამართლის მორიგი საქმე მოქალაქე განირა ალახვერდოვას მიმართ აღიძრა. სისხლის სამართლის აღძვრის საფუძველი გენერალური პროკურატურიდან გადმოგზავნილი, მოქალაქე სუსანა კოკიაშვილის საჩივარი გახდა. დადგინდა, რომ კოკიაშვილმა გაიცნო გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში მცხოვრები განირა ალახვერდოვა, როგორც ბიზნესმენი, რომელსაც თურქეთიდან საქართველოში სხვადასხვა დასახელების საქონელი შემოჰქონდა. სწორედ ამის გამო, სუსანა კოკიაშვილმა ალახვერდოვას ასესხა 5 ათას 500 აშშ დოლარი ერთი თვის ვადით, იმ მოტივით, რომ ნასესხებ თანხას ბიზნესმენი მოგებასთან ერთად დაუბრუნებდა. აღმოჩნდა, რომ ალახვერდოვას ამავე პერიოდში სხვადასხვა მოქალაქეებისგან იმავე პირობით ნასესხები ჰქონდა 26 ათასი აშშ დოლარი და 28 ათასი აშშ დოლარის ძვირფასეულობა. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, მევალეებმა რამდენჯერმე მიაკითხეს ალახვერდოვას მათი კუთვნილი თანხის და ძვირფასეულობის დასაბრუნებლად, მაგრამ ალახვერდოვამ თანხის დაბრუნებაზე საერთოდ უარი თქვა და განუცხადა, თუ კიდევ მიაკითხავდნენ სახლში, მათ წინააღმდეგ აზერბაიჯანელი ეროვნების თანასოფლელებს გამოიყვანდა. მიუხედავად მუქარისა, მათ კიდევ მიაკითხეს ალახვერდოვას, მაგრამ იგი ადგილზე აღარ დახვდათ და დღეისათვის მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია. განირა ალახვერდოვას მიმართ აღძრული საქმე 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერპრესი**

რუსეთის უშიშროების სამსახური მოკლული ტერორისტის ხელმეორედ ლიკვიდაციის შესახებ აცხადებს

რუსეთის უშიშროების სამსახური ავრცელებს ცნობას იმის თაობაზე, რომ ინგუშეთში განადგურებულ იქნა ინგუშეთის ეგრეთ წოდებული "ჯამაათის" ლიდერი, "ალ-ქაიდას" ემისარი, საერთაშორისო ტერორისტი აბუ ზეითი, ცნობილი მეტსახელებით - "პატარა ომარი" და "აბუ ომარ კუვეიტელი." რუსეთის სპეცსამსახურების ცნობით, იგი რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობის კოორდინატორის აბუ ჰავსის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, წარმოშობით ქუვეიტელი აბუ ზეითი კოორდინირებას უწევდა ტერორისტულ საქმიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში. მან თავის დროზე სწავლება გაიარა ავღანეთში, "ალ-ქაიდას" საწვრთნელ ბანაკში, შემდეგ გადასროლილ იქნა ბოსნიაში, ბოლოს კი - ჩრდილოეთ კავკასიაში.

რუსული საინფორმაციო საშუალებები სპეცსამსახურებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ აბუ ზეითი "ალ-ქაიდადან" მიღებულ თანხებს ტერაქტების ორგანიზებას ახმარდა და სხვადასხვა ბანდფორმირებათა ლიდერებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა.

"ოპერაცია რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად 16 თებერვალს, ინგუშეთის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში, კერძო მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე ჩატარდა," - ამცნო ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის უფროსმა სერგეი იგნატჩენკომ.

"ოპერაციის დაწყებისთანავე ლიკვიდირებულ იქნა მისი ორი თანამოსაქმე, თავად აბუ ზეითმა შენობის ქვეშ მდებარე ბუნკერს შეაფარა თავი, თუმცა, როდესაც ამ ბუნკერის შესასვლელს მიაგნეს, მან თავი აიფეთქა," - განაცხადა სპეცსამსახურის წარმომადგენელმა.

იგნატჩენკოს მონაცემებით, ბუნკერში, სადაც თავს აფარებდა აბუ ზეითი, აღმოჩენილ იქნა დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა, პროპაგანდისტული ფილმების მოსამზადებელი მინისადგური და ასევე, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების დასამზადებელი ლაბორატორია.

"შეიძლება ითქვას, რომ აბუ ზეითის ლიკვიდაციით ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტების ფინანსირების სერიოზული არხი გადაიკეტა," - განაცხადა იგნატჩენკომ.

გამოძიების მონაცემებით, აბუ ზეითს კავშირი ჰქონდა 2004 წლის 1 სექტემბერს ბესლანის სკოლაში მძევლების აყვანასა და იმავე წლის ზაფხულში ინგუშეთში ბოევიკების შეჭრასთან. იმავე მონაცემების თანახმად, აბუ ზეითის ხელმძღვანელობის ქვეშ ინგუშეთში 40-50 მებრძოლი იმყოფებოდა. ამ ჯგუფს მიაწერენ 2004 წლის ივნისში ნაზრანის სასაზღვრო რაზმზე თავდასხმასა და ცეცხლმტყორცნებიდან ყაზარმის გადაწვას. თუმცა, მაშინ მესაზღვრეებმა თავდამსხმელთა მოგერიება მოახერხეს.

როგორც გამოძიება იუწყება, ბესლანის ტრაგედიაში აბუ ზეითის მონაწილეობის შესახებ ეჭვი იმთავითვე გაჩნდა, რადგანაც გათავისუფლებული მძევლები ჰყვებოდნენ, რომ ტერორისტებს შორის იყო ადამიანი, რომელიც ამ სახელს ატარებდა. მაგრამ მაშინ, ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ვერსია უარყო. მაშინდელი ოფიციალური განცხადების თანახმად, აბუ ზეითი ბესლანში ვერ იქნებოდა, რადგაც იგი 2004 წლის ივნისში, მალგობეკში მაშინ მოკლეს, როდესაც მილიცია უკან დახეულ ბოევიკებს სდევნიდა. აქედან გამომდინარე, არ გამორიცხავდნენ, რომ ბესლანში ვიღაცამ აბუ ზეითის სახელი გამოიყენა, რათა ტერორისტული აქციისთვის "საერთაშორისო სტატუსი" მიენიჭებინათ.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge



გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ასევე თბილისში მეტროს ყველთან ჩამოსვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ამფიტეატრის" (ცენტრალური);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ცენტრალურის 45 "სოფმარკის" შენობის ჩრდილოეთ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

"სადა არს პატივი მთავრობისაი, მუნ არს მსგავსებაი ღმრთეებისაი, რამეთუ თქვენ, ხელმწიფენი უფალ-გყვნა ღმერთმან ქვეყანისა განგებასა" - უთხრა მამა გრიგოლმა აშოტ კურაპალატს

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი რამაზ სულამანიძე და გამგებლის მოადგილე გიორგი ქველაძე რაიონის სკოლების მოსწავლეებს შეხვდნენ

წერილები მთავრობას

თორნიკე ჩხუტიაშვილი, 24-ე სკოლა:

საწვავის ყიდვა და მისი ყოველ მეორე დღეს ტრანსპორტირება მატერიალურ და ტექნიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულის გამო ხშირად ცივ საკლასო ოთახში გვიხდება 6-7 საათის გატარება, რაც ჩვენ მიერ სწავლის უფლების დარღვევად აღიქმება. 24-ე სკოლას რამდენიმე მეტრში ჩაუდის ბუნებრივი აირის მილები (ბაქოს ქუჩიდან და აღმაშენებლის გამზირიდან). ხომ არა გაქვთ იმის შესაძლებლობა და უფლებამოსილება, რომ სკოლის გათბობის სისტემა ბუნებრივ აირზე ჩაირთოს?

რამაზ სულამანიძე - რაც შეეხება სკოლების გათბობას, მიუხედავად იმისა, რომ სკოლები ჩვენს რაიონშია, ეს პრობლემა ჩვენ "არ გვეხება", პირდაპირ კავშირში არ არის ჩვენთან.

სკოლების გათბობის სისტემა სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუწყობელია. ესეც და სკოლების ყველა სამეურნეო პრობლემა განათლების საქალაქო სამსახურის ბალანსზეა. ჩვენი მხრიდან ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებას ჩვენი ბალანსი არ იძლევა, კანონიერად ეს დარღვევაა - შემოვა კონტროლის პალატა და ამას არამიზნობრივ ხარჯვაში ჩაგვითვლიან, რადგან კანონით განსაზღვრული არა გვაქვს ამის გაკეთება. გამოდის, რომ პირდაპირი ურთიერთობა სკოლებთან მათი სამეურნეო პრობლემების მოგვარების მიზნით, არა გვაქვს. თუმცა, თქვენთვის, რა თქმა უნდა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მოსაგვარებელი უნდა მოგვარდეს და ვინ გააკეთებს, მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ვიმოქმედებთ. განათლების საქალაქო სამსახურსაც ვაცნობებთ და ჩვენი მხრიდანაც შევეცდებით პრაქტიკულ დახმარებას - ადგილობრივი მმართველობა ვართ და ზის თუ არა ჩვენს ბალანსზე, რაიონის ნებისმიერი პრობლემა ჩვენი საზრუნავია.

დენის პრობლემა ქვეყნის პრობლემაა. სოფლებში, რაიონებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. სამწუხაროდ ენერგეტიკული პრობლემის მოგვარებაც არ არის გამგეობის ფუნქცია. გუშინ ჩვენთან დევნილები იყვნენ, გადაუხდელობის გამო დენი გამოურთეს. ჩვენი რაიონია, მაგრამ დევნილთა პრობლემებს ხომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აგვარებს. მოდით, ხშირად რომ არ მომიხდეს კითხვაზე პასუხის "აცილება", გეტყვით რა არის გამგეობის ფუნქცია. ეს არის ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნობრივი საქმიანობა. რაიონის ბიუჯეტი რვა მილიონიდან ათ მილიონამდე გაიზარდა. რას უნდა მოხმარდეს კონკრეტულად: სოციალური ხარჯები - ეს კონკრეტული მიზნობრივი ხარჯებია; კომუნალური ხარჯები - რაიონის კეთილმოწყობის საქმიანობა; საბინაო ხარჯები, რომელსაც სამწუხაროდ მინიმალურად ვერ ვაკმაყოფილებთ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი რაიონი მიწისძვრით ძალიან დაზარალდა - ძველი უბანი და ძველი სახლები; შესაძლებელია ამ სფეროებში არამიზნობრივი, გაუთვალისწინებელი ხარჯებიც - აი, წინა შეკითხვაზე რომ გიპასუხეთ, შევეცდებით მოვაგვაროთ-მეთქი.

სკოლაში რაც ხდება, პასუხისმგებელი დირექტორია. დირექტორის გარეშე სკოლაში ვერავინ შევა, საქმის გასაკეთებლადაც. ჩემს გამგეობაში არის ოთახები, სადაც სხვადასხვა ორგანიზაცია საქმიანობს, მაგრამ იქ ჩემ გარეშე ვერავინ იმოქმედებს, რადგან პასუხისმგებელი მე ვარ.

თიკო გახოკიძე, 24-ე სკოლა:

სკოლის წინ სკვერში გოგი დოლიძის ძეგლი დგას და შენდება ეკლესია. სკვერში თავს იყრიან უბნის უსაქმური და მოხულიგნო ახალგაზრდები, რის გამოც ხშირადაა აყალმაყალი, ჩხუბი, ისმის გინება, უხამსი საუბარი. არის სკოლაში შემოჭრის მცდელობებიც, რაც, ბუნებრივია, ხელს გვიშლის გაკვეთილების მსვლელობის დროს. კარგი იქნება, თუ ამ ადგილს ხშირად გააკონტროლებს პატრული ან ცალკეული მისი პოლიციელი.

რამაზ სულამანიძე - თავისუფალ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ქუჩაში დგომას ვერავის დავუშლით. თუ დანაშაული ხდება, ამაზე რეაგირებაა საჭირო. ისეთი ადგილები, სადაც "აბირჟავებენ", პატრულის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. თუმცა, პატრულის რიგები არ არის ისე შევსებული, რომ საკმარისი იყოს. უახლოეს ხანებში აღდგება უბნის რწმუნებულის, "კუკარაჩას" ინსტიტუტი. უფრო თანამედროვე ახალი მეთოდებით... სკვერს იმიტომ ვაკეთებთ, რომ ადამიანებს იქ ყოფნა შეეძლოთ, ლაპარაკი ერთმანეთთან და რაზე ისაუბრებენ ამას ვერავინ ვერ დაუშლის. ხშირად მესმის უცენზურო საუბარი, მაგრამ ამაზე რეაგირება ჩვენ არ შეგვიძლია - ადამიანი ისე უნდა იზრდებოდეს და გაიზარდოს, რომ იცოდეს როგორ ილაპარაკოს ქუჩაში. გული მტკივა, როცა გამოვდივარ ქუჩაში და ვხედავ და მესმის ახალგაზრდებისგან ადამიანისთვის შეუფერებელი საქციელი, მაგრამ ის თავისუფალი ადამიანია და უფლება აქვს, კანონის ფარგლებში, რაც უნდა, ის გააკეთოს. ჩავაყენებთ პატრულს საქმის კურსში, რომ ხელი შეუშალოს "ბირჟავიკებს". ჩვენ ახლა ძველიდან ახალ სტრუქტურაზე გადასვლის პერიოდში ვიდრე გადავალთ "რაღაც დრო რჩება", ვაკუუმს ხშირად ვერავინ ავსებს, მაგალითად როცა გაუქმდა პოლიცია, სატრულოს შემოსვლამდე "გაუგებარი" მდგომარეობა იყო, ფუნქციების გაურკვევლობა. პატრულმა ყოფილი სისტემა ნელ-ნელა ჩაანაცვლა და ნელ-ნელა წესრიგიც მყარდება. ამგვარი პრობლემა ყველა სკოლასთან იქნება. უბნის ინსპექტორი რომ ვახსენე, ის უბნის თითოეულ მცხოვრებზე ინფორმაციას ფლობს, ეს ხალხი აკონტროლებს უბნის სიტუაციას. ახლა ამ ინსტიტუტის შემოსვლა დაარეგულირებს სიტუაციას.

სკოლის ეზოებში, კომუნისტების დროს ასე იყოო, ამბობენ ხშირად. მაშინ სკოლაში იყო რაღაც თვითმმართველობა, მოსწავლეებთან ერთად სკოლის ეზოს მასწავლებლები უვლიდნენ და ამას არ სჭირდებოდა განსაკუთრებული ჩარევა რაიონის მმართველობიდან.

ასევე მცხოვრებლების დონეზე - ხალხი ეზოს უვლიდა. არ უნდა ელოდონ, როდის მივა გამგებელი. იცით, ამას არა თუ გამგებელი, უცხო ადამიანი არ სჭირდება. თითოეული მოქალაქის მოვალეობაა დაიცვას სისუფთავე. სახლების ამხანაგობები რომ გაკეთდეს, თითო მცხოვრებმა ათთეთრიანი შენატანი რომ გააკეთოს, ეს საკითხი მოგვარდება. რა თქმა უნდა, თავისი ფუნქცია მმართველმა და აღმასრულებელმა სტრუქტურებმაც უნდა შეასრულონ.

თქვენ რომ აიღოთ ინიციატივა, მოდით გავაკეთოთ, ავიღოთ ბარი, მოვბაროთ ჩავრგოთ და მოვუაროთ, ამას ბევრი სჭირდება? კარგი იქნება სკოლებში საინიციატივო ჯგუფი რომ იყოს, ისევე, როგორც თქვენს საცხოვრებელ სახლებში.

ქეთი ჭელიძე, 130-ე სკოლა:

ჩვენი სკოლა ეკუთვნის სახელმწიფო სკოლათა რიცხვს, მაგრამ სახელმწიფო მასზე არ ზრუნავს. ჩვენ გაუსაძლის პირობებში ვსწავლობთ: არ გვაქვს სპორტული დარბაზი, წვიმის დროს ჩამოდის წყალი, საპირფარეშო საშინელ მდგომარეობაშია. ჩვენმა დირექტორმა მიმართა სახელმწიფოს, მაგრამ ამაოდ. რატომ არ გამოეხმაურეთ ამ მტკივნეულ პრობლემას?

დარეკეს, რომ გზა კატასტროფულ მდგომარეობაშიაო და ჩვენ მას გავაკეთებთ, გაზაფხულზე. დღეს ვერც ერთი დირექტორი ვერ იტყვის, რომ სკოლას დაფინანსება არა აქვს. საკმარისი, სამწუხაროდ, არსად არ არის, მაგრამ ის მწირი რომ მიზნობრივად გამოვიყენოთ, ნელ-ნელა პრობლემებს აღმოვფხვრით, მიზანმიმართული ხარჯვაა საჭირო. წყალი რომ ჩამოდის, მაშინ ვიკითხოთ, სად მიდის თანხა, რას აკეთებს სკოლის დირექტორი. ე. ი. არა აქვს მიზნობრივი ხარჯვა. მან ინიციატივა გამოიჩინოს და არსებული მიზნობრივად დახარჯოს. თქვენ ალბათ არა გაქვთ სრული ინფორმაცია თქვენს სკოლაზე. რაში ხარჯავს დირექტორი სამეურნეო ბალანსზე დასმულ თანხას. მე ბევრ სკოლასთან დაკავშირებით მაქვს ასეთი ეჭვი. ბევრ სკოლაშია პრობლემა, მაგრამ სადაც არაფერია გაკეთებული, ვერ დავიჯერებ, რომ სამეურნეო ბალანსზე არანაირი თანხა არ ჰქონდათ.

გიორგი ქველაძე - თქვენს სკოლაში ორი კვირის წინ ვიყავი და ვიცი რა პრობლემები გაქვთ. წყალი ბუფეტის მხარეს ჩამოდის, მეორედან პირველ სართულზე. მე თქვენს დირექტორსაც ვუთხარი, რომ მარტივად მოსაგვარებელი პრობლემაა, ბოლოს და ბოლოს, მეორედან ჩამოდის პირველზე და არა მესამედან მეორეს გავლით. გამგეობის ხარჯი შეიძლება დაიხარჯოს სახურავის გადახურვაზე. სამეურნეო ხარჯები თუ მთლიანს არ ყოფნის, დირექტორმა ნაწილი მაინც უნდა გააკეთოს.

რამაზ სულამანიძე - აქტუალური თემაა, სკოლის დირექტორების შეცვლა მიმდინარეობს. სკოლის დირექტორები ახლა განსაკუთრებით მონდომებულები არიან. ეტყობა, ძალიან მიმზიდველი თანამდებობა იყო სკოლის დირექტორობა. ისევე, როგორც ჩემი, გამგებლის თანამდებობა. რატომ უნდა მოეკლა კაცს თავი, რომ ასამოცდაათლარიან თანამდებობაზე დაენიშნათ?! თქვენ თუ გინდათ, რომ თქვენი სკოლა არ იყოს დანგრეული და გაპარტახებული, გააკეთეთ თვითმმართველობა და თავად აკონტროლეთ დირექტორი, კანონიერების ფარგლებში.

სალომე საძაგლიშვილი, 23-ე სკოლა:

იქნებ მოხერხდეს "ვარდების ბაღის" დანიშნულებისამებრ ორგანიზება? ყველასთვის ცნობილია სკვერის ანტისანიტარული მდგომარეობა, იქ თავშეყრის ადგილები. იქ უკვე "ვარდების ბაღი " კი არა გარყვნილების ბუდეა. გთხოვთ, გაუწიოთ პატრულირება. ხოლო ჩვენი მხრიდან, როდესაც შევნიშნავთ თუნდაც ერთ სამართალდამცველს სკვერში, 23-ე სკოლის მოსწავლეები ჩვენს თავზე ავიღებთ, რომ არ მოხდეს ბაღის დანაგვიანება, "შაბათობებსაც" მოვაწყობთ...

რამაზ სულამანიძე - ვარდების ბაღი საკმაოდ სერიოზული პრობლემაა გამგეობისთვის. ბაღის შიდა ტერიტორიის ნაწილი გაყიდულია, კერძო საკუთრებაა და ის პატრონები თავად განაგებენ, როგორც უნდათ. თუმცა ის, რომ გარყვნილების ბუდეა, წმინდა სამართალდამცავების პრობლემაა. თქვენ არ დაგისვამთ საკითხი - რატომ? იმიტომ, რომ ბევრი მეპატრონე ჰყავს და საბოლოო ჯამში ზარალდება მოსახლეობა. ამაში დამნაშავე ყველა მეპატრონეა და მათ შორის გამგეობაც. ეს პრობლემა პრემიერის დონეზე წყდება, რომ მთლიანად დავიბრუნოთ ტერიტორია და შესაბამისად ვუპატრონოთ ჩვენ. დღეს ყიდვა-გაყიდვა საკმაოდ აქტიური პრობლემაა, მე მგონი ტროტუარებიც კი გაყიდულია და ხშირად უკანონოდ, მაგრამ კანონიერების ფარგლებში ტერიტორიები ქალაქმა უნდა დაიბრუნოს.

ანი დარახველიძე, 24 -ე სკოლა:

"ლონდონის" ბაღში აუტანელი კრიმინალური სიტუაციაა. "ვარდების ბაღი " ახსენეს, ნარკოტიკებისა და გარყვნილების ბუდეაო. რა გასაკვირია, როცა "ლონდონის" ბაღში, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციასთან უარესი ხდება -იპარავენ მანქანებს, ტეხავენ სახლებს, მოქალაქეთა თვალწინ იკეთებენ წამალს. ხდება მოზარდების გარყვნა.

ძველი პლეხანოვი ცალკე თემაა. ჩვენ მივმართეთ პოლიციას. 27თებერვალს ვაწყობთ ბაღში ღონისძიებას, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის იქნება და განსაკუთრებულ კონტროლზე ავიყვანთ. ნინო ანანიაშვილიც დაგვესწრება. დღესაც ვიყავით ბაღში. გაუქმებული აუზი შპრიცებით იყო სავსე. ნიუ - იორკში რომ ბრონქსია, დაახლოებით ეგეთი რამაა ეგ ტერიტორია.

მარიტა წიწილაშვილი, 130-ე სკოლა:

დიღმის მასივის მეოთხე კვარტალთან, სადაც ჩვენი სკოლაა, არის ცემენტის მინი-ქარხნები, რომლებიც აბინძურებენ ჰაერს. ხალხმა თხოვნით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის არაერთ გამგებელს, რომ შეწყვეტილიყო ქარხნების მუშაობა თუ არა, ზომები მაინც მიეღოთ, რომ ჰაერი არ დაბინძურდეს, მაგრამ რეაქცია არ მოჰყოლია. მაინტერესებს, არ შეიძლება ამ ქარხნების ქალაქგარეთ გატანა?

სკოლასთან მისასვლელი გზებზე ვიზრუნებთ. რაც შეეხება ცემენტის ქარხანას, ახალი ვარ და ჯერ არ ვიცი იქ რა ხდება. პირობას გაძლევთ, რომ გავერკვევი და მოვაგვარებ.

დოდო რობაქიძე, მე-2 სკოლა:

გთხოვთ სკოლასთან მისასვლელი გზები შეგვიკეთოთ, რადგან ზამთრის პერიოდში სკოლასთან მისვლა რთულია. პირველ რიგში შესაკეთებელია კანალიზაცია, რადგან ეს ხდება გზების გაფუჭების მიზეზი.

ანი დარახველიძე, 24-ე სკოლა.

მე მინდა გზების შესახებ დაგისვათ კითხვა. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ იწყება გზების კეთება, გზები კი კეთდება, მაგრამ კომუნიკაციებია საშინელ დღეში და ფული წყალში იყრება.

რამაზ სულამანიძე - გზებს მივხედავთ, მაგრამ მარტო გზის საფარი გზა არ არის. მიწის ქვემოთა კომუნიკაციები ორჯერ მეტია და ჯერ ამას თუ არ მივხედეთ, მიწის ზედაპირის შეკეთება კვლავ ძალიან დროებითი ქმედება იქნება. აი, აგლაძის ქუჩაც. აგლაძის ქუჩა ამ წელიწადში გაკეთება, მაგრამ სანამ ელიავას ბაზრის გადატანა არ მოხდება, მერის ინიციატივით აქ უნდა გაკეთდეს მინი დისნეილენდი, ეს ახლო პერსპექტივაა. ჩვენ ვერავის დავავალდებულებთ, თორემ იქ განლაგებულმა კერძო საკუთრების ორგანიზაციებმა, შესაძლოა, თავად იზრუნონ გზაზე, ეს ხომ მათი ინტერესიცაა. ბოლო ხანებში გახშირდა, რომ ბიზნესმენები მოდიან და გვეკითხებიან, რა გავუკეთოთო რაიონს, ძალიან კარგი დინამიკაა და ვნახოთ.

თამაზ ჟიტიაშვილი, 24-ე სკოლა:

ბატონო გამგებელო, ერთი სათხოვარი გვაქვს 24-ე სკოლის მოსწავლეებს. ჩვენს სტადიონს ესაზღვრება ყოფილი ბავშვთა საავადმყოფო, ახლა მხოლოდ პოლიკლინიკა. იმისათვის, რომ სრულყოფილი სპორტული ცხოვრება გვქონდეს, საჭიროა პოლიკლინიკის ტერიტორიიდან 2-3 მეტრის წამატება. იქნებ, დაგვეხმაროთ.

რამაზ სულამანიძე - სტადიონი ნორმალურ მდგომარეობაშია? ვნახავთ, მაგრამ ეჭვი გვეპარება, რომ პოლიკლინიკამ დათმოს. თუმცა ჩვენ მოვალთ და ვნახავთ.

ხატია ტაბუცაძე, 24-ე სკოლა:

თამარ მეფისა და აღმაშენებლის გადაკვეთაზე, ავტომანქანების საცობის გამო ვაგვიანებთ სკოლაშიც. იქნებ შეძლოთ და დაგვეხმაროთ?

რამაზ სულამანიძე - თბილისში ეს თემა აქტუალურია. ვერც სამკუთხედმა უშველა და ვერც ოთხკუთხედი უშველის: მანქანებმა მოიმატა, ქუჩები არ არის ამდენზე გათვლილი. ვერც ამოქმედებული შუქნიშნები აგვარებს ამ პრობლემას იმის გამო, რომ ბალანსია დარღვეული. არასწორია ქალაქგეგმარებაც: ვაკეში ამდენი სახლი არ უნდა აშენებულიყო, ვეღარ იტანს ქუჩები, ისინი სხვა მასშტაბებზეა გათვლილი. ახალი სტრატეგიული გეგმაა მაგისტრალები და გვირაბები, ვნახოთ რა იქნება.

ირაკლი კუხალეიშვილი, მე-2 სკოლა:

სკოლას აქვს სტადიონი, რომელიც გასაკეთებელია. სკოლამ თავისი სახსრებით ვერ მოახერხა. გთხოვთ დაგვეხმაროთ სტადიონის აღდგენაში.

რამაზ სულამანიძე: რომ შეგპირდეთ, ტყუილი იქნება. მუშა-მოსამსახურეებით, ტექნიკით დახმარება შეიძლება. აამოქმედეთ თვითმმართველობა, ინიციატივები და ჩვენი თანადგომა არ დააყოვნებს.

თქვენ თამაშობთ სტადიონზე და თქვენ ხედავთ გასაკეთებელს.

სალომე სირაძე, 130-ე სკოლა:

ჩვენს კორპუსში არ მუშაობს ლიფტი და ფეხით გვიწევს ასვლა. ძალიან ხშირად კიბეებზე დგანან ნარკომანები და ბავშვებს უხეში სიტყვებითაც მოგვმართავენ. გვეშინია სახლში ასვლა. (დიღმის მასივი, მეოთხე კვარტალი, კორპუსები 26 - 13 და 12).

რამაზ სულამანიძე -გამოუძახეთ პატრულს.

გიორგი ქველაძე - ჩემს სადარბაზოში თუ დავინახავ, დავრეკავ პატრულში და არ ვიფიქრებ იმაზე, რომ "ვუშვებ" ვიღაცას, არ შემეშინდება. პატრულს დღეს სამოქალაქო მხარდაჭერა აქვს. პატრული საზოგადოებრივი წესრიგითაა დაკავებული. თქვენი და თქვენი მშობლების მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალია და არა ისე, რომ "ჩემს სადარბაზოში ვიღაც რაღაცას აშავებს, მაგრამ მე ის სახეზე არ ვიცი ".

რამაზ სულამანიძე - თანადგომა კანონს სჭირდება და არა უკანონობას, ეს თქვენი ავანსია. ნუ დაელოდებით, რომ გამგეობა და პოლიცია მოვა თქვენს სადარბაზოში და თვითონ შეამჩნევს. აკრიფეთ ტელეფონი.

მოსწავლე - იარეთ ჩვენთან კულტურულ ღონისძიებებზე, იცით რამდენ რამეს ვაკეთებთ?!

რამაზ სულამანიძე -ვივლით. მაგრამ აუცილებლად მითხარით დრო. გუშინ დამითვეს მოსაწვევი, რომელსაც დრო არ ეწერა. აი, ჩემი ტელეფონი, ყველა ზარს ვპასუხობ

8 99 97 45 50

ქალაქის -95 11 21

დარეკეთ ნებისმიერ დროს, მზად ვარ გემსახუროთ.

გმადლობთ შეხვედრისათვის და მინდა ვისურვო, რომ ყველა ახალგაზრდას თქვენნაირი მაღალი სამოქალაქო შეგნება ჰქონდეს. დღეს აზროვნება ძალიან ბევრს ნიშნავს.

თქვენი ინიციატივები ბევრ საქმეს გააკეთებს. მე ნებისმიერ დროს და ნებისმიერ თემაზე გესაუბრებით.

გიორგი ქველაძე - მთელი ცხოვრების მანძილზე იყავით აქტიურები. რამდენიმე წლის წინ მეც ამ დარბაზში ვსვამდი შეკითხვებს და დღეს დავრწმუნდი, რომ სწორად ვიქცეოდი. თქვენ დღეს მიიღეთ თუ არ მიიღეთ დამაკმაყოფილებელი პასუხები შეკითხვებზე, ამის მიუხედავად უკან არ დაიხიოთ - იყავით აქტიურები და ყოველთვის დასვით შეკითხვა და იმოქმედეთ.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
შემდეგი გვერდი გამოვა 8 მარტს

"ნეტავ იცოდეთ, რა სისულელეებისგან იბადება ლექსები"

B2

ყოველ სამშაბათს

B3

ზინედინ ზიდანი: "ნურავის დაავიწყდება, რომ მადრიდის "რეალი" ვართ"

B5

ქიშაშვილი ავადმყოფების მატებას ელოდება

"ქართული მედიცინა ბეხლეწი და ტლანქი მონსტრია"

ოთარ ქირია

ექსხელისუფლებას ოპოზიცია იმას ედავებოდა, ექიმებისა და პედაგოგების სამსახურებიდან დათხოვნას ოპტიმიზაციით ნუ ნიღბავო. მაშინდელი ოპოზიცია დღეს ხელისუფალია, თუმცა ხალხის სამსახურებიდან დათხოვნა გაცილებით მაღალი ტემპებით მიმდინარეობს. ნებისმიერ შემთხვევაში, მედიცინაში ეს გარდაუვალია. ამასთან, ბოლო დროს საოცარი ინფორმაციები ვრცელდება: რომ ჯანდაცვის სამინისტრომ სოციალური დახმარებები შეწყვიტა, "დიალიზის" პროგრამა შეაჩერა, იყო დიაბეტიანების ინსულინით უზრუნველყოფის შეწყვეტის მცდელობა და ა.შ. "24 საათი" შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ლადო ჭიპაშვილს ესაუბრა.

- ამბობთ რეფორმა დავიწყეო. იქნებ, გვითხრათ რას ნიშნავს ის - სოციალური დახმარებების შეწყვეტას თუ პროგრამების შეჩერებას?

- რეფორმა უკვე დაიწყო და მალე იხილავთ, რა შედეგსაც გამოიღებს. ორივე - ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს რეფორმირება, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იქნება.

- კონკრეტულად, როდის და რას ვიგრძნობთ?

- სოციალური სფეროს რეფორმა ნოემბერში დაიწყება. იგი გულისხმობს უკიდურესი სიღატაკის დაძლევას, კონკრეტულად კი, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემას. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, მისი რეფორმირება უკვე დაიწყო.

- ალბათ, იმას გულისხმობთ, რომ რამდენიმე პროგრამა გაჩერდა..?

- ჩვენ უარი ვთქვით რამდენიმე არასამართლიან პროგრამაზე. კერძოდ, მოქალაქეების ინდივიდუალურად დახმარების პროგრამაზე. ეს ის შემთხვევაა, როცა ჯანდაცვის სამინისტროს ადამიანები ინდივიდუალურად მიმართავენ დახმარებისთვის. ხშირად ასეთი დახმარების ობიექტები, არა გაჭირვებული, არამედ საკმაოდ შეძლებული და ძალიან შეძლებული ადამიანებიც ხდებოდნენ.

- გეთანხმებით, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით ერთ ქვაბში მოიხარშება მდიდარიც და ღარიბიც. რა ქნას ღარიბმა, მოკვდეს?

- ასეთ დროს ყოველთვის აქვს ადგილი, როგორც მინიმუმ, სუბიექტივიზმს და უსამართლობისგან არავინ არის დაზღვეული. საუკეთესო ვარიანტში, დახმარებას იღებდა მხოლოდ ის, ვინც აქამდე აღწევდა.

- შეგექმნათ რაღაც სისტემა. ზოგი აქამდე მაინც აღწევდა, ახლა მათაც აღარ იციან, რა მოიმოქმედონ.

- რატომ? ჩვენ ვქმნით უფასო სასწრაფო დახმარების სისტემას.

- ონკოლოგიას სასწრაფო უშველის?

- გასაგებია, რომ ოჯახისთვის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა წარმოუდგენელია. სრულ უფასობას ვერ დავპირდებით პაციენტს, მაგრამ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ონკოლოგიური მომსახურება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს. იქმნება სრულიად ახალი სისტემა.

- კერძოდ?

- მაგალითად, გადაუდებელი ოპერაციები იქნება სრულიად უფასო და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყველასთვის. იქმნება უნივერსალური ამბულატორიული სისტემა, რომელიც იმუშავებს მთელი საქართველოს მასშტაბით. მოხუცებისა და ბავშვებისათვის ამბულატორიული მომსახურება აბსოლუტურად უფასო იქნება.

- როდის იქნება ეს და კონკრეტულად, რას გულისხმობს ასეთი სისტემა?

- სასწრაფოებთან დაკავშირებული სიახლე 1 მაისს ამოქმედდება, ამბულატორიული მომსახურება კი მომავლი თვიდან გახდება უფასო. უფასო იქნება, მაგალითად, გადაუდებელი ოპერაციები.

- რა აზრი აქვს, მედპერსონალი ჩვეულებრივად გამოგართმევს ფულს, თუ იმის გადაწყვეტაში, რამდენად საჭიროა გადაუდებელი ოპერაცია?

- რეფორმა კონტროლსაც გულისხმობს.

- საქართველოში ასეთი ტენდენციაა - თუ მომსახურება უფასოა, ის აუცილებლად უხარისხოა. თუმცა, ფასიანი მომსახურების დროსაც, ხშირ შემთხვევაში, მაინც ითხოვენ ზედმეტ ფულს. თუ გადაუხდის სახელმწიფო ოდესმე ექიმებს ნორმალურ თანხას და, ამავდროულად, თუ შეიქმნება რამე მექანიზმი, რომელიც არაკეთილსინდისიერ მედიკოსს გააკონტროლებს?

იაკობ ლოგოლაძის ფოტო

- როცა სისტემურ გაუმჯობესებაზე ვსაუბრობთ, ესეც იგულისხმება. ყველა პროგრამა უნდა იყოს რეალისტური და ცხოვრებასთან ახლოს მდგომი. ექიმი, რომელიც ორსაათიან ოპერაციას აკეთებს, არ უნდა იღებდეს ორ ლარს. გადაუდებელ ოპერაციებში ვდებთ მეტ ხელფასს. მაგალითად, აპენდექტომია (ბრმა ნაწლავის ოპერაცია) - ქირურგის ხელფასი იქნება 60 ლარი. ერთი ოპერაციისთვის ნეიროქირურგი მიიღებს 300 ლარს და ზევით. ამით მოიხსნება ექიმების მოტივაცია, - მშიერს ხომ არ მოვკლავ ოჯახსო.

- ანუ ვიღაცას ბევრი პაციენტი ეყოლება, ვიღაცას - არა, ვიღაც უმუშევარი დარჩება, ვიღაც - არა. ყველას ხომ არ გადაუხდით ფულს?

- ფულს მივაბამთ არა საავადმყოფოებს, არამედ ავადმყოფებს, როგორც ეს მოხდა მშობიარობების შემთხვევაში, როცა ყველა მშობიარეს ვაძლევთ 200 ლარის ღირებულების ვაუჩერს.

- იცით, რომ სამშობიაროებში მშობიარობა ამის შემდეგ უფრო გაძვირდა? გარდა ამისა, უფასოდ მომსახურების ხარისხი არ გაზრდილა.

- მესმის, რომ 200 ლარი არ არის საკმარისი, მაღალკომფორტული მშობიარობისთვის. მაგრამ ეს არის ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგვიძლია. არ მაქვს იმის ილუზია, რომ ამ თანხით უფასოდ იმშობიარებენ, მაგრამ რაღაც ნაწილი ხომ გაუმჯობესდა? მართალია, არა საუკეთესო პირობებში, მაგრამ ყველაზე გაჭირვებული ფენა ხომ მშობიაროს უფასოდ.

- ეს არაკეთილსინდისიერი ექიმების არსებობას არ გამორიცხავს.

- ეს ჩვენი ყველაზე სუსტი წერტილია. ჩვენ არ ვართ ისე გაძლიერებული, რომ სრულფასოვანი ადმინისტრაციული კონტროლი დავაწესოთ. ქართული სამედიცინო სისტემა არის უზარმაზარი, ბეხლეწი და ტლანქი მონსტრი, რომლის კონტროლი ნებისმიერ პირობებში ძალიან რთულია. სისტემა ეფექტურია, თუ მარგი ქმედების კოეფიციენტი 80 პროცენტს აღწევს. ჩვენს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი, მაქსიმუმ, 15 პროცენტია. თუ ამ მაჩვენებელს გავზრდით, მაშინ არსებული თანხების ხუთჯერ უფრო ოპტიმალურად გამოყენებას შევძლებთ.

- სურვილი ერთია, რეალობა - მეორე.

- ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი. საჭიროა, შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ ექიმი იყოს ადეკვატურად დატვირთული, მას უნდა ჰქოდეს პრაქტიკული სამუშაო.

- რაც, თუ არ ვცდები, იმას ნიშნავს, რომ მათი რიცხვი უნდა შემცირდეს.

- პირველ ყოვლისა, საჭიროა ავადმყოფების რაოდენობის გაზრდა, ანუ მათი საავადმყოფოში მიყვანა. ვინაიდან დღეს ბევრი, უსახსრობის გამო, საერთოდ არ მიდის სამედიცინო დაწესებულებებში. მათი მიყვანა მოხდება ფასის დაწევითა და უფასო მომსახურების პროგრამების მეშვეობით, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ. მეორე ჯერზე კი, საჭირო იქნება მათი რიცხვის ექიმების რაოდენობასთან ადეკვატურობაში მოყვანა. ექიმთა რიცხვი იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე ვსაჭიროებთ.

- ამაზე საუბარს თავის დროზე დიდი სკანდალები მოჰყვა. გგონიათ, რომ თქვენს შემთხვევაში შემცირებებს არ გააპროტესტებენ?

- ეს პროცესი ბუნებრივად ისედაც დაწყებულია - კომუნისტების დროსთან შედარებით, საქართველოში დიპლომირებულ ექიმთა რიცხვი ათი ათასით შემცირდა და დღეს 25 ათასია.

- კომუნისტების დროს სამედიცინო მომსახურების საკითხი მშვენივრად იყო დაყენებული.

- გეთანხმებით. უფულოდ თუ მიხვიდოდით მხოლოდ ექიმთა მოღუშულ სახეებს ნახავდით და მომსახურებას ეს არანაირად არ შეეხებოდა, დღეს კი თუ ფული არ გაქვს, შენობაშიც არ შეგიშვებენ. მაგრამ იმ დაფინანსებით, რაც დღეს გვაქვს, კიდევ კარგად ვმუშაობთ.

- ხომ გაგიზარდეს დაფინანსება?

- 50 პროცენტით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენთან ჯანდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი პროცენტი იხარჯება. სხვა ქვეყნებში - გაცილებით მეტი.

- დიალიზის პროგრამა რატომ შეჩერდა და, საერთოდ, რატომ ისმის ხმები სხვადასხვა პროგრამების შეწყვეტის თაობაზე?

- არ შეჩერებულა, უბრალოდ, ცენტრალური ბიუჯეტიდან გადავიდა ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე.

- იქ, რა, ფულს უფრო იოლად არ შეჭამენ?

- ჩვენ ყველა ავადმყოფი სათითაოდ გავაკონტროლეთ და აღვრიცხეთ.

- ფინანსურად რომ გაუჭირდეს ადგილობრივ ბიუჯეტს? ასე ხშირად ხდება.

- სპეციალურ ტრანსფერტებსაც გამოვყოფთ.

- რომ მოგატყუონ?

- რატომ? აჭარამ, მაგალითად, შემატყობინა, რომ დიალიზისთვის საჭირო აპარატურა საშინელ მდგომარეობაში იყო. ჩავედით, ყველაფერი თავადაც ვიხილეთ და სიამოვნებით გამოვუყავით თანხა ახალი აპარატურისთვის.

- წამლის სააგენტოსთვის გამოყოფილი 500 ათასი ლარი რას მოხმარდა?

- ჩავატარეთ საკონტროლო შესყიდვები და დავადგინეთ, რომ პრეპარატების 18 პროცენტი ნორმებს არ აკმაყოფილებს.

- შესყიდვები რას უშველის? უკანონო აფთიაქები უნდა დაიხუროს, სამართალდამრღვევები კი, სათანადო წესით, პასუხისგებაში მიეცნენ.

- ეს ჩვენი უწყების პრეროგატივა არ არის.

- ასეთი არგუმენტი დიდი ხანია ისმის. მოითხოვეთ მაშინ ძალა.

- მოსამზადებელი ეტაპი სააგენტომ უკვე დაასრულა. შესყიდვები და ობიექტების მოულოდნელი შემოწმებები კიდევ გაგრძელდება. ჩვენი აგენტების ინფორმაციით, გასულმა ოპერაციამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო.

- აგენტები ვინ არიან?

- ჩვენი სააგენტოს თანამშრომლები, რომლებმაც უკვე იციან, რომ ფალსიფიცირებულ და უკანონო პრეპარატებს ახლა მალავენ. ჩვენი მიზანი მათი დაჭერა არ არის, მთავარია, უხარისხო პროდუქცია არ გაყიდონ.

- უკანონო აფთიაქები?

- მათთან ბრძოლა უფრო რთულია. იმიტომ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ეს ე.წ. მოძრავი აფთიაქებია.

- რატომ? მეტრო "გოცირიძესთან" ახლაც მუშაობს ფარდულის მაგვარი აფთიაქი.

- გეთანხმებით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ როგორც კი მაკონტროლებელი გამოჩნდება, მომენტალურად მალავენ ყველაფერს და დამტკიცება გვიჭირს. საჭიროა მოულოდნელი შემოწმება.

- თუ იცით, რომ "24 საათს" გერმანული ფირმა "ველედას" წარმომადგენლობა უჩივის. ამტკიცებენ, სტიბიუმნარევი პრეპარატი უვნებელიაო. ქვეყანაში თუ შეიქმნება ოდესმე სია, რომელიც იტყვის, რომ კონკრეტული ნივთიერების შემცველი პრეპარატების შემოტანა ან წარმოება არ შეიძლება?

- ამაზე ექსპერტები უკვე მუშაობენ. საერთოდ კი, მინდა გითხრათ, რომ პრეპარატში მთავარი ნივთიერებაა. როგორც კი ექსპერტები დაგვიდასტურებენ სტიბიუმის ტოქსიკურობას, მისი შემცველი პრეპარატები ხმარებიდან მომენტალურად ამოვარდება.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February

გამოწერით.
on subscription basis

e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

სვეტი

სასოწარკვეთილების ამოძახილი

ნუცა ალექსი-მესხიშვილი

გარდაიცვალა ზურა ჟვანია. ჩემში ამ ფაქტმა განუსაზღვრელი უბედურების, სევდისა და სასოწარკვეთილების გარდა (ჩვენ, არაპოლიტიკოსებს, გვაქვს უფლება, ვიყოთ უიმედო და სასოწარკვეთილი ასეთი ადამიანის სიკვდილის გამო), გააჩინა კიდევ ერთი გრძნობა. ჩვენ თითქოს პოლიტიკოსების ტყვეობაში ვიმყოფებით. მათი ზნეობის თუ უზნეობის ტყვეობაში. ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ნორმალურზე მეტად არის დამოკიდებული თანამდებობის თითოეულ პირზე, როგორც კეთილ მეფეზე. რადგანაც, რამდენადაც უნდა გვინდოდეს თავის დაჯერება, რომ ჩვენში უკვე არსებობს დემოკრატიული სტრუქტურები, ეს მაინც ჯერ კიდევ თეორიის სფეროა.

ზურა ჟვანია ხელისუფლებაში წარმოგვადგენდა ჩვენ. ვინ ვართ ეს "ჩვენ?"

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სრული უმცირესობა. ჩვენ ვართ ხალხი, ვინც ხშირად არ ჩანს არც ერთ სარბიელზე, ვინც ჩუმად და შეუმჩნევლად ვაკეთებთ ჩვენს საქმეს, ან ასევე ჩუმად და შეუმჩნევლად ვერ აკეთებს მას, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკა არ გვაძლევს ამის საშუალებას.

ჩვენ ვართ ისინი, რომლებიც, თუ ბოლო 15 წელიწადს გადავხედავთ, ფაქტობრივად, ყოველთვის ვიდექით იქ, სადაც იცავდნენ თავისუფალ აზრს. რადგანაც ძალიან კარგია პოლიტიკოსის გადასახედიდან, როდესაც ერი ერთიანდება, მაგრამ პირადად მე მიჭირს დავიჯერო ამ ფსევდოგაერთიანების. მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს არ დაერქვა თავისი სახელი. მე არ მჯერა, რომ შეიძლება იყო ერთ დღეს კერპთაყვანისმცემელი, თანახმა იყო გამოიყენო შენი ეროვნება, როგორც იარაღი შენი უპირატესობის დასადასტურებლად, ან საუკეთესო შემთხვევაში გაჩუმდე, როდესაც ამას სხვა აკეთებს და შემდეგ გახდე დემოკრატიული იდეების გამზიარებელი.

ასევე შეუძლებელი იყო თავისუფალ საზოგადოებაზე საუბარი, როდესაც სულ ცოტა ხნის წინ ქვეყანა კლანურ-კორუმპირებულ-ნომენკლატურულ ჭაობში ეფლობოდა და ჩვენ ჩუმად ვიყავით.

ეს ყველაფერი ჩვენ უნდა გავიაზროთ და მოვინანიოთ, თუმცა, საკუთარი შეცდომის აღიარებას - ქრიატიანული არსის და, საერთოდ, ადამიანის განვითარების საფუძველს - დღევანდელ, ასეთ რელიგიურ საქართველოში, არანაირი გასაქანი არა აქვს. ჩვენში ხომ მოქალაქეობრივ სინდისს საჯარო ეკლესიური შემართება ჩაენაცვლა, რომელსაც ასე ადვილად, - სამარხვო ნამცხვრების მირთმევით ვიკმაყოფილებთ.

ეს ყველაფერი საშიშია და საშიშად იჩენს კიდევ თავს.

ჩვენ ვართ ასევე ისინი, ვინც უკვე ბევრჯერ ვმდგარვართ რუსთაველის პროსპექტზე. ბოლოს, რა თქმა უნდა, 2003 წლის ნოემბერში. რა თქმა უნდა, ჩვენ ისევ გვინდოდა ძველის ახლით შეცვლა, რა თქმა უნდა, ჩვენ აღვფრთოვანდით იმ იმდენად არაორდინარული ლიდერით, ვინც თავისი სრულიად ირეალური და დაუჯერებელი ენერგიით და მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვით გაგვაერთიანა, გაგვიყოლა და მიგვიყვანა რევოლუციამდე. ყველას ძალიან კარგად გვაქვს გააზრებული, რომ მის გარეშე არც ზურა ჟვანიასნაირ პოლიტიკოსს ექნებოდა ასეთი გასაქანი და რომ ისინი ასე იდეალურად ავსებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ამაზე უკვე ბევრი ითქვა და კიდევ იტყვიან მომავალში.

დღეს კი... გარდაიცვალა ზურა ჟვანია.

ის, გარდა ყველაფრისა, იყო ჩვენი თაობის წარმომადგენელი, რაც ჩემში ყოველთვის გაოცებას იწვევდა: იმდენად ბევრი მოასწრო მან და იმდენად ცოტა - ჩვენ. ჩვენ ხომ, საერთო ჯამში, ხელმოცარული თაობა ვართ. ნიჭიერი, აქტიური, განათლებული ადამიანების ხშირად პასიური შვილები. ჩვენ შორის ბევრისთვის ყველაზე მძაფრი პოლიტიკური მრწამსის შეგრძნება ბიჭვინთაში გატარებული წლების ნოსტალგიით შემოიფარგლება. სწორედ ამიტომ მე კიდევ უფრო აღმაფრთოვანებდა ზურას - ასეთი ინტელიგენტის ასეთი დიდი წარმატება; რომ ამ ჩვენს ასეთ რთულ ქვეყანას, ასეთი რთული და არა ყოველთვის გულწრფელი მენტალიტეტის ხალხს, როგორიც ქართველები ვართ, მან, ბოლოს და ბოლოს, ალღო აუღო და მის სათავეში მოექცა, მისი საზოგადოების წინსვლაში რეალური წვლილის შეტანას შეუდგა. ახლა უკვე ყველასთვის ნათელი ხდებოდა ზურასნაირი პოლიტიკოსის მნიშვნელობა.

ქვეყნის კრიტიკულ საზოგადოებას, რომელიც სამუდამოდ განწირულია იყოს უმცირესობაში, როგორც ჰაერი, ისე სჭირდებოდა ასეთი განუმეორებელი, ასეთი ბრწყინვალე ტვინის, დახვეწილი, წარსულის მომავალთან დამაკავშირებელი პოლიტიკოსი. მე მგონი, ზურას რომ კონიუნქტურისთვის ანგარიშის გაწევა არ დასჭირვებოდა, ის კიდევ უფრო პირდაპირ და აშკარად იტყოდა თავის სათქმელს.

ეს წერილი კი უბრალო სასოწარკვეთილების ამოძახილია.

ეს არის თხოვნა, რომ **ჩვენ**, ვინც არ ვართ ყოველთვის ყველაფერში დარწმუნებულნი, ვინც ვცდებით, ვართ ეჭვებით აღსავსენი, შეიძლება ვართ პესიმისტები (ესეც ჩვენი უფლებაა) და ახლა ვართ უკიდურესად სევდიანნი, დავფასოთ ერთმანეთი, ჩვენ შვილებს და ზურას შვილებს შევუნარჩუნოთ ჩვენი წრე, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი სინანული და, უბრალოდ, ჩვენი ადგილი მომავალ, ასეთ ახალგაზრდა, ასეთ მგზნებარე, ასეთ ოპტიმისტურ, ასეთ ეკლესიურ და რევოლუციურ საქართველოში.

თუმცა, მე იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, ვარსებობთ თუ არა **ჩვენ** და მე ხომ არ ვარ მარტო, სადღაც წვიმიან ჰამბურგში, ტელევიზორის შავ ეკრანს რომ ვუყურებ, რომელზეც სატელიტური თეფშის ცუდად მოქმედების გამო ჩნდება წარწერა: საქართველოდან მიღება არ არის.

ჰამბურგი, 2005 წლის თებერვალი

"ნეტავ იცოდეთ, რა სისულელეებისგან იბადება ლექსები"

მიხეილ ქვლივიძის 80 წლისთავი და თხუთმეტი პრემირებული ღვაწლმოსილი

ვერა ნეფარიძე

მიხეილ ქვლივიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო საღამომ, საზეიმო განწყობით, ერთდროულად რამდენიმე მიზეზით ჩაიარა. გამოჩენილ და საყვარელ პოეტთან შეხვედრა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ წარმატებით გამოიყენა იმის საილუსტრაციოდაც, რომ დაემტკიცებინა, თუ როგორ აფასებს ჩვენი ხელისუფლება ღვაწლმოსილ შემოქმედებს. მათდამი პატივისცემა სახელმწიფომ თექვსმეტი ხელოვანისთვის ყოველთვიური პრემიის დაწესებით გამოხატა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

პირველი 250-250 ლარი ღვაწლმოსილმა შემოქმედებმა გუშინ კინომსახიობთა თეატრში გამართულ მიხეილ ქვლივიძის საიუბილეო შეხვედრაზე მიიღეს. "შემდეგში, ნაკლებსაზეიმო ვითარებაში, ჩვენთან, სამინისტროში აიღებთ ყოველთვიურად ამ თანხას", - მიმართა გუშინ დარბაზში მყოფ პრემირებულებს მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გუშინ რამდენიმე საათით იყო მასპინძლის როლში კინომსახიობთა თეატრში; სამინისტრო იყო გამართული ღონისძიების ორგანიზატორი, ის გასცემდა და ის იყო შეხვედრაზე გამოთქმული უამრავი სამადლობელის ადრესატიც.

გუშინდელი შეხვედრა იუბილართან, შემოქმედებითი საღამოს ფორმატში გაიმართა; საღამოს რეჟისორი გიორგი სიხარულიძე იყო, წამყვანი კი - რატი ამაღლობელი. "დიდხანს ვიფიქრეთ დღევანდელი საღამოს ფორმატზე და ბუნებრივ დასკვნამდე მივედით - მკითხველისთვის პოეტთან გასაუბრება ყველაზე სასიამოვნო იქნებოდა", - გაგვიმხილა დასაწყისშივე საღამოს წამყვანმა. ვისაც აქამდე ჰქონდა საშუალება, მიხეილ ქვლივიძის ლექსები ავტორისგან მოესმინა, კიდევ ერთხელ ისიამოვნა; ბევრს ალბათ გუშინ პირველად მოუხდა ამის განცდა. ყველა შემთხვევაში, გუშინდელი საღამო ერთნაირად სასიამოვნო იყო როგორც პოეტის, ისე მიხეილ ქვლივიძის პოეზიის მოყვარულთათვის. მით უმეტეს, რომ პოეტი დაუზარელი აღმოჩნდა - კითხულობდა და ესაუბრებოდა აუდიტორიას. განსაკუთრებით კი, ლექსების კითხვა სიამოვნებდა. თქვა კიდეც: "მიხარია ლექსების კითხვა, მით უმეტეს, ამ სცენიდან, სადაც მიხეილ თუმანიშვილს ჩეხოვის პიესების მიხედვით უნდა დაედგა სპექტაკლი, მაგრამ არ დასცალდა".

"მე ახლა კიდევ ერთ ლექსს წაგიკითხავ," - ხშირად იმეორებდა პოეტი მცირედი პროზაული გადასვლების შემდეგ. გადასვლები კი მხოლოდ პროზაული არ ყოფილა. გიორგი სიხარულიძის რეჟისორულ გადაწყვეტაში ადგილი მუსიკალური გაფორმებისთვისაც მოიძებნა. "ქართულო მიწავ", - ფონოგრამით აყვერებულმა ცნობილმა სიმღერამ მიხეილ ქვლივიძის, ასევე ცნობილ ლექსზე, დიდად არ იმოქმედა საღამოს საერთო განწყობაზე. ალბათ იმიტომ, რომ ის ერთადერთი ფონოგრამული "ჩართვა" იყო გუშინდელ, თითქმის ორსაათიან ღონისძიებაზე.

"ეს ჩემთვის მარტო სიმღერა არ არის. მე ეს დავწერე სიცოცხლისთვის. მართლაც სიმართლის მეტი არაფერი მიწერია... ჩემი თითქმის ყველა ლექსი ზეპირად ვიცი, არ გეგონოთ ვუნდერკინდი ვარ. უბრალოდ, ამ ლექსებით ვცოცხლობდი... მშობლიური ენა ცოლივითაა - უახლოესი და სანდო; უცხო ენა - საყვარლებივით იყო ჩემთვის...", - პოეტმა აუდიტორიასთან საუბარი მშობლიური ენის ირგვლივ დაიწყო. ცნობილია, რომ მიხეილ ქვლივიძემ რუსულად თარგმნა და გაახმოვანა თენგიზ აბულაძის ფილმები ("ნატვრის ხე" და "მონანიება"), რაც, როგორც თავად პოეტმა განაცხადა, მისთვის ერთგვარი პოლიტიკური აქციაც იყო. პოეტმა გუშინდელ აუდიტორიას სხვაც გაუმხილა. "ჩემი თეორიაა: სიცოცხლეს უფალი გვაძლევს, ცხოვრებას ჩვენ ვქმნით. მე ვერ შევძელი ისეთი ცხოვრება შემექმნა, როგორიც მინდოდა"; ან კიდევ: "ნეტავ იცოდეთ რა სისულელეებისგან იბადება ლექსები. აი, პოეტებს ჰკითხეთ".

გუშინდელი საღამო არ იყო დატვირთული გამომსვლელებით. გამონაკლისი იყო გაგა ნახუცრიშვილის გამოჩენა სცენაზე. ახალგაზრდა პოეტმა, უბრალოდ, გამოხატა, თუ რას ფიქრობს მიხეილ ქვლივიძეზე შთამომავლობა: "არ მიყვარს თაობის სახელით საუბარი, მაგრამ ჩემი და ჩემი მეგობრების ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე რომ მიხეილ ქვლივიძის სადა და უბრალო პოეზიამ იქონია ზეგავლენა, უნდა ვთქვა".

საიუბილეო საღამოს პოეტური პირველი ნაწილი მაშინ გაწყდა, როდესაც სცენაზე მინისტრი გიორგი გაბაშვილი ავიდა, რითაც ღონისძიებას მეორე, მნიშვნელოვანი დატვირთვა მისცა. "ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცეთ ფულადი პრემიები"... - ამგვარი იყო სამინისტროს ფორმულირება, როდესაც თექვსმეტი (მათ შორის, ცხადია მიხეილ ქვლივიძეც არის) ხელოვანი ყოველთვიური პრემიით დაასაჩუქრა. ბაჩანა ბრეგვაძე, გოდერძი ჩოხელი, რევაზ თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი, ბესიკ ხარანაული, ერლომ ახვლედიანი, ემზარ კვიტაიშვილი, გიორგი გაბილაია, ანზორ დოლენჯაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ზაირა არსენიშვილი, - ეს "შემოქმედთა ის ამალაა" (როგორც ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა უწოდა), რომელიც მინისტრის მრჩეველთა საბჭომ და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ კომისიებში შეარჩიეს. პრემირებულთაგან უმეტესობა დარბაზში იყო, რამდენიმემ (გოდერძი ჩოხელი, რეზო თვარაძე, გიორგი გაბილაია) კი ვერ შეძლო მოსვლა.

საერთო ჯამში, შემოქმედებით საღამოზე ყველა კმაყოფილი დარჩა.

რამაზ ჩხიკვაძე: "მე მიხეილი და მისი შემოქმედება ისე მიყვარს, ძალიან დიდ საიუბილეო საღამოს გავუმართავდი და აქ კი არა, სპორტის სასახლეში. მისი პოეზიით მოხიბლული ძალიან ბევრია და აღბათ ყველა მოვიდოდა, გამოიჩენდა თავს და მიესალმებოდა ჩვენს დიდებულ პოეტს. რა თქმა უნდა, დღეს რაც მოხდა, უფრო შინაურული განწყობა იყო და ესეც უხდება მიშას იმიტომ, რომ უბრალო კაცია, ქედმაღლობა მას არა აქვს. ასეთი მშვიდი, კამერული საღამო მე, პირადად, მომწონს. ჩვენი უბედურება ისაა, ჩვენი სახელმწიფო რომ ღარიბია, თორემ ათმაგად და ოცმაგად დასაჯილდოვებელია მიშა. ეს რა მოხდაო, ვერავინ იტყვის; აი, ცოტააო, ამას კი ვიტყვით. ასჯერ მეტი ჯილდო მიეღოს მიშას ჩვენგან, სიყვარული კი აქვს".

ბესიკ ხარანაული: "რა თქმა უნდა, მიშა მთელი საქართველოსთვის საყვარელი პოეტია. ისეთი კაცია, რომელიც არასოდეს მალავს საკუთარ შთაბეჭდილებებს, ფიქრებს; განსაკუთრებული სიყვარული აქვს საქართველოსი; შეიძლება ითქვას, თავისებური. ეს იუბილე, რომელიც სახელმწიფომ გაუმართა, ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დააფასა ასეთი ადამიანი. ყველასთვის სასიხარულოა და ყველა იოლად გაიგებს, როგორი სასიამოვნოა ასეთი პრემია".

ვახუშტი კოტეტიშვილი: "ძალიან მიყვარს მიხო ქვლივიძე როგორც პიროვნება, ადამიანი, პოეტი, შემოქმედი, ხელოვანი. ჩემი უახლოესი მეგობარია და მე მიხარია, რომ ასეთი სოლიდური ასაკის მიუხედავად, მაინც ჯანზეა და ძველებურად უციმციმებს ხოლმე თვალებში სიხარული და ადამიანების სიყვარული. ახლანდელი მთავრობისგან ჩვენი დაფასება გამიკვირდა. იმიტომ, რომ არა ვარ განებივრებული მთავრობის კეთილგანწყობით. არ ვიყავი არასდროს. უფრო მეტად მოხარული ვარ იმიტომ, რომ მშვენიერ შემოქმედთა ძალიან კარგი ამალაა. მათ რიცხვში ყოფნა ძალიან კარგია ჩემთვის".

30 წელი ფრანგულ კინოში

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ინიციატივით, დღეიდან კინოს სახლში ფილმების ციკლი - "30 წელი ფრანგულ კინოში" გაიხსნება.

რეტროსპექტივის პირველი ფილმი იქნება კლოდ შაბროლის "ქალთა საქმე", რომელშიც მთავარ როლს იზაბელ იუპერი თამაშობს. ფილმი 1998 წელს არის გადაღებული.

ფილმების ჩვენება 28 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. წარმოდგენილი იქნება მარენ კარმიცას "ვიდი დღე სხვაგან", ალენ რენეს "მელო", კიაროსტამის "ქარი თან წაგვიღებს", კისლოვსკის "სამი ფერი: ცისფერი", ჰანეკის "უცნობი კოდი" და დუალონის "უმცროსი ძმები".

მაყურებელს ფილმების ნახვა ყოველდღე საღამოს 6 საათზე ფრანგულ, 8 საათზე კი ქართულ ენაზე შეეძლება.

ინტერპრესი

მოკლედ

აჟიოტაჟი შეერთებულ შტატებში

"ოაზისომანია", რომელიც ევროპაში კარგა ხნის წინ დაიწყო, ოკეანის გალმაც გაძლიერდა. პირველად ისტორიაში, ბრიტანული ჯგუფის კონცერტები შეერთებულ შტატებში ნამდვილი ანშლაგებით ჩაივლის. ამის საფუძველს იძლევა ცნობა ამერიკიდან, რომელიც იტყობინება, რომ მედისონ სკვეარ გარდენში დაგეგმილ საზაფხულო კონცერტებზე დასასწრები ბილეთები ერთ საათში გაიყიდა, ასობით მსურველი კი უბილეთოდ დარჩა.

კონცერტი, რომლის ირგვლივაც ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, 22 ივნისსაა დაგეგმილი. ეს არის ჯგუფის მორიგი ალბომის მხარდამჭერი საკონცერტო ტურნე. ალბომი კი მაისში უნდა მიიღოს მსმენელმა. ამერიკელ მსმენელს "ოაზისის" კონცერტებზე ავსტრალიული ჯგუფი Jet "გაახურებს". არც ისე ხანგრძლივი სტუმრობისას "ოაზისი" ამერიკის ხუთ ქალაქს - ტორონტოს, დეტროიტს, ჩიკაგოს, ნიუ იორკსა და ფილადელფიას მოინახულებს.

კანადელ-ამერიკელი

პოპულარული კანადელი მომღერალი ალანის მორისეტი შეერთებული შტატების მოქალაქე გახდა. "თავს კანადელ-ამერიკელად მივიჩნევ", - განუცხადა ჟურნალისტებს მუსიკოსმა და დაამატა, რომ არ აპირებს უღალატოს მშობლიურ ქვეყანას.

მორისეტთან ერთად შეერთებული შტატების მოქალაქეობა ლოს ანჯელესში გამართულ ღონისძიებაზე 4500-მა ადამიანმა მიიღო. "ამერიკა დიდებული ქვეყანაა. აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ", - ამბობს მორისეტი.

ჯორჯ მაიკლი: ჩემი ჟანრი მოკვდა!

დოკუმენტური ფილმი ჯორჯ მაიკლის შესახებ, რომელიც მალე გამოვა ეკრანებზე, მომღერლის სასცენო კარიერას წერტილს დაუსვამს, - ამის შესახებ თავად ჯორჯ მაიკლმა განაცხადა. როგორც თავად ჯორჯმა განმარტა, ის კულისებს მიღმა გააგრძელებს მოღვაწეობას, რადგან მისი ჟანრი დღეს მკვდარია. "გადავწყვიტე, ვიდრე გავქრები საზოგადოების თვალსაწიერიდან, ყველაფერი განვმარტო", - განაცხადა მომღერალმა წლევანდელ "ბერლინალეზე", სადაც საკუთარი ფილმი წარადგინა.

ფილმი "სხვა ისტორია" 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ასახავს ჯორჯ მაიკლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მასში დეტალურადაა მოთხრობილი დუეტის Wham! დაშლა, ასევე ინციდენტი ლოს ანჯელესში...

მომღერალი გამოტყდა, რომ სხვაგვარი კარიერის გაგრძელება სურს. მუსიკას კი, რასაკვირველია, თავს არ დაანებებს.

ჟურნალისტიკის „ქეში"

თამარ ბაბუაძე

Gonzo (გონზო) - მერიამ ვებსტერის ლექსიკონში ეს სიტყვა არ შეუტანიათ. ვერც "ლინგვოში" იპოვით მის განმარტებას. თუ ინტერნეტში მოიძიებთ, მასთან ერთად აუცილებლად წააწყდებით ცნობას თვითონ სიტყვის გამავრცელებლის - ჰანტერ ს. ტომპსონის შესახებ.

მოკლედ, სამი ვარიანტია:

1 Gonzo ნიშნავს უცნაურს.

2 Gonzo არის სასაცილო, ბეწვიანი კაცი დიდი კეხიანი ცხვირით "მაფეთ შოუდან".

3 Gonzo ნიშნავს ჟურნალისტურ ჟანრს, რომელიც ჰანტერ ს. ტომპსონმა გაავრცელა. ეს არის მიმართულება, რომელშიც ავტორი მოვლენების უშუალო მონაწილე ხდება, ის სუბიექტური პერსპექტივიდან გადმოგვცემს ამბავს, წერილს პიროვნული მოსაზრებებითა და შთაბეჭდილებებით ავსებს. ჟურნალისტიკის ამერიკულ სახელმძღვანელოებში ნათქვამია, რომ "ახალი ჟურნალისტიკის" ფუძემდებლებისთვის ობიექტურობამ დიდი ხანია, თავისი დრო მოჭამა; რომ აღარ არის საჭირო, ობიექტურობა განტევების ვაცის პოზაში დავტოვოთ. და ა. შ.

გუშინ უცხოურ საინფორმაციო საშუალებებში წამყვანი ახალი ამბავი სწორედ ამ პუბლიცისტი-გამომგონებლის ჰანტერ ს. ტომპსონის გარდაცვალების შესახებ ცნობა იყო. 67 წლის მწერალმა ასპენში, კოლორადოს შტატში, საკუთარ სახლში მოიკლა თავი. ხუანმა - შვილმა მამას ვეღარ მიუსწრო. 20 თებერვლის საღამოს თავში ნასროლი ტყვია სასიკვდილო აღმოჩნდა. "ჰანტერი ყოველთვის იცავდა პრივატულობას, ამიტომ გთხოვთ, ნუ შეაწუხებთ მის ოჯახსა და მეგობრებს", - განუცხადა პრესას პიტკინის საგრაფოს შერიფის ოფიცერმა ტრიშა ლუთისმა.

ჯონი დეპი ტომპსონის როლში.

ჰანტერ ს. ტომპსონი

მწერალმა მარტინ ა. ლიმ, რომელიც პუბლიცისტს კარგად იცნობდა, რადიო "ბი ბი სი 4"-ს განუცხადა: "ტომპსონის სიკვდილი სამწუხაროა, მაგრამ მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ის მუდამ ცხოვრებისეული ექსტრიმის ზღვარზე ცხოვრობდა. მან უმნიშვნელოვანესი ტექსტები დაგვიტოვა; ტექსტები, რომელთაც ახალი კულტურული ნიშა შექმნა მიმდევრებისთვის".

გუშინ ჟურნალ "როლინგ სტოუნის" ინტერნეტ ვერსიაში არაფერი იყო ნათქვამი ტომპსონის შესახებ. არადა, სწორედ "როლინგ სტოუნში" დაბეჭდილი პუბლიკაციებით იქცა ავტორი უოტერგეიტის ეპოქის ამერიკული კონტრკულტურის კერპად - ნარკოტიკებით გაბრუებული აზროვნების, ფსიქოდელიური მხატვრული სიტყვის, მწარე სატირის ავტორად; ამერიკული ოცნების მტვრიან ამერიკულ გზებზე განმქიქებლად.

1971 წელს ამავე ჟურნალმა დაბეჭდა პირველად "შიში და ზიზღი ლას ვეგასში" ორ ნაწილად; ისტორია, რომელიც ფსიქოდელიური ტექსტების საუკეთესო ნიმუშად იქცა და რომელიც 1998 წელს ფილმადაც გადააკეთეს.

ტომპსონის ალტერ ეგოს - რაულ დიუკის როლს ნევადას ყვითელ გზებზე გადაღებულ სურათში ფილმში ჯონი დეპი ასრულებს, მისი მეგობრის როლს კი - ბენისიო დელ ტორო. ჰოლივუდის ეს ორი გამორჩეული გმირი (ანდა სულაც ანტიგმირი) ერთად მოგზაურობენ მოტოციკლეტით ნევადის უდაბნოში, ლას ვეგასამდე, ერთად ეხვევიან ნარკოტიკულ ღრუბელში, ერთად ებმებიან ხიფათში და ერთად ეძებენ ამერიკულ ოცნებას, ალბათ, იმ მიზნით, რომ მერე მწარე ირონიით განაქიქონ ის.

უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა-თშეთანხმება - შიში და ზიზღი ტომპსონის ფავორიტია. 1972 წელს მან დაწერა სატირა: "შიში და ზიზღი: 1972 წლის საარჩევნო კამპანიის შესახებ". 2003 წელს "ესოშიეიტიდ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში კი განაცხადა:

"მხატვრული ლიტერატურა რეალობას ეფუძნება, თუ, რა თქმა უნდა, ავტორი მეზღაპრე არ არის. ცხოვრების შესახებ ცოდნა კი საიდანმე აუცილებლად პირადად უნდა მოიპოვო. კარგად უნდა გესმოდეს ის, რის გადასხვაფერებასაც შემდეგ შენს ტექსტში აპირებ".

სწორედ ეს არის Gonzo. ანუ? მაინც ვერ მიხვდით, ხომ? ანუ, ის, რომ: "ზუსტად არც არავინ იცის, რას ნიშნავს Gonzo, მაგრამ ის რაღაც ეპითეტივით ჟღერს", - ასე ხსნიდა თვითონ ტომპსონი საკუთარ გამოგონებას და იდუმალებისა და ინტრიგის კიდევ უფრო სქელ ბურუსში ხვევდა სიტყვასაც და წერის სტილსაც.

თუმცა, მოვა კი გოდო? - პასუხის ბუნდოვანების მიუხედავად ხომ მაინც ყოველთვის სვამდნენ ამ კითხვას. ჩვენც დავსვათ კითხვა - რას ნიშნავს Gonzo, მით უფრო, რომ გაცილებით უფრო ნათელი პასუხის მიღების შანსი გვაქვს, ვიდრე გოდოს შემთხვევაში აქვთ - ბეკეტის გზას შემდგარ რეჟისორებს.

ჰანტერ ს. ტომპსონი სკოლის დასრულების შემდეგ აშშ-ს საჰაერო ფლოტში გაწევრიანდა. სწორედ იქ შედგა მისი ჟურნალისტური ნათლობა. ტომპსონი ფლორდის ფლოტის ბაზაზე გამომავალი გაზეთისთვის სპორტულ თემაზე წერდა. შემდეგ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და თავის სარჩენად რისი გაკეთება აღარ მოუხდა. ერთხელაც ჟურნალ "სკანლანისთვის" წერდა წერილს კენტუკის საფეხბურთო დერბის შესახებ. ვადა უკვე მოსულიყო, ტომპსონს კი ერთი წინადადებაც არ ჰქონდა დაწერილი. ვერ ასწრებდა.

"გავითიშე, ვეღარ ვმუშაობდი. ბოლოს უბის წიგნაკიდან იმ ფურცლების ამოღება დავიწყე მინიშნებები და შთაბეჭდილებები რომ მქონდა გაკრული ხელით დაწერილი. ვნომრავდი და პრინტერზე ვაგზავნიდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სტატიას არა მხოლოდ ამ ჟურნალისთვის ვწერდი ბოლოჯერ, არამედ საერთოდ - ეს იქნებოდა ჩემი უკანასკნელი წერილი", - იხსენებდა ტომპსონი "ფლეიბოისთან" ინტერვიუში.

თუმცა, ფაქტია, რომ შეცდა. წერილს ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ ტომპსონი გაოგნებული დარჩა. რეკავდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო "ნამდვილი გარღვევა ჟურნალისტიკაში". სტილი, რომელსაც ტომპსონი "ლიფტის შახტიდან გადავარდნას და ქალთევზებით სავსე აუზში ჩავარდნას" ადარებდა.

შემდეგ ნარკოტიკების გავლენით ფურცელზე დაუფიქრებლად "გადმოყრილ" ღია სატირას, უხეშ კრიტიკას, სკანდალს ტომპსონისგან უკვე ელოდნენ კიდეც. ასე რომ, სიამოვნებანარევი ძრწოლით კითხულობდნენ მის წიგნს "ჰელზ ეინჯელზის" - "ჯოჯოხეთის ანგელოზების" - იგივე აგრესიული კალიფორნიული მოტო-ბანდის შესახებ (ტომპსონმა ჯერ პუბლიკაცია დაწერა მათ შესახებ, რითაც სახელი გაითქვა და შემდეგ მოტოციკლეტზე ამხედრებულ მოძალადეებს წიგნიც მიუძღვნა).

კითხულობდნენ ნიქსონის ლანძღვასაც - "მატყუარა, მშიშარა, ნაბიჭვარი. იაფფასიანი თაღლითი და ომის კრიმინალი".

კითხულობდნენ ტომპსონის "ოდას" ჰემფრი ბოგარტის და ედმუნდ მასკის შესახებაც.

კითხულობდნენ და ამბობდნენ, რომ ტომპსონის სტილის ჩამოყალიბებაზე ჯეკ კერუაკმა იქონია დიდი გავლენა.

ვეტერანი ჟურნალისტი და ტომპსონის ყოფილი რედაქტორი, პოლ კრასნერი კი აწგარდაცვლილ გამომგონებელს ასე ახასიათებდა:

"ხანდახან რთული იყო, გაგერკვია, ტომპსონი პროვოკაციებს პროვოკაციების გულისთვის აგებდა, თუ, უბრალოდ, ზედმეტად თვრებოდა, ითიშებოდა და პასუხისმგებლობებს ფეხებზე იკიდებდა... თუმცა, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ყველა რედაქტორი, ჩემი ჩათვლით, მზად იყო, მიეღო მისი სტატია. ჩვენ მზად ვიყავით, გაგვერისკა თითქმის ყველაფერი, ოღონდ კი მკითხველი ტომპსონის ნიჭიერებასთან გვეზიარებინა".

და ასე - ტომპსონი წერს: "სადღაც ბერსთოუს მიდამოებში ვიყავით გაჩხერილები, უდაბნოში, როცა ნარკოტიკებმა გახსნა დაიწყეს". ვისაც სურს, აყოლა და ამ მოგზაურობაში ჩართვა, უპრობლემოდ მიიღებენ - ჯონი დეპიც, ბენისიო დელ ტოროც და უკვე თაობების მიერ კითხვისგან გაცვეთილი წიგნიც. წიგნი, საიდანაც ყველაფერი დაიწყო - ფსიქოდელიურად, უდაბნოს ხვატში, ამერიკული ოცნების ძიებაში.

დათო ტურაშვილის სვეტი

ყოველ სამშაბათს

SMS

რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება

(მათთვის, ვინც მობილურ ტელეფონს ხმარობს)

877 44 56 56

განსაკუთრებული არაფერია იმ მოვლენაში, რომელიც საგრძნობი ხდება - ახალი ხელისუფლების მოღვაწეობით უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი საქართველოში იზრდება და ეს მოსალოდნელიც იყო. პირადად მე, არცთუ იშვიათად, სწორედ იმ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა, ვინც რევოლუციას გულწრფელად, უანგაროდ დაუჭირა მხარი და ვისაც ყველაზე მეტად სურს, რომ ახალი ხელისუფლება წარმატებული იყოს, მაგრამ სწორედ მათ შორის ყველაზე მეტად იგრძნობა იმედგაცრუება. ეს ცუდია, მაგრამ არა განსაკუთრებული, რადგან რაც ხდება, სწორედ რომ ლოგიკურია და არა შემთხვევითი. ყოველთვის ვამბობდით: ჩვენი ეთნოფსიქოლოგიის ერთი საყურადღებო თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოუგვარებლობას გაგებით მოვეკიდებით და კიდევ კარგა ხანს მოვითმენთ, მაგრამ რასაც ამთავითვე ვერ შევეგუებით, უკანონობაა, რადგან სამართლიანობის მოთხოვნილება ჩვენში იმდენად გამძაფრებულია, რომ კანონის უზენაესობას (მარტივად რომ ვთქვათ, სამართალს) რამდენიმე საუკუნეა ვეძებთ და, ჩვენი ღრმა რწმენით, რაც ადამიანს ხელისუფლებისგან (უპირველესად) სჭირდება - ეს სამართალია.

877 44 56 56

უსამართლობაა, როცა კანონის დარღვევით აპატიმრებენ ახალციხის უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც მაშინ შეძლო ქართული სახელმწიფოებრიობისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯების გადადგმა სამხრეთ საქართველოში, როცა ჩვენ საკუთარ სახელმწიფოს მონდომებით ვანგრევდით. რაშიც არ უნდა იყოს იგი ეჭვმიტანილი, ჩვენს საზოგადოებაში გაჩენილი სხვა ეჭვი მაინც იარსებებს, რადგან საზოგადოების ეჭვებს საფუძველიც აქვს - ახალციხის უნივერსიტეტის რექტორის ნაცვლად რომელიღაც მინისტრს თავისი კანდიდატურა ჰყავს და ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილსაც სჯერა, რომ ის სწორედ ამიტომ დააპატიმრეს. აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტორების აუცილებელ გათვალისწინებაზე, რომელიც არსებობს იმ კონკრეტულ რეგიონში. ხელისუფლებამ კი ეს არ შეიმჩნია და ამიტომაც მიიღო (სრულიად ლოგიკურად) ანტიქართული ხელისუფლების იარლიყი. უცნაური არაფერია (თუ ისევ ლოგიკას მოვიშველიებთ), რადგან ხელისუფლებამ მესხეთში ქართული საქმის ლიდერი, ახალციხის უნივერსიტეტის რექტორი დააპატიმრა და მერე მის დასაცავად ქუჩაში გამოსული სტუდენტები სასტიკად დაარბია.

877 44 56 56

უცნაური სხვა ლოგიკაა - მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით, რამდენიმე მართლაც მნიშვნელოვანი (უკვე წარმატებული) ნაბიჯი გადადგა, ჩვენი ხალხი ახალ ხელისუფლებას მაინც არაერთვნულად მიიჩნევს და, როგორც ჩანს, აქ ან ტერმინოლოგიურ აღრევასთან გვაქვს საქმე, ან - აზრობრივთან. ხელისუფლება თუ არასაკმარის (და არასწორ) რეკლამას უკეთებს თავის მოღვაწეობას, ეს მისი პრობლემაა, ჩვენ კი ჩვენი პრობლემა უფრო გვაინტერესებს, რადგან ჩვენი პრობლემა უფრო რთული და მნიშვნელოვანია და პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს არქონასთან საუკუნეების მანძილზე. სწორედ სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტით უნდა აიხსნას ის უცნაური მოვლენა, რომ საზოგადოება ანტიეროვნულს უწოდებს სახელმწიფოს შექმნისა და ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ ღონისძიებებსაც კი. ძალიან ხშირად (ბევრი ადამიანისთვის საქართველოში) მისაღებია ისეთი ჩინოვნიკის გვერდით ცხოვრება, ვინც ბიუჯეტს ძარცვავს, მექრთამეა, ან ჩვენს შვილებს ნორმალურ მომავალს ართმევს. ამაში ქართველები ანტიეროვნულსა და ანტიქართულს ვერაფერს ხედავენ, სამაგიეროდ ძალიან მძაფრი რეაქცია აქვთ, თუ ვინმეს დასცდება, რომ რომელიმე კლასიკოსი ქართველი პოეტის ლექსი ან მოქანდაკის ძეგლი (თუნდაც საშინელი), უბრალოდ, არ მოსწონს...

877 44 56 56

გამართლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ახსნა ყველაფერს აქვს და ჩვენი ტოტალური შიშებიც პირდაპირ კავშირშია მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ კრიზისთან. რამდენიმე საუკუნეა, საკუთარი სახელმწიფო არ გვქონია და ამიტომაც ვეკიდებით ასეთი სიფრთხილით განსხვავებულ აზრს და როცა ვიღაც რაღაც ქართულს აკრიტიკებს, გვეშინია, რომ რაღაცას ვკარგავთ, რაღაცას გვართმევენ. ჩვენს შიშებს სწორედ მთავარი - ეროვნული საკითხის მოუგვარებლობა განაპირობებს, თორემ იმ ქვეყნებში, სადაც მთავარი, ნაციონალური საკითხი მოგვარებული აქვთ, რასაკვირველია, საერთოდ არ აშინებთ საკუთარი წარსულისა და კულტურის რევიზიონიზმი. პირიქით - იქ, სადაც შექმნეს ნორმალური (ანუ ძლიერი) სახელმწიფოები, დარწმუნებული არიან, რომ საზოგადოებრივ და კულტურულ წინსვლასა და განვითარებას სწორედ თვითკრიტიკული დამოკიდებულება განაპირობებს საკუთარი რაობისა და მოღვაწეობისადმი. ჩვენ კი გვეშინია საკუთარი თავის აღმოჩენის და როცა უნებლიეთ მაინც აღმოვაჩენთ ხოლმე, ერთმანეთსაც ვუმალავთ.

877 44 56 56

სათქმელიდან არ გადამიხვევია, უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ კარგი (ნორმალური) სახელმწიფოს შექმნისთვის მხოლოდ ხელისუფლების ძალისხმევა საკმარისი არ არის, მაგრამ ყველაფერზე პასუხისმგებელი მაინც ხელისუფლებაა და არა საზოგადოება. მე კი იმას მოგახსენებდით, რასაც ჩვენი საზოგადოება ამბობს და ფიქრობს, თქვენი გარემოცვა კი, ალბათ, არ გეტყვით, რადგან საამისოდ მრავალი (თუნდაც სუბიექტური) საფუძველი აქვს. ჩემი მოტივები კი გულწრფელია და მხოლოდ ის მინდა, რომ რაც შეიძლება მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს საქართველოში. სამწუხაროა, რომ ერთი წლის წინანდელ იმედს იმედგაცრუება ცვლის და სწორედ იმ ადამიანთა შორის, ვინც არათუ სიხარულით შეხვდა რევოლუციას, თავადაც აქტიურად მიიღო მონაწილეობა ძველი ხელისუფლების დასრულებაში. უკვე ნახსენები ჩვენი ეთნოფსიქოლოგიის კიდევ ერთი თავისებურების გამო ქართველები ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებსაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელისუფლების შეფასებისას. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ იმ ხელისუფლების მაგალითიც კმარა, ასეთივე დიდი მხარდაჭერა რომ ჰქონდა არჩევნების დროს და მერე ისეთ დეტალებს გადავაყოლეთ, ახლა სასაცილოც კი იქნებოდა, ტრაგიკულად რომ არ დასრულებულიყო მისი ცხოვრება.

თუმცა, თქვენ ჯვარი გწერიათ...

დავით კოვზირიძის სვეტი

არ მოგბეზრდათ ვალოდია ჯინჭარაძეებთან პინგ-პონგის თამაში?

ვალენტინობაზე სიყვარულით მთვრალ ქართველებს პახმელიაზე მეტად მნიშველოვანი 15 თებერვალი გაგვითენდა - ზუსტად თხუთმეტი წელიწადი გაილია მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საბჭოურს გამოეყო და გახდა დამოუკიდებელი. თუ ჰომოსაპიენსური საზომებით ვიხელმძღვანელებთ, პასპორტი მხოლოდ გაისად გვერგება, მაგრამ ფედერაცია ადამიანი არ არის და იმ წამიდან მოუწია საკუთარი თავის მოვლა-პატრონობა-განვითარება, ზვიად გამსახურდიამ რომ გვახარა, ქართულმა ფეხბურთმა იმპერიალისტურს თავი დააღწიაო.

ეს მართლაც მნიშველოვანი და გარდაუვალი წამი იყო. მაშინ, თხუთმეტი წლის წინანდელ თხუთმეტ თებერვალს, თითქმის მთელი ქვეყანა დარწმუნებული ბრძანდებოდა - ქართული საფეხბურთო გენი უნიკალური და იმდენად ძლიერია, რომ მალე დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს საფეხბურთო რუკაზე და მთელ პლანეტას გააოცებს არნახული წარმატებებით. ასევე ეგონათ ხელოვანებს, მეცნიერებს, მაღაროელებს, პოლიტიკოსებს, უსაქმურებს, არაფორმალებს. ყველას, ყველას, ყველას. მაგრამ ჯერჯერობით ფაქტია, რომ დამოუკიდებლად არსებობა (ნებისმიერ დარგში) ძალიან გვიჭირს, რასაც უამრავი სუბიექტური მიზეზი აქვს. უპირველესად, ქრონიკული არაპროფესიონალიზმი.

რა იყო საბჭოთა ქართული ფეხბურთი, რად იქცა ამ თხუთმეტ წელიწადში და რა იქნება ხვალ?

ერთადერთი, რის გამოც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლაზე გული მწყდება, არის ის, რომ სტადიონზე სიარულის მუღამი დავკარგეთ და დიდი ფეხბურთის გარეშე დავრჩით. რა იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი? ჯიგრიანი ბრძოლის ყოველკვირეული მოლოდინი; ტურნირი, რომელშიც ათზე მეტი ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა საკლუბო ნიღბით: "არარატი", "სპარტაკი", "ნეფთჩი", "ტორპედო", რამდენიმე "დინამო", "მეტალისტი", "დნეპრი", "ზენიტი", "ქაირათი" და ასე შემდეგ; სხვადასხვა სტილი, სხვადასხვა გაქანება, სხვადასხვა ხარისხის ზიზღი, ერთი სიტყვით, მრავალფეროვნება; თამაშის დღეებში ფეხბურთით მფეთქავი დიდუბე, ხალხის უწყვეტი ნაკადი, ქალაქური სალამ-ბაასი, სავსე სტადიონი, "ზაპადზე" ელიტა (იქ ყველას ჰქონდა მუდმივი ადგილი), ტაბლოსთან "ჯუნგლები" მარადიული დევიზით - "სუდია პიდარასტ!", შესვენებაზე ნერვული რიგები ბინძურ ტუალეტთან, მატჩის შემდგომი მოთელვითი მიმოხილვა ჩელუსკინელებამდე და მესამე ტაიმი კიროვის პარკში, სადაც არაფერი რჩებოდათ დაუმუშავებელი ბელადსა და მის რადიკალურ რაზმს.

ასე გრძელდებოდა მთელი სეზონი, ასე ცხოვრობდა ქვეყანა ფეხბურთით. გულშემატკივართა დიდი ნაწილი "დინამოს" ყველგან დაჰყვებოდა - ჩახვიდოდი მოსკოვში (ოთხ თუმნად), ნახავდი მაგარ ფეხბურთს, კიდევ ერთხელ დააგემოვნებდი სლავური ჯიშის დედაკაცს, დაბრუნდებოდი მართლა თბილ თბილისში და ისევ დიდუბე, ისევ კიროვის პარკი...

ვინც ყოველივე ეს გამოიარა, მოედანზე არასდროს არაფერს გადააგდებს. ამით იმის თქმა მსურს, რომ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი მაღალ დონეზეა განვითარებული, მოთამაშეც კარგი ყალიბდება და გულშემატკივარიც. საბჭოური პირველობა კი ნაღდად არ იყო ხელწამოსაკრავი და მასში ქართული საფეხბურთო ტალანტი ყოველთვის კენწეროში ტივტივებდა. რადგან: ზემოხსენებულ უნიკალურ გენს ერწყმოდა დისციპლინა, გაუთავებელი კონკურენცია, შესაბამისი პირობები და ეს ცალკეული კომპონენტები ერთ მთლიან სისტემაში გახლდათ მოქცეული.

და აი, ერთ დღესაც სისტემა დაირღვა, ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი შეიქნა, სადღაც გაქრა დისციპლინა, კონკურენცია, პირობები და დავრჩით ცარიელი ნიჭის ამარა...

■ ■ ■

ამ ნიჭის წყალობით დამოუკიდებლობიდან სამ წელიწადში შეიქმნა ბრწყინვალე თაობით დაკომპლექტებული "დინამო", რომელსაც რუსებმა 21-ე საუკუნის გუნდი უწოდეს და რომელიც სისტემიდან არამოვარდნის შემთხვევაში 1981 წელზე არანაკლებ სიხარულს მოგვიტანდა. მაგრამ ქართული სულსწრაფობის გამოისობით ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, "დინამო" დაიშალა და დაიწყო საზარელი დეკადა.

სამწუხაროდ, საქართველოში საკლუბო ფეხბურთი აღარ არსებობს, განადგურებულია ინფრასტრუქტურა, მოედნები საძოვრებს ჰგავს, ქრება შუქი, ნორმალური სკამების დამონტაჟებას არა და არ დაადგა საშველი, დაბალია ანაზღაურება და შესაბამისად, დონეც. სულ ცოტა ხნის წინ არ იყო, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტმა რომ თქვა - პატარა ყურადღება მოგვაქციეთ, ბიჭებს (ფეხბურთელებს, პროფესიონალებს) სიგარეტის ფული არა აქვთო.

არავითარი დაძაბულობა, არავითარი მოლოდინი, ნული მრავალფეროვნება, ცარიელი ტრიბუნები, არაბუნებრივად აგრესიული მაყურებლები, ორგანიზატორული ანტირეკორდები, სამარცხვინოდ ნელი ტემპი, არაკვალიფიციური და მექრთამე მსაჯები, უცოდინარი მწვრთნელები, სრული ქაოსი, სრული მარაზმი და შედეგად, ტრადიციული თავის მოჭრა ევროტურნირებზე. ეს არის სარკე, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს ის, თუ სადამდე მოახერხა დაცემა ქართულმა საკლუბო ფეხბურთმა.

ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის აქ გაჩერება კარიერის დამახინჯების ტოლფასი გახდა. ამიტომაც მიედინება ულევი ნაკადი დაბალი დონის, მაგრამ შედარებით მაღალანაზღაურებად რუსულ, ყაზახურ, ირანულ, უკრაინულ გუნდებში. ასე ვანიავებთ გენოფონდს და მერე გვიკვირს: რა გვჭირს, კაცო, ამ გენიალურ ერს?

■ ■ ■

წლებია გავიძახით, რომ ასე გაგრძელება არაფერს გვარგებს, რომ აუცილებელია პატრიოტიზმის და პროფესიონალიზმის დაფასება, საქმის პატიოსნად მკეთებელი ხალხისთვის გზის დათმობა, ვალოდია ჯინჭარაძეების სასწრაფოდ მოშორება... პასუხად კი ვისმენთ, რომ მთავრობისთვის ფეხბურთი მთავარი პრიორიტეტია, ხალხი (როდისღა?) ყველაფერი გამოსწორდება, ხალხი სტადიონს დაუბრუნდება, ევროპაში აუცილებლად ვიტყვით სათქმელს. და არის გაჩაღებული ეს უსარგებლო პინგ-პონგი, რომელიც პირადად მე ყელში ამომივიდა.

ამიტომ არ ვიცი, რა იქნება ხვალ.

სამაგიეროდ ვიცი, რომ დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე, ყველაზე საინტერესო სერია იწყება. გავახაროთ თვალი, დავუკრათ ტაში დიდოსტატებს, მოვწყდეთ რამდენიმე საათით მწარე რეალობას.

იცით, ვის დავემსგავსეთ? ურემონტო ბინაში მცხოვრებ გაჭირვებულ, ზარმაც ადამიანს, შეძლებულ მეზობელთან სტუმრობისას თავისი ყოფა რომ ავიწყდება, შინ დაბრუნებულს კი გული სწყდება და მაინც ეზარება ხელის განძრევა - სასწაულს ელის.

მომავალ სამშაბათამდე

ფეხბურთი

ვისი ბრაზილიელები სჯობს?

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ჯიქიას ქუჩაზე მდებარე "ოლიმპის" საფეხბურთო სპორტსკოლის ხე-

ლოვნურსაფარიან მოედანზე საკონტროლო მატჩი გაიმართა თბილისის "დინამოსა" და "ლოკომოტივს" შორის. როგორც იცით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ოთხი დღის წინ განახლდა და გუნდები შორს არიან ოპტიმალური ფორმისგან. ამიტომ კლუბები ამხანაგური თამაშებით ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას და სათამაშო პრაქტიკის გამდიდრებას.

ეს მატჩი პირველ რიგში იმით იყო საინტერესო, რომ ორივე გუნდმა ახალწვეული ბრაზილიელები გამოსცადა. "დინამოს" რამდენიმე დღის წინ შეუერთდა ბრაზილიის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის "კორინთიანსის" ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი. გოლკიპერმა ჟონათას კუნეგატომ, მცველმა რენატო რობეირო ალვეშმა და თავდამსხმელმა რაფაელ სანტოს სილვამ მატჩში პირველივე წუთებიდან მიიღეს მონაწილეობა. "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა უმეტესობა დაასვენა და ძირითადად იმ მოთამაშეებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებსაც მე-19 ტურის მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ. შესუსტებული შემადგენლობით გამოსულმა "დინამომ" ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ძირითადი გუნდით მოთამაშე "ლოკომოტივს". მატჩი დასრულდა რკინიგზელთა გამარჯვებით 2:0. ორივე გოლი კახელაშვილის ანგარიშზეა. "ლოკომოტივის" შემადგენლობაში აშკარად გამოირჩეოდა ბრაზილიელი ჟოანი, რომელიც თავდასხმის ხაზის უკან მოქმედებდა და საკმაოდ მწვავედაც. რაც შეეხებათ დინამოელ ბრაზილიელებს, მათ დიდად არ გამოუჩენიათ თავი. ყველაზე უკეთ საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება მოახერხა მეკარე ჟინათას კუნეგატომ, რომლის დადანაშაულება გაშვებულ გოლებში ნამდვილად არ შეიძლება. პირიქით, რამდენჯერმე კუნეგატომ ბურთი ისეთი დარტყმების შემდეგაც კი მოიგერია, ჩოგბურთში "ეისს" ანუ აუღებელს რომ ეძახიან. ალვეშმა დაცვის ცენტრში ითამაშა და საკმაოდ ხისტი მცველის შთაბეჭდილება დატოვა. იგი ზედმეტად გულმოდგინედ ასრულებდა საკუთარ მოვალეობას და ამისთვის არც საკუთარ ფეხებს ინდობდა, არც მეტოქისას. ერთი-ორჯერ პოზიციური შეცდომაც დაუშვა. მეორე ტაიმში ალვეშმა შეცვლა მოითხოვა - როგორც ჩანს, ბრაზილიიდან ახალჩამოსულს სრული აკლიმატიზაცია არ გაუვლია, რის გამოც დიდ ფიზიკურ დატვირთვას ვერ გაუძლო. ყველაზე ნაკლებად ფორვარდმა რაფაელ სანტოს სილვამ დაგვამახსოვრა თავი, რომელმაც ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშა. "ლოკომოტივის" დაცვას საიმედოდ ჰქონდა გადაკეტილი საკუთარი საჯარიმოს მისადგომები და ბრაზილიელ ფეხბურთელს დიდი ყურადღებით მეურვეობდნენ. მთელი მატჩის განმავლობაში სილვას დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია. თუმცა, ერთი თამაშის მიხედვით ამ ფეხბურთელების შესაძლებლობებზე საუბარი ნაადრევია, რაც დაადასტურა კიდეც "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა მატჩისშემდგომ კომენტარში.

"ბრაზილიელები დღეს პირველად ვნახეთ საქმეში. აქამდე მათზე დაკვირვების საშუალება მხოლოდ ვარჯიშზე მეძლეოდა. სატრანსფერო ფანჯარა მარტის ბოლომდე ღიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე დაკვირვების საშუალება ბაზე კიდევ არაერთხელ მომეცემა. ამიტომ არ მინდა, ნაჩქარევი დასკვნები გავაკეთო. მათ საკითხს - დავტოვებთ თუ არა "დინამოში", მოგვიანებით გადავწყვეტ, - განაცხადა მატჩის შემდეგ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა.

თუ "დინამოს" სამწვრთნელო შტაბი ამ ფეხბურთელების დატოვებას გადაწყვეტს, მათთან ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდება.

ნახევარფინალისტი ზესტაფონში გამოვლინდება

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ბათუმმა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის დაგვიანებულ პირველ მეოთხედფინალურ მატჩს უმასპინძლა. ადგილობრივი "დინამო" "ზესტაფონს" დაუპირისპირდა. დაგვიანებულს, რადგან დანარჩენი სამი მეოთხედფინალის ორ-ორი შეხვედრა შარშან, დეკემბერში გაიმართა. ნახევარფინალში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს "თბილისმა", "ვიტ ჯორჯიამ" და "ლოკომოტივმა". მეოთხე ნახევარფინალისტის გამოვლენა კი მოთხედფინალში "ზესტაფონის" მეტოქის, თბილისის "დინამოს" მიზეზით გაჭიანურდა. მოგეხსენებათ, "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში ასპარეზობდა და სამ ფრონტზე (უეფას და საქართველოს თასი, ეროვნული ჩემპიონატი) თამაშით გუნდს პრობლემები რომ არ შექმნოდა, საქართველოს პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ ამ გუნდს ეროვნული თასის თამაშები გადაუვადა.

მართალია, სათასო ტურნირის სპეციფიკა ფავორიტების ცნებას გამორიცხავს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის "დინამოს" და "ზესტაფონის" წყვილში ფავორიტად "ზესტაფონი" ითვლება, რასაც თავისი ახსნა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში "დინამო" "ზესტაფონს" ერთი საფეხურით უსწრებს, სეზონებს შორის შესვენება და სატრანსფერო ფანჯარა "ზესტაფონმა" ძალიან კარგად გამოიყენა - საგრძნობლად გაძლიერდა. ეს უკვე აისახა შედეგზეც: მეოთხედფინალში "ზესტაფონმა" ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, თბილისის "დინამო" დაამარცხა და გამოთიშა საქართველოს თასის გათამაშებას. ზესტაფონელებმა განახლებულ ეროვნულ ჩემპიონატშიც დამაჯერებელი სტარტი აიღეს: პირველივე ტურში მესამე ადგილზე მყოფი "თბილისი" დაამარცხეს და მიუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს.

გუშინდელმა მატჩმა სტუმართა უპირატესობით ჩაიარა. მართალია, დასაწყისში ზღვისპირელები აქტიურობდნენ და რამდენჯერმე ხიფათიც შექმნეს ზესტაფონელთა კართან, მაგრამ სტუმრებმა მალე გაათანაბრეს ვითარება და თამაში უფრო წყნარ კალაპოტში გადაიყვანეს. მეორე ტაიმში გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა სწორედ სტუმრებს მიეცათ, მაგრამ მათ შანსი ვერ გამოიყენეს, თუმცა, საკუთარი კარიც მშრალად შეინახეს და მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა. ეს შედეგი "ზესტაფონისთვის" ნამდვილად არ არის ურიგო, რადგან განმეორებით მატჩში სწორედ ეს გუნდი იქნება მასპინძელი.

თემურ მახარაძე ("ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი): "თამაშს დაღი დაასვა უამინდობამ. მთელი დღე წვიმდა და, პრაქტიკულად, ტალახში ვითამაშეთ. პირველმა თხუთმეტმა წუთმა მასპინძლების უპირატესობით ჩაიარა, შემდეგ კი მდგომარეობა გამოვასწორეთ. მეორე ტაიმი უკვე ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მატჩის შედეგი - ფრე ლოგიკურია. უკმაყოფილო არ ვარ, რადგან წყვილში გამარჯვებულის ვინაობა განმეორებით შეხვედრაში გაირკვევა, სადაც მასპინძლები ჩვენ ვიქნებით. თუმცა, ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან რთული მატჩი გველის. მეტოქეს ბევრი არაფერი დაუკარგავს და საკუთარი შანსის გამოყენებას ზესტაფონში ეცდება."

ამირან გოგიტიძე: "რა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილო ვარ. ნახევარფინალში გასვლისთვის რეალური საფუძველი რომ შეგვექმნა, უნდა მოგვეგო. თუმცა, ჯერ დაკარგული არაფერია და გოლის გატანას, რაც საკუთარ კედლებში ვერ მოვახერხეთ, განმეორებით მატჩში შევეცდებით."

ნამდვილი ლიგა იწყება

დღეს და ხვალ ევროპის სტადიონებზე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩები ანუ პლეი-ოფები იწყება. გულშემატკივართა აზრით, სწორედ ამ სტადიიდან იწყება ვნებათაღელვით აღსავსე, ჩემპიონთა ლიგის ნამდვილი ტურნირი. დღეს გაიმართება ოთხი უაღრესად საინტერესო მატჩი, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს "რეალი" - "იუვენტუსი" იწვევს.

"რეალი" - "იუვენტუსი"

ეს მატჩი ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც ფეხბურთის მოყვარულები ნაადრევ ფინალს უწოდებენ ხოლმე. თვითონ ზინედინ ზიდანმაც კი სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ეს გუნდები მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და არა ფინალში. "რეალმა" გუშინ დახურული ვარჯიში გამართა. "სანტიაგო ბერნაბეუზე", უეფას რეგლამენტის თანახმად, ჟურნალისტებს 15 წუთი დაუთმეს. ამ ვარჯიშზე მადრიდელებმა "იუვესთან" მატჩის წინ ვანდერლეი ლუშემბურგოს უკანასკნელი ტაქტიკური ჩანაფიქრი დაამუშავეს. ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია მიჩელ სალგადოს, რომელმაც შაბათს ბიღბაოს "ატლეტიკთან" მატჩში ბარძაყი დაიზიანა. თუმცა, ექიმებმა დაასკვნეს, რომ ფეხბურთელი აბსოლუტურად ჯანმრთელია და დღევანდელ მატჩში მონაწილეობის მიღება შეუძლია. ვარჯიშის შემდეგ ვანდერლეი ლუშემბურგომ დაასახელა გუნდის შემადგენლობა, რომელშიც 21-მა ფეხბურთელმა მიიყარა თავი. გუნდში ყველა ჯანზეა, ინგლისელი ჯონათან ვუდგეიტისა და ტრავმირებული მესამე მეკარის დიეგო ლოპესის გარდა. გუშინ ღამით გუნდი კვლავ შეიკრიბა და სასტუმროში დასახლდა, სადაც მატჩამდე იცხოვრებს.

თავის მხრივ, მატჩისთვის სერიოზულად ემზადება ფაბიო კაპელოს "იუვენტუსიც". ტურინელებმა "ბერნაბეუ" უკვე დაჭაშნიკეს. კაპელოს განკარგულებაში არ არიან ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე, რომელმაც სურდოს შემდეგ აღდგენა ვერ მოასწრო, მცველი პაოლო მონტერო, რომელმაც მარცხენა ფეხი დაიზიანა და ოლივიე კაპო. სამაგიეროდ კაპელომ მადრიდში იახლა ჩეხი პაველ ნედვედი. თუმცა, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საეჭვოა, ჩეხი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს.

მატჩის წინ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მცველმა ფაბიო კანავარომ. მისი აზრით, "რეალი" არ შეეცდება, ლამაზი ფეხბურთი ითამაშოს. მისი მთავარი ამოცანა განმეორებითი მატჩის წინ დადებითი შედეგის მიღწევა იქნება. "...სწორედ ამაში შეიძლება იყოს მთავარი ხიფათი, რადგან ისინი, შესაძლოა, უფრო ნაკლებად "გალაქტიკურები" არიან, ვიდრე იმიჯი აქვთ. თუმცა, ასეც რომ იყოს, "რეალის" შემადგენლობაში საკმაოდ არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ნებისმიერი უყურადღებობისთვის დაგსჯიან. რონალდოს შეუძლია ბურთთან ერთად ის გააკეთოს, რაც მოესურვება და შენ ვერ მიხვდები, საიდან გამოჩნდება ის და საიდან იქმნება საფრთხე. რაული შეიძლება მთელი მატჩის განმავლობაში შეუმჩნეველი იყოს, მაგრამ გოლის გატანა ნებისმიერ მომენტში შეუძლია. "ზიზუ" კი მათი საკვანძო ფეხბურთელია. ის უძლიერესია," - ამბობს ფაბიო კანავარო.

"ლივერპული" - "ბაიერი"

"ლივერპულს" ევროტურნირებზე გერმანულ კლუბებთან საკუთარ "ენფილდ როუდზე" 23 მატჩი გაუმართავს. აქედან 10 მოუგია, ხოლო 13 ფრედ დაუსრულებია. "ბაიერს" კი ძალიან უნდა, გახდეს პირველი გერმანული კლუბი, რომელიც მერსისაიდელებს მათივე სტადიონზე დაამარცხებს. პირველად მეტოქეები ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ეს 2001-2002 წლების სეზონში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ "ბაიერმა" ლივერპულში მინიმალური სხვაობით წააგო (გოლი სემი ჰიპიამ გაიტანა) განმეორებით შეხვედრაში წარმატებით ითამაშა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. ანგარიში მე-16 წუთზე მიხაელ ბალაკმა გახსნა, მაგრამ სამი წუთის შემდეგ პორტუგალიელმა აბელ შავიერმა წონასწორობა აღადგინა. მეორე ნახევარში გერმანელებმა სამჯერ ისარგებლეს მეტოქის შეცდომით და ანგარიში გამანადგურებელ ზღვარამდე მიიყვანეს, თუმცა, ფინელმა იარი ლიტმანენმა ერთი გოლის გატანა მოახერხა - 4:2 "ბაიერის" სასარგებლოდ და გერმანელები მაშინ ნახევარფინალში გავიდნენ.

გასულ უქმეებზე ლევერკუზენელებმა "ნიურნბერგი" - 4:2 დაამარცხეს, მაგრამ ტრავმა მიიღო იენს ნოვოტნიმ. მან მუხლი იმდენად სერიოზულად იტკინა, რომ შეიძლება ეს კარიერის დასრულებადაც კი დაუჯდეს. ვარჯიშის დროს დაზიანება მიიღო მარკო ბაბიჩმა და, შესაძლოა, "ენფილდ როუდზე" არც ის გამოჩნდეს. განმეორებითი მატჩისთვის კი ბაბიჩი ნამდვილად მწყობრში იქნება.

"არსენალი" - "ბაიერნი"

როცა 2000-2001 წლების სეზონში მიუნხენის "ბაიერნმა" უკანასკნელად მოიგო ჩემპიონთა ლიგა, მან ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგობა დაძლია. გერმანელებმა სტუმრად ფრე - 2:2 გაახარხეს (იმ მატჩს "არსენალი" - 2:0 იგებდა, მაგრამ ტარნატმა და შოლმა წონასწორობა აღადგინეს). შინ კი ჯოვანი ელბერის გოლის წყალობით - 1:0 გაიმარჯვეს.

ამის მიუხედავად, პლეი-ოფში ორივე გუნდი გავიდა. ლონდონელები "ვალენსიამ" გამოთიშა გათამაშებიდან, ხოლო "ბაიერნმა" ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა "მანჩესტერ იუნაიტედი" და "რეალი". ფინალში კი პენალტების სერიაში მილანის "სანსიროზე" "ვალენსიასაც სძლია და თასი მოიგო. საერთო ჯამში "არსენალი" გერმანულ კლუბებს სტუმრად 8-ჯერ შეხვედრია. ლონდონელებმა 2 მოიგეს, 2 ფრედ დაასრულეს და 4 წააგეს. მიუნხენის "ბაიერნის" შემდეგ ვენგერის გუნდი დამარცხდა "შალკე 04"-თან, ლევერკუზენის "ბაიერთან" და დორტმუნდის "ბორუსიასთან."

პსვ - "მონაკო"

2003 წლის 25 ნოემბერს გუნდებმა მონაკოში ფრედ - 1:1 ითამაშეს. ამის წყალობით მონეგასკები პლეი-ოფში გავიდნენ, სადაც საბოლოო ჯამში ფინალამდე მიაღწიეს და "პორტუს" დაუთმეს საპატიო ჯილდო. პსვ-მ კი შარშანდელი ტურნირი ჯგუფურ ეტაპზე "დეპორტივოსთან" - 2:3 დამარცხების შემდეგ დაასრულა. წელს ჰოლანდიელებმა მერვე ცდაზე წარმატებით დააღწიეს თავი ჯგუფურ ეტაპს და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ახლა ჰოლანდიელები შეეცდებიან, რევანში აიღონ 2003-2004 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დამარცხებისთვის. მაშინ "მონაკომ" პსვ ჰოლანდიაში დაამარცხა - 2:1. ეს იყო ერთადერთი წაგება ჰოლანდიური კლუბისა ფრანგებთან საშინაო შეხვედრებში. საერთო ჯამში "პსვ ეინდჰოვენი" ფრანგებს შინ 10-ჯერ შეხვედრია. აქედან 5 მოიგო, 4 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთხელ წააგო.

ინფორთეკა

გამარჯვება ერევანში

საქართველოს ფუტბალის ასოციაციამ მიწვევა მიიღო სომხეთიდან, რომლის მიხედვითაც სომხები ერევანში საკლუბო დონეზე ამხანაგური მატჩების გასამართავად გვეპატიჟებოდნენ. ჩვენი ფუტბალის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ერევანში გაიგზავნა თბილისის "იმედი", საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდი. მასპინძლებმა "იმედს" ერევნის "ტელ გრეგი" დაუხვედრეს, რომელიც ასევე სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. "ტელ გრეგი" სომხეთის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელია.

გუშინ გაიმართა ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც ქართველი ფუტბალელების გამარჯვებით, 3:2 დასრულდა. ორი გოლი გაიტანა მოთამაშე მწვრთნელმა და ერთ-ერთმა საუკეთესო ფუტბალელმა დავით სოლოღაშვილმა, ხოლო გამარჯვების გოლი საქართველოს ეროვნული ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელის რევაზ დევდარიანის ანგარიშზეა.

23 თებერვალს ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეეკინებიან ერთმანეთს.

მოურინიო თავს დამნაშავედ გრძნობს

"ნიუკასლსა" და "ჩელსის" შორის კვირას გამართული ინგლისის თასის მერვედფინალური შეხვედრა ამ უკანასკნელის მარცხით (0:1) დამთავრდა. ერთადერთი ბურთი "ნიუკასლის" ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა პატრიკ კლუივერტმა გაიტანა. "ჩელსიმ" შეხვედრა ათკაციანი შემადგენლობით დატოვა, რადგან თამაშის მეორე ტაიმში ტრავმირებული მცველი უეინ ბრიჯი მოედნიდან გაიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, ტრავმა სერიოზული იყო, რადგან მცველი თამაშს ვეღარ დაუბრუნდა.

ამ მარცხის გამო "ჩელსი" ინგლისის თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ "ნიუკასლთან" მარცხზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. მისი აზრით, შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა შესვენების შემდეგ სამი ფეხბურთელი შეცვალა. რადგან ლიმიტი ამოწურული ჰქონდა, ბრიჯის ნაცვლად მოედანზე სხვა ფეხბურთელი ვეღარ შეიყვანა.

"როგორც მწვრთნელმა, მარცხზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა ავიღო. სწორედ რომ მარცხზე და არა გამარჯვებაზე. ჩემმა გადაწყვეტილებამ გუნდი წაგებამდე მიიყვანა. შესვენების შემდეგ მოედანზე სამი ახალი ფეხბურთელის გაშვება დიდი რისკი იყო. იმედი მქონდა, ისინი თამაშის შეცვლაში დამეხმარებოდნენ. გადავწყვიტე, რომ ეს ჩემი გუნდისთვის უკეთესი იქნებოდა. თუმცა, იმასაც ვფიქრობ, რომ მეორე ტაიმში ათკაციანი შემადგენლობით გაცილებით უფრო კარგად ვითამაშეთ, ვიდრე პირველში," - განაცხადა მოურინიომ.

დღეს "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაში ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერს "ბარსელონას" დაუპირისპირდება. თუმცა, მოურინიოს გუნდი მოედანზე ძლიერი შემადგენლობით ვერ გავა. როგორც მოგახსენეთ, უეინ ბრიჯი ტრავმირებულია. დამიენ დაფი და უილიამ გალასიც მსუბუქად გახლავთ დაშავებული, არიენ რობენი კი მოედანზე გასვლას არათუ დღეს, კიდევ ორ თვეს ვერ მოახერხებს.

ჟილბერტუ სილვა გუნდს მარტიდან დაეხმარება

ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელი ჯილბერტუ სილვა მოედანზე დაბრუნებას უკვე მარტში აპირებს. ფეხბურთელმა სექტემბრის შუა რიცხვებში ზურგის ტრავმა მიიღო და მას შემდეგ ვერ გამოჯანმრთელდა. კლუბში შიშობდნენ, რომ სილვა "მეთოფეებს" სეზონის ბოლომდე ვეღარ დაეხმარებოდა. თუმცა, გასული კვირის დასასრულს ბრაზილიელმა ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა, ასე რომ, ამ დღეებში მოედანზე მისი დაბრუნება საესებით რეალურია.

ამის მიუხედავად, მთავარი "მეთოფე" არსენ ვენგერი მოვლენების დაჩქარებას არ აპირებს: "დარწმუნებული ვარ, ჟილბერტუ ამ სეზონზე დაგვეხმარება, თუნდაც იგი აპრილში გამოვიდეს მოედანზე".

როზენბერგის შეძენისთვის იბრძვიან

იტალიური კლუბის "მილანის" ხელმღვანელობა დიდ ინტერესს ამჟღავნებს შვედი მარკუს როზენბერგის მიმართ. "Sky Sports"-ის ცნობით, ეს ინფორმაცია დაადასტურა ფეხბურთელის აგენტმა მარტინ დალინმა. მისივე თქმით, მარკუსის ყიდვა არა მარტო "მილანს", არამედ სხვა ევროპულ გუნდებსაც უნდათ. "დიდია ინტერესი მარკუსისადმი. ჯერჯერობით კონკრეტული კლუბების დასახელებისგან თავს შევიკავებ," - აღნიშნა დალინმა.

ჯაკ სანტინიმ საკუთარი ხელით გაითხარა სამარე

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ გულახდილი ინტერვიუ მისცა "Journal de dimanche"-ს. მან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ფრანგების მარცხის მიზეზებზე ისაუბრა. სანტინის თქმით, ფეხბურთელებზე დიდი, ამავე დროს, უარყოფითი გავლენა მოახდინა მისმა განცხადებამ, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე გააკეთა. მისი თქმით, ტურნირის დამთავრების შემდეგ "ტოტენჰემში" გადასვლას აპირებდა. ამ განცხადებამ ფეხბურთელებს მწვრთნელის ნდობა დაკარგვინა. "სამარე საკუთარი ხელით გავითხარე", - აღნიშნა სანტინიმ, რომელიც ძალიან ნანობს საკუთარ საქციელს.

ფეხბურთი

ზინედინ ზიდანი: "ნურავის დაავიწყდება, რომ მადრიდის "რეალი" ვართ"

ზინედინ ზიდანი: "თუ "იუვე"-ს გავცდებით ნებისმიერი მეტოქის დამარცხებას შევძლებთ".

ზინედინ ზიდანს პროგნოზები აფრთხობს, მაგრამ აღიარებს, რომ თუ გუნდი ტურინის "იუვენტუსს" დაამარცხებს, მაშინ შეუძლია ჩათვალოს, რომ ლიგის მეათე თასი პრაქტიკულად ჯიბეში უდევს. ინტერვიუში ის აბსოლუტურად საფუძვლიანად ასაბუთებს თავის პოზიციას.

- ზედიზედ 7 გამარჯვების შემდეგ თქვენ ბილბაოს "ატლეტიკთან" დამარცხდით. რა მოხდა?

- მოდი, "იუვეზე" ვისაუბროთ. საჭიროა წინ გავიხედოთ. შაბათს დამარცხების მიუხედავად, ჩვენ შესანიშნავ ფორმაში ვართ და ბევრს ვმუშაობთ. ამას გარდა, ახლა ჩვენთან ლუშემბურგოა, რომელმაც იცის, რა უნდა და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. ის მომთხოვნია, მაგრამ დიდი გამოცდილება აქვს და ჩვენ ამას ვგრძნობთ.

- ვანდერლეი ლუშემბურგომ სასიამოვნოდ გაგაოცათ?

- დიახ, მან ბრაზილიაში ბევრს მიაღწია და ახლა უნდა, ევროპაშიც გამოიჩინოს თავი. მან გვითხრა, რომ აქ ჩამოსვლა და დიდხანს შეყოვნება სურდა.

- ხელს არ გიშლიდათ ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს ყველა მხოლოდ "იუვეზე" ლაპარაკობდა?

- არა, არა. გუნდი მთელ ძალისხმევას ლა ლიგის მატჩებში დებდა და ეს ყველა შეხვედრაში იგრძნობოდა (ბოლო მატჩის გარდა). ჩვენ "ბარსას" 7 ქულით ჩამოვრჩებით. ეს კი მხოლოდ ორი მატჩია, მაგრამ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს დისტანცია უფრო გაიზარდოს. ჩვენ ეს დისტანცია 4 ქულამდეც დაგვიყვანია. ასე რომ ვიმუშაო, საკმარისია.

- "იუვესთან" მატჩამდე სულ ცოტა დრო რჩება. შენ რას გრძნობ?

- მეჩვენება, რომ ეს მატჩი ორი წლის წინანდელ შეხვედრას დაემსგავსება. მაშინ "ბერნაბეუზე" ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მათ მინდორზე საქმე ვერ აეწყო. და ახლაც უნდა მოვიგოთ, როგორც აქ, ისე "დელე ალპიზეც". ეს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩია. თუ ამ ბარიერს დავძლევთ, მაშინ ორრაუნდიან მატჩში ნებისმიერი მეტოქის დამარცხებას შევძლებთ.

- იმის თქმა გინდა, რომ "იუვეს" დამარცხებით მეათე ტიტული პრაქტიკულად ჯიბეში გიდევთ?

- იმის თქმა მინდა, რომ "იუვე" ძალიან მძიმე მეტოქეა. თუ მას გავცდებით, მაშინ ყველაფერი გაცილებით უფრო გაგვიადვილდება. ჩემპიონთა ლიგაში უაღრესად ძლიერი კლუბები მონაწილეობენ, მაგრამ იტალიელებზე გამარჯვება ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

- აცნობიერებ თუ არა, რომ პირადად შენზე იქნება ყურადღება გამახვილებული?

- დიახ, ვიცი. ყოველთვის ასე იყო. ორი წლის წინათაც ყველა მე შემომცქეროდა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რამდენად კარგად ვითამაშებ. წელს შევეცდები, მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიყო. ორი წლის წინათ ეს არც ისე კარგად გამომივიდა.

- ესე იგი, აღიარებ, რომ სათანადო სიმაღლეზე არ იყავი?

- მთლად ასეც არ არის, მაგრამ რაღაც მსგავსია. მე საკმარისად კონცენტრირებული არ ვიყავი. ახლა გამოვსწორდები.

- შენ ისე ძალიან არ გინდოდა, რომ ნედვედი მინდორზე გამოსულიყო, მაგრამ ამ მატჩისთვის მაინც გამოჯანმრთელდა.

- ვისურვებდი, რომ მას არ ეთამაშა. ყოველთვის უკეთესია, მეტოქის უძლიერესმა ფეხბურთელებმა ასეთი დონის მატჩი გამოტოვონ.

- ბოლო დროს სულ ასე იყო: როცა მადრიდის "რეალი" ჩემპიონთა ლიგას იგებდა, ესპანეთში არცთუ ისე კარგ სეზონს ატარებდა. იქნებ წლევანდელი სეზონიც ერთ-ერთი მათგანია?

- დიახ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვოცნებობთ. ახლა ყველაფერი ისე არ არის, როგორც შარშან ან ორი წლის წინათ იყო. ძლიერი მეტოქე გვყავს, ხოლო როცა "რეალი" "იუვეს" მსგავს გრანდებთან წარმატებით თამაშობს, მას ბევრის მიღწევა შეუძლია.

- შარშან ამ დროს თქვენ ბრწყინავდით. ხომ არ გეჩვენება, რომ ყველაფერი შეიძლება ისევ სევდიანად დასრულდეს?

- არა, ეს აღარ განმეორდება. შარშან ჩვენ ფანტასტიკური ექვსი თვე გვქონდა. წელს კი მსგავსი არაფერი მომხდარა. არიან ფეხბურთელები, რომლებიც შესანიშნავად თამაშობენ, მაგრამ გუნდზე ამას ვერ იტყვი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რამდენადაც 2004 წელი იყო ჩვენთვის კატასტროფული, იმდენად კეთილგანწყობილი იქნება 2005 წლის სეზონი. ძალიან მინდა, "რეალმა" აჩვენოს ის, რაც შეუძლია და მაშინ ჩვენ რომელიმე ტიტულს აუცილებლად მოვიგებთ.

- შენ ოპტიმისტური ხარ, როგორც არასდროს.

- ახლა ჩვენ შეგვიძლია, "ბარსას" 7 ქულა აღმოვუფხვრათ. ეს ბევრს არ სჯერა, მაგრამ მე მწამს. მათ ხომ "ბერნაბეუზე" მოუწევთ თამაში. ამის დავიწყება არ შეიძლება.

- რატომ მიგაჩნია, რომ გუნდი თავის საუკეთესო დონეს დაიბრუნებს?

- ვარჯიშებში ბევრი რამ შეიცვალა. უაღრესად ბევრს ვმუშაობთ. ახლა ვარჯიშის შემდეგ გესმის, რაზე იმუშავე. ეს კი უკვე ძალიან ბევრია. თამაშიც ბევრად უფრო გაუმჯობესდა. ნურავის დაავიწყდება, რომ ჩვენ მაინც მადრიდის "რეალი" ვართ.

- რა შეგიძლია თქვა სისტემურ ცვლილებებზე, დადებითად აფასებ?

- უკვე ყველამ შეამჩნია, თუ რამდენად უკეთესი გახდა მადრიდის "რეალი", როგორ მატჩებს ვატარებთ. ეს ლუშემბურგოს დამსახურებაა. ჩვენ ოპტიმიზმითა და იმედით სავსენი ვართ.

- პირადად შენ როგორ გრძნობ თავს?

- ჩემი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. უაღრესად რთული ექვსი თვე მქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ შედეგს მივაღწიო. ხანდახან უსამართლოდ მექცევიან, მაგრამ, ამის მიუხედავად, ფეხბურთისგან ნამდვილ სიამოვნებას ვიღებ.

- ესე იგი, "გალაქტიკოსებს" დენთი ჯერ კიდევ აქვთ?

- სწორედ რომ ასეა. მე ყველაზე ხანდაზმული ვარ. ჩემი მეგობრები კი მინდორზე ბოლომდე იხარჯებიან. მე მაინც დაჟინებით ვიტყვი, რომ ბოლო დროს ბევრად უფრო უკეთ ავთამაშდით.

- ხვალ გამარჯვებისთვის ხართ დამუხტული?

- რა თქმა უნდა. ეს კიდევ იმისთვის არის საჭირო, რომ სტუმრად განმეორებითი მატჩისას თავი მშვიდად ვიგრძნოთ. ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვაძლევს ხელს და ამისთვის ყველაფერს ვიღონებთ.

ოლიმპიზმი

ლონდონიდან ნიუ იორკში მიმავალი ქალი...

გიგა გურასაშვილი

ნიუ-იორკელები ასე შეეგებნენ სოკ-ის კომისრებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელთა კომისია, 400 მეტრზე წინაღობებით რბენაში მაროკოელი ოლიმპიური ჩემპიონის ქალბატონ ნავალ ელ-მუტავაკელის მეთაურობით 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მოსურნე ქალაქებში ვოიაჟს აგრძელებს და მადრიდისა და ლონდონის შემოწმების შემდეგ 13-კაციანი ამალით ნიუ იორკს ეწვია. მაგრამ ვიდრე ამერიკის მეგაპოლისზე ვიტყოდეთ რამეს, ლონდონის ქუჩები ჩვენც მათთან ერთად დავათვალიეროთ, მით უმეტეს, რომ პარიზთან ერთად ინგლისის დედაქალაქი ერთ-ერთი ფავორიტია.

ლონდონელებმა სოკ-ის მოხელეებს ნამდვილად ღირსეულად წარმოუჩინეს თამაშებისთვის მებრძოლი კანდიდატურა. ლონდონელებმა ოთხი დღის განმავლობაში (16-19 თებერვალი) ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ შემფასებელთა კომისიაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დაეტოვებინათ. მაგრამ იმის დადგენა, თუ რა გადაწყვეტილებით დატოვეს ინგლისის დედაქალაქი სოკ-ის კომისრებმა, ვერ შეძლეს. ვერც შეძლებდნენ, რადგან მსგავს სიტუაციებში შემფასებლები თავშეკავებულნი არიან. ამის დასტურია ისიც, რომ ლონდონის საოლიმპიადოდ შეფუთული სპორტული ობიექტების მონახულების დასკვნით დღეს მოწყობილ პრესკონფერენციაზე კომისიის წევრებისგან მხოლოდ ზოგადი ფრაზები მოისმინეს, რომლებიც ორი კვირის წინათ მადრიდში გაკეთებული განცხადებების ანალოგიური აღმოჩნდა. ყოჩაღ, მონდომებისა და პროფესიონალიზმისთვის, გმადლობთ ჩვენი მიღებისთვის. სულ ეს იყო, რაც შემფასებლებმა ლონდონელებისთვის გაიმეტეს. თუმცა, იმთავითვე ცხადი იყო, რომ სხვას ვერც ვერაფერს ათქმევინებდნენ, რადგან ზედმეტი განცხადებების გაკეთება მათ ლოზანაში, სოკ-ის შტაბბინაშივე აუკრძალეს - გაზღენა არ მოვახდინოთ ან სუბიექტურობაში არ დაგვადანაშაულონო.

ისე კი, კომისია მოხიბლული დარჩენილა იმით, რომ ლონდონის სურვილს, უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს, პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს. მათ შორის დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის მხრიდან, რომელიც, სხვათა შორის, სოკ-ის 13-კაციან ამალას ბუკინგემის სასახლის აივნიდან მიესალმა...

მანამდე კი ბრიტანული ტაბლოიდი "სან"-ი იუწყებოდა ბუკინგემის სასახლიდან გამოსული ხმის თაობაზე, თითქოს მის უდიდებულესობას ეჭვი ეპარება, რომ პარიზელებთან, მათ უშუალო მეტოქეებთან (როგორც ამაში დამოუკიდებელი ექსპერტები გვარწმუნებენ), ლონდონელებს შანსი არა აქვთო. ეს ისე, ცნობისთვის.

ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, რომ ლონდონელებს ქალაქის უმთავრეს პრობლემაზე გადაუკრეს სიტყვა. პრობლემაზე, რომელმაც, შესაძლოა, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ბედზეც იქონიოს გავლენა. საუბარია ლონდონის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რომელიც სათანადო სტანდარტებთან მწყრალად ყოფილა.

ლონდონიდან ნიუ იორკში გადაფრენამდე კი, თითქოს გული მოუწყდათ, დაამშვიდეს, თქვენი განაცხადი უსაფუძვლო არა არისო, მაგრამ ესეც ხომ ზოგადი ნათქვამია?!

გუშინ კი ნიუ იორკის დათვალიერებას შეუდგნენ. მოსანახულებელი და შესამოწმებელია 27 ობიექტი, მათ შორის "მედისონ სკვერ გარდენი", "იანკების" სტადიონი და ცენტრალური პარკი.

ნიუიორკელებს იმედი აქვთ, რომ საკუთარ საარჩევნო კამპანიას საერთაშორისო პოპულარობაზე და აშშ-ში სპორტისადმი სიყვარულზე ააგებენ.

"ჩვენ ყველაფერი წუთებზე გვაქვს გათვლილი. ეს ყველაზე დიდი გამოცდილებაა, რომელთანაც შეჯახება გველის," - სოკ-ის ემისრებთან შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე აცხადებდა "ნიუ იორკი-2012"-ის ხელმძღვანელი დენ დოკტოროფი.

დახვედრა კი მართლაც საარაკო გამოუვიდათ. შემფასებელთა ყურადღების მისაქცევად ლამის მთელი ქალაქი მიწისქვეშა და მიწისზედა ნიუ იორკის საოლიმპიადო ლოგოებით ააჭრელეს.

გარდა ამისა, რომ შემფასებლები ნიუ იორკის სპორტული ობიექტების შემოწმებას შეუდგნენ, ვიზიტის ფარგლებში პროტოკოლით გათვალისწინებულია ნიუ იორკის მერის მაიკლ ბლუმბერგის რეზიდენციაში ვახშამი და ლინკოლნ-ცენტრში ჯაზის კონცერტზე დასწრება. მაგრამ სოკ-ის კომისრებზე შთაბეჭდილების მოსახდენად ნიუიორკელებმა სხვა ხერხებსაც მიმართეს. მალალჩინოსანი სტუმრების მისაღებად მანჰეტენის ქუჩები, ნაგებობები ოლიმპიური ტრანსპარანტებითა და პალაკებით აჭრელეს, ისევე როგორც ოთხი ათასი მეტროს ვაგონი, შვიდი ათასი ავტობუსი და 13 ათასი ტაქსი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიუ იორკი უდიდესი გაქანების ქალაქია, ოლიმპიური თამაშებისთვის არასდროს უმასპინძლია. ნიუიორკელებს ახლა ამის გამოსწორება უნდათ და ბოლო ათი წლის განმავლობაში ჯიუტად ცდილობენ, მოიპოვონ ეს პატივი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ოლიმპიური თამაშებისადმი ინტერესს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ განსაკუთრებით ავლენენ.

ხელისუფლების დაანგარიშებით, იმ შემთხვევაში, თუ ნიუ იორკს მართლაც დარჩება თამაშების მასპინძლობის პატივი, აშშ-ის უმსხვილესი ქალაქი 12 მილიარდი დოლარის ინვესტიციებს მოიზიდავს.

მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომელსაც ჯერაც გადაუწყვეტ საკითხთან მივყავართ. კერძოდ, დღემდე გაურკვეველია მთავარი ოლიმპიური სტადიონის მშენებლობის საკითხი.

"ნიუ იორკი ვერ მიიღებს ოლიმპიადას, თუ სოკ-ის მოხელეებს ვერ დავარწმუნებთ იმაში, რომ ჩვენ გვექნება საკუთარი ოლიმპიური სტადიონი", - შეშფოთებული ჩანს დენ დოკტოროფი.

ერთი რამ ფაქტია: კანდიდატ ქალაქებში ვიზიტები ოლიმპიური თამაშების უფლებას არ იძლევა არც ნიუ იორკისთვის, არც ლონდონისთვის, არც პარიზისთვის, არც მადრიდისთვის და არც მოსკოვისთვის, მაგრამ ამ პატივის წართმევა კი შეუძლია.

ინფორთეკა

იენს ნოვოტნის კარიერას საფრთხე ემუქრება

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და ლევერკუზენის "ბაიერის" მცველმა იენს ნოვოტნიმ მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო. უახლოეს დღეებში ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს. მყესის გაწყვეტის დიაგნოზის შემთხვევაში, ფეხბურთელი შეიძლება სამუდამოდ გამოეთხოვოს ფეხბურთს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მცველი რამდენიმე თვე მაინც ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

"ზუსტად არ ვიცით, რა შეემთხვა იენს. ის კი ვიცით, რომ "ლივერპულთან" თამაშს ვერ შეძლებს," - განაცხადა "ბაიერის" მთავარმა მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა.

ბალაკი "არსენალის" წინააღმეგ ვერ ითამაშებს

"როიტერსის" ცნობით, გერმანიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვებს "ბავარიასა" და "არსენალის" ჩემპიონთა ლიგის მატჩს.

"ბალაკი თამაშს ვერ შეძლებს. ის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, ამიტომაც "არსენალის" წინააღმდეგ მატჩში მისი არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება. თუმცა, ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას მოთმინებით დაველოდებით," - განაცხადა "ბავარიის" მწვრთნელმა ფელიქს მაგატმა.

შევჩენკოს გაუმართლა

"სანის" ცნობით, "მილანის" უკრაინელი ფორვარდის ანდრეი შევჩენკოს ტრავმა შეიძლებოდა უფრო სერიოზულიც ყოფილიყო.

ცნობილია, რომ ფეხბურთელს ყვრიმალის ძვალი აქვს გატეხილი.

"ფეხბურთელს ოდნავ ზემოთ რომ მიეღო ტრავმა, მაშინ საქმე ძალიან სერიოზულად იქნებოდა," - განაცხადა წყარომ იმ კლინიკიდან, რომელშიც შევჩენკოს მკურნალობენ.

ამბობენ, რომ ექიმები ფორვარდს გაუკეთებენ დამცავ ნიღაბს, რომელიც თამაშში ხელს არ შეუშლის.

"ალბასეტეს" მწვრთნელი დაითხოვეს

ესპანურმა კლუბმა "ალბასეტემ" მთავარი მწვრთნელი ხოსე გონსალესი მას შემდეგ დაითხოვა თანამდებობიდან, რაც საკუთარ მოედანზე ესპანეთის პირველობისთვის "ნუმანსიასთან" მატჩი წააგო (1:2). კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, მის მოვალეობას სათადარიგო მწვრთნელი მარტინ მონტეგუდო შეასრულებს.

გონსალესი, რომელიც ადრე მეორე დივიზიონის გუნდებს წვრთნიდა, მიმდინარე სეზონის დაწყებამდე "ალბასეტეს" მთავარი მწვრთნელი გახდა.

დღეს "ალბასეტეს" ქვეყნის ჩემპიონატში მეთვრამეტე ადგილი უკავია.

"არსენალი" ჩივილს აპირებს

ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის განცხადებით, კლუბი აპირებს გააპროტესტოს ის ფაქტი, რომ "შეფილდ იუნაიტედის" წინააღმდეგ ინგლისის თასის შეხვედრის დროს დენის ბერკკამპს წითელი ბარათი უჩვენეს. ფეხბურთელი პირველ ტაიმში გააძევეს დენი კალიანის დარტყმის გამო.

"მსაჯის გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ. უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენმა ფეხბურთელმა მოწინააღმდეგეს კი არ დაარტყა, არამედ, უბრალოდ, უბიძგა," - განაცხადა ვენგერმა.

სხვათა შორის, მატჩის ვიდეოჩანაწერის ერთ ეპიზოდში გარკვევით ჩანს, რომ ამ ინციდენტის შემდეგ ხოსე რეიესმა "შეფილდის" კიდევ ერთ ფეხბურთელს ენდი ლიდელას დაარტყა. თუმცა, ვენგერი ამ შემთხვევამ მაინცდამაინც არ შეაშინა. მწვრთნელმა ინციდენტს კომენტარი არ გაუკეთა.

რობერტი წასასვლელად მზადაა

"ნიუკასლის" ფეხბურთელი ლურან რობერტი მზადაა გუნდი სეზონის ბოლოს დატოვოს.

იგი "ვალენსიას", "პესეჟესა" და "მარსელის" შეთავაზებებზე ფიქრობს.

სხვათა შორის, ამ კლუბებმა ფეხბურთელისადმი ინტერესი იანვარში გამოამჟღავნეს, თუმცა, "ნიუკასლის" ფასის - 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის გამო დროებით უკან დაიხიეს.

კაპელოს "იუვენტუსში" რაულის ხილვა უნდა

იტალიური კლუბის "იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ აღიარა, რომ გუნდში დიდი სიამოვნებით მიიწვევდა მადრიდის "რეალის" კაპიტანს რაულს.

სხვათა შორის, კაპელო რაულთან "რეალის" მწვრთნელობის პერიოდში მუშაობდა.

"კარგი იქნება, თუ რაულს ჩვენს გუნდში ვიხილავ. ის განსაკუთრებული ფეხბურთელია. ნებისმიერ სირთულეს უმკლავდება და იმ გამონაკლისთა შორისაა, რომელთაც თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლიათ. მას ძალიან კარგად ვიცნობ. მჯერა, რომ იტალიაშიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც ესპანეთში", - განაცხადა კაპელომ.

დეკუ არჩევანით კმაყოფილია

"ბარსელონას" ნახევარმცველმა დეკუმ განაცხადა: არ ნანობს, რომ არჩევანი შეაჩერა "ბარსელონაზე" და არა "ჩელსიზე".

"მიხარია, რომ ლონდონის კლუბში არ გადავედი. "ბარსელონა" - აი, ჩემი გუნდი, რომელშიც დიდი ხნით ვისურვებდი თამაშს. ჩემთვის ინგლისში გადასვლას უარყოფითი შედეგი ექნებოდა. კატალონიაში ცხოვრება გაცილებით უფრო საინტერესო და სახალისოა, ვიდრე ლონდონში", - აღნიშნა დეკუმ.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

სამშაბათი. 22 თებერვალი

NTV+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - საფრანგეთის ჩემპიონატი. "სტრასბური" - პსჟ
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:30 "ფუტბოლისტიკა"
17:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ბორუსია"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:05 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:35 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პსვ - "მონაკო". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბავარია" - "არსენალი"

NTV+ПЛЮС

10:00, 13:15, 16:00, 19:15, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:30 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "ხიმიკი"
12:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
13:50 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
14:20 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები ავსტრიასა და კანადაში
14:50 ბილიარდი "US Open". მე-7 ნაწილი
16:15 როდეო. "Bull Riders"
17:00 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1999 წელი. ფინალი. "BUFFALO SABRES" - "DALLAS STARS". მე-4 მატჩი
19:30 "ბილიარდის მეუფენი"
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი - პლუს"
22:10 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბავარია" - "არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 "ბილიარდის მეუფენი"
01:20 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
01:50 "ჰოკეი - პლუს"

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. სპრინტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
13:15 ფეხბურთი - ევროგოლები
14:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:30 ჩოგბურთი. ATP ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ყატარში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
21:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. სპრინტი. სპეციალური მიმოხილვა
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. სპრინტი
03:15 ახალი ამბები

"ტოიოტა" ევროპაშიც ზრდის გაყიდვებს

მსოფლიოში მეორე უდიდესმა ავტომწარმოებელმა, იაპონურმა გიგანტმა "ტოიოტამ" გამოაცხადა, რომ 10 პროცენტზე მეტით გაზარდა თავისი პროდუქციის გაყიდვები ევროპაში, სადაც 2004 წელს სულ 915 966 ავტომობილის რეალიზება შეძლო საკუთრივ "ტოიოტასა" და "ლექსუსის" მარკით.

უფრო მეტიც, იაპონური კომპანიის მარკეტოლოგები ირწმუნებიან, რომ ეს ტენდენცია 2005 წელსაც შენარჩუნდება და შესაძლოა, გაყიდვებმა პირველად მიაღწიოს მილიონიან ზღვარს.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში "ტოიოტას" გაყიდვები ბოლო 8 წლის განმავლობაში იზრდება, რის შედეგადაც, ევროპულ ბაზარზე იაპონური გიგანტის წილი 5 პროცენტს გაუტოლდა. დეტროიტის ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო ავტოშოუზე, "კომპანიის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 2005 წელს დაგეგმილია ძველ კონტინენტზე 980 000 ავტომობილის რეალიზება.

სხვათა შორის, ევროპაში "ტოიოტას" ავტომობილები ყველაზე დიდი პოპულარობით დიდ ბრიტანეთში სარგებლობენ, სადაც ამ მარკით შარშან სულ 138 097 ავტომობილი გაიყიდა. ბრიტანეთს მოჰყვებიან იტალია, გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი.

"ფერარის" რეკორდი

სპორტული სუპერავტომობილების მწარმოებელმა იტალიურმა კომპანია "ფერარიმ" გამოაცხადა, რომ 2004 წელს 4900 ავტომობილი გაყიდა, რითაც 1.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. ამასთან, გაყიდვების მოცულობა მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს იმ მარტივი მიზეზის გამო არ მოხდა, რომ დოლართან მიმართებაში ევროს კურსი განუხრელად იზრდებოდა, რამაც აშშ-ის ბაზარზე იმპორტის შემცირება გამოიწვია.

"ფერარის" მიერ შარშან რეალიზებული ავტომობილების რაოდენობის მესამედი სწორედ ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე მოდის, სადაც წელს კომპანია კიდევ ორი სადილერო პუნქტის გახსნას აპირებს. ორივე პუნქტი ლას ვეგასში გაიხსნება და მარანელოელები იმედოვნებენ, რომ ამით კიდევ უფრო გაზრდიან თავიანთ გაყიდვებს აშშ-ში.

ცნობისათვის, "ფერარის" მიერ 2003 წელს, მთელ მსოფლიოში რეალიზებული ავტომობილების რაოდენობამ 4238 შეადგინა, საიდანაც კომპანიამ 1.26 მილიარდი ევრო შემოსავალი და 32 მილიონი ევრო სუფთა მოგება მიიღო.

უნდა ითქვას, რომ ვალუტის კურსების ცვალებადობის მიუხედავად, აშშ-ში გაყიდვების მოცულობა "ფერარიმ" მაინც 4 პროცენტით გაზარდა. თუმცა, მსოფლიოს სხვა რეგიონებში ზრდა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, იაპონიაში ამ მაჩვენებელმა 38 პროცენტი შეადგინა, ბრიტანეთში - 19, საფრანგეთში კი - 14.

მსოფლიოს ბაზარზე მარანელოელთა საქმიანობის გააქტიურება რამდენიმე ახალი მოდელის გაყიდვების დაწყებამ გამოიწვია. კერძოდ, ბაზარზე გამოჩნდა ყველაზე გაყიდვადი "ფერარი" - კუპე 360, ელეგანტური "612 სპალიეტი" და F430. ამასთან, წლეულს კომპანია კიდევ რამდენიმე ახალი ავტომობილის გამოშვებას აპირებს და, რა თქმა უნდა, გაყიდვების შემდგომ ზრდასაც იმედოვნებს.

"ვოლვო" მცირე სედანს ამზადებს

შვედურმა კომპანია "ვოლვომ", რომელიც "ფორდის" ჯგუფში შედის, გამოაცხადა, რომ მომავალი წლიდან მის სამოდელო გამაში გამოჩნდება ახალი მცირეგაბარიტიანი ავტომობილი, რომელმაც დაახლოებით მეოთხედით უნდა გაზარდოს მარკის გაყიდვების მოცულობა.

დეტროიტში "ვოლვოს" მთავარმა აღმასრულებელმა ჰანს-ოლოვ ოლსონმა გამოაცხადა, რომ ასეთი ავტომობილის გაყიდვები 2006 წლის ბოლოდან დაიწყება. კომპანია წინასწარ არაფერს ამბობს ახალი ავტომობილის სავარაუდო ფასის შესახებ. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ის C30 აღნიშვნას მიიღებს და საშუალო ზომის სედან S40-ზე 20 სანტიმეტრით მოკლე იქნება.

ოლსონის თქმით, ახალი ავტომობილი დიზაინის ელემენტებსა და აგრეგატების ნაწილს მიიღებს კონცეპტუალურ მოდელ 3CC-სგან, რომელიც პირველად შვედებმა პარიზის შარშანდელ ავტოსალონზე წარადგინეს, ამერიკელებს კი დეტროიტში უჩვენეს.

უნდა ითქვას, რომ "ფორდის" ჯგუფში შემავალ არაამერიკულ კომპანიათაგან "ვოლვოს" ყველაზე წარმატებული ბიზნესი აქვს. შვედური ავტომწარმოებელი გაერთიანებულია "ფორდის" სპეციალურ დივიზიონში, სახელად "პრემიუმ ოტომოტივ გრუპ", რომელშიც "ვოლვოს" გარდა ირიცხება სამი ინგლისური კომპანია - "ლენდ როვერი", "იაგუარი" და "ასტონ მარტინი", შვედური "ვოლვო" და ორი ამერიკული კომპანია - "ლინკოლნი" და "მერკური".

"ვოლვოს" გაყიდვები შარშან აშშ-ში 3.2 პროცენტით გაიზარდა და 139 384 ავტომობილი შეადგინა. შვედური კომპანიის ნაწარმიდან ჩრდილოეთ ამერიკაში იყიდება S40 და S60, ასევე უგზოობის XC90, რომელიც ხისტ კონკურენციას უწევს გერმანული კომპანიების, "მერსედეს-ბენცისა" და "ბეემვეს" შესაბამის პროდუქციას.

"პანარს" სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი შეისყიდის

ფრანგულმა საავტომობილო კონცერნმა "PSA პეჟო-სიტროენმა" გადაწყვიტა, გაყიდოს მის შემდგენლობაში მყოფი კომპანია "პანარი", რომლის ყიდვის სურვილი უკვე გამოთქვა სამხედრო ავტომობილების მწარმოებელმა კომპანია "ოვერლანდმა".

აღსანიშნავია, რომ "პანარიც" ახლა სამხედრო ტექნიკას აწარმოებას, წინა საუკუნის დასაწყისში კი მსოფლიოში მეტად პრესტიჟული ავტომობილების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული.

"პანარმა" ბოლო მსუბუქი ავტომობილი 1967 წელს გამოუშვა, რის შემდეგაც სამხედრო ტექნიკაზე გადაერთო და დღემდე აწარმოებს ევროპაში გავრცელებულ ისეთ ჯავშნიან ავტომობილებს, როგორებიცაა VBL, ERC და VLTT P4. ამ ავტომობილებს მეტწილად საფრანგეთის არმია და ევროპის სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები ყიდულობენ. "პანარის" შეძენის შემდეგ, "ოვერლანდი" გახდება მსუბუქი სამხედრო ტექნიკის უმსხვილესი მწარმოებელი ევროპის მასშტაბით.

რაც შეეხება "პანარს", მისი ისტორია სათავეს 1840 წლიდან იღებს, როცა რენე პანარმა და ემილი ლევასომ ხის გადამუშავებელი ჩარხების წარმოება დაიწყეს. 1870 წელს მათ მიიღეს "დაიმლერის" ბენზინის ძრავების წარმოების ლიცენზია და დაიწყეს ძრავებით "პეჟოს" უზრუნველყოფა. 1890 წლიდან კომპანია თავადვე შეუდგა ავტომობილების წარმოებას და ამ ბიზნესში შესამჩნევ წარმატებებსაც მიაღწია.

ესპანეთმა 3 მილიონი ავტომობილი აწარმოა

ესპანეთის ავტომწარმოებელთა ეროვნული ასოციაციის განცხადებით, 2004 წლის განმავლობაში, ქვეყანაში განლაგებულმა ავტოქარხნებმა საერთო ჯამში 3 მილიონზე მეტი ავტომობილი და პიკაპი აწარმოეს, რაც დაახლოებით 0.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

ამგვარად, ესპანეთმა შეინარჩუნა ევროპის ბაზარზე მესამე, მსოფლიოში კი მეშვიდე უდიდესი ავტომწარმოებელი ქვეყნის სტატუსი.

სულ ესპანეთის ქარხნებში დამზადდა 2.40 მილიონი მსუბუქი ავტომობილი, რაც წინა წელთან შედარებით 0.1 პროცენტით მეტია. გარდა ამისა, გამოშვებულ იქნა 562 667 ცალი ინდუსტრიული მანქანა და ოთხივე წამყვანთვლიანი 46 240 ცალი უგზოობის ავტომობილი, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 6.4 პროცენტით ნაკლებია.

უნდა ითქვას, რომ ესოდენ მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა იმის მიუხედავად, რომ წარმოების ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო დეკემბერში, რადგან წლის ბოლო თვეში ესპანეთში ჩვეულებრივზე ნაკლები სამუშაო დღეა.

წარმოებული ავტომობილების დაახლოებით 18 პროცენტი იყიდება ესპანეთის ბაზარზე, დანარჩენი 82 პროცენტი კი ევროგაერთიანების ქვეყნებში გადის ექსპორტზე.

"ფორდ GT" ევროპელი მყიდველისთვის



"ფორდმა" თავის კუთვნილ უიქსომის ქარხანაში დაიწყო სუპერავტომობილ "ფორდ GT-ს" წარმოება, რომელიც ევროპულ ბაზარზე საექსპორტოდ იქნება განკუთვნილი. სუპერავტომობილის ევროპული ვერსიის ღირებულება 177 ათასი ევრო იქნება, თითქმის 70 ათასით მეტი, ვიდრე აშშ-ის ბაზარზე ღირს.

ევროპული ბაზრისთვის სულ 101 GT-ს აწყობაა ნავარაუდები, რომლებიც ოდნავ განსხვავებული იქნებიან ამერიკული ვარიანტისგან. კერძოდ, ისინი მიიღებენ ევროპული სტანდარტების შესაბამის, გამოსაბოლქვი აირების კატალიზურ ნეიტრალიზატორს, გადამრთველების მოდერნიზებულ ბლოკს და სპიდომეტრს, რომელზეც დატანილ იქნება აღნიშვნები კმ/სთ-ებში (მლ/სთ-ის ნაცვლად).

სხვა მხრივ, საევროპოდ განკუთვნილი GT-ც აღიჭურვება მექანიკური დამჭირხნიანი 8-ცილინდრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრე 550 ცხენის ძალაა. სხვათა შორის, ამ აგრეგატით, ავტომობილმა არცთუ დიდი ხნის წინ, იტალიის ავტოდრომ "ნარდოზე" თავისი კლასის სპორტული ავტომობილებისათვის სიჩქარის ახალი რეკორდი დაამყარა - 328 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

პრეზიდენტის ახალი "კადილაკი"

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში აშშ-ის ავტობაზარზე სულ უფრო მეტი უცხოური სედანი იყიდება, ლუქსის კლასის სეგმენტში უდავო ლიდერობას კვლავაც ინარჩუნებს ამერიკული პროდუქტი მარკით "კადილაკი". ეს მარკა კეთილდღეობის ამერიკულ სიმბოლოდ ითვლება და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს იანკთა შორის, თუმცა დროთა განმავლობაში, შეინიშნება ტენდენცია იმისა, რომ ამ მარკის ავტომობილებს უფრო ხნიერი ადამიანები ყიდულობენ, ახალგაზრდობა კი "მერსედესზე", "ლექსუსსა" და "ბეემვეზე" აკეთებს აქცენტს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 19 წლის განმავლობაში, ამერიკის ლუქსის კლასის ავტომობილების სეგმენტის თითქმის ნახევარი "კადილაკ დევილს" უპყრია ხელთ, ავტომობილს, რომელსაც ახლა შეცვლის დრო დაუდგა.

და აი, წლის დასაწყისში, "დევილის" შემცვლელის, მდიდრულ სედან DTS-ის დებიუტი შედგა. დებიუტიცაა და დებიუტიც, ახალი ავტომობილი პირველმა თვით აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯორჯ ვაშინგტონ ბუშმა გმოსცადა საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე. ოღონდ, მის სამსახურში ჩადგა DTS-ის დაჯავშნული მოდიფიკაცია მაჯის სისქის შუშებით და არა ის ავტომობილი, რომლის ყიდვის საშუალება მალე ნებისმიერ წარმატებულ ბიზნესმენს ექნება.

გარეგნულად DTS ბევრი რამით ჰგავს თანამედროვე "კადილაკებს", რომლებისგანაც ერთგვარად კონსერვატიული დიზაინით გამოირჩევა. ვიწრო უკანა, წვრილი მაშუქებით კი ეს ავტომობილი კლასიკურ ამერიკულ ავტომობილებსაც მოგვაგონებს. სედანს წინა წამყვანი თვლები აქვს და იგი აგრძელებს "კადილაკის" სტრატეგიას - ერთადერთი მოდიფიკაცია საერთო ინტერიერითა და ექსტერიერით, მაგრამ მდიდრული აღჭურვილობით და ოპციების სიმრავლით. და კიდევ, წარსულს ჩაბარდება სახელი "დევილ", მას კი აბრევიატურა DTS შეცვლის (გერმანული და იაპონური კონკურენტი ავტომობილების სახელებიც ხომ უბრალო აბრევიატურებია).

სედანი DTS აღჭურვილია მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული "ნორთსტარის" სერიის 4.6-ლიტრიანი V8 ძრავით, რომელიც აგრეგატირებულია "ჰიდრა-მატიკის" სერიის 4-საფეხურიან, ავტომატურ გადაცემათა კოლოფ 4T80-E-თან. "ნორთსტარის" ძრავი ორი კონფიგურაციისაა. ერთის საწარაუდო სიმძლავრეა 290 ცხ.ძალა და მისი სახელწოდებაა L37, მეორეს კი LD8-დ მოიხსენიებენ და მისი სიმძლავრე 275 ცხ.ძალა იქნება.

ავტომობილის საფუძვლად აღებულია "დევილის" მნიშვნელოვნად მოდერნიზებული პლატფორმა, რომელიც მოწოდებულია, მძღოლსა და მგზავრებს მგზავრობის კომფორტული პირობები შეუქმნას. აქ ყველაფერი კომფორტს ექვემდებარება სალონის გაწყობიდან დაწყებული, მუხრუჭებით, დაკიდების სისტემითა და საჭით დამთავრებული. პლატფორმის მთავარი ნაწილია მისი წინა სეგმენტი, სადაც ძრავი თავსდება. ძრავს საკუთარი ჩარჩო აქვს, რომელიც აგრეგატთან ერთად უერთდება შასის. თავის მხრივ, ავტომობილის წინა საკიდარიც ძრავის ჩარჩოსთანაა დაკავშირებული და მასთან ერთად მონტაჟდება ძირითად მზიდ ელემენტზე. სხვათა შორის, მსგავსი შეთანწყობა ხშირად გამოიყენება სარბოლ ავტომობილებში, რაც ზრდის მზიდი ელემენტის სიხისტეს.

მოდერნიზაცია გაიარა "დევილის" წინა საკიდარმაც, სადაც გამოყენებულია ელექტრონიკის მიერ კონტროლირებადი ელექტროპნევმატური ამორტიზატორები. მასთან დაკავშირებულია სისტემა "მაგნეტიკ რაიდ კონტროლი", რომელიც საჭიროებისამებრ ცვლის ამორტიზატორის სიხისტეს.

სედანი "კადილაკ DTS" აღჭურვილია მძლავრი მუხრუჭებით, ექსტრემალური დამუხრუჭების დამხმარე სისტემით, საკურსო მდგრადობის სისტემით, ტრექშნ კონტროლით, მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო ოთხარხიანი სისტემით. ავტომობილი დგას 17-დუიმიან თვლებზე, მაგრამ მყიდველს 18-დუიმიანი თვლების შეკვეთის საშუალებაც ექნება.

სტანდარტულ ეკიპირებაში შედის უსაფრთხოების ექვსი პნევმობალიში, რომლებიც ორ საფეხურად მოქმედებენ და ამით იზრდება მათი ეფექტურობა. სხვათა შორის, "კადილაკმა" პირველმა გამოიყენა ამბილებში, რაც ზრდის მზიდი ელემენტის სიხისტეს.

მოდერნიზაცია გაიარა "დევილის" წინა საკიდარმაც, სადაც გამოყენებულია ელექტრონიკის მიერ კონტროლირებადი ელექტროპნევმატური ამორტიზატორები. მასთან დაკავშირებულია სისტემა "მაგნეტიკ რაიდ კონტროლი", რომელიც საჭიროებისამებრ ცვლის ამორტიზატორის სიხისტეს.

სედანი "კადილაკ DTS" აღჭურვილია მძლავრი მუხრუჭებით, ექსტრემალური დამუხრუჭების დამხმარე სისტემით, საკურსო მდგრადობის სისტემით, ტრექშნ კონტროლით, მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო ოთხარხიანი სისტემით. ავტომობილი დგას 17-დუიმიან თვლებზე, მაგრამ მყიდველს 18-დუიმიანი თვლების შეკვეთის საშუალებაც ექნება.

სტანდარტულ ეკიპირებაში შედის უსაფრთხოების ექვსი პნევმობალიში, რომლებიც ორ საფეხურად მოქმედებენ და ამით იზრდება მათი ეფექტურობა. სხვათა შორის, "კადილაკმა" პირველმა გამოიყენა ამგვარი, ორსაფეხურიანი პნევმო-ბალიშები, რომლებიც მოგვიანებით ყველა მის კონკურენტ ავტომობილზეც გამოჩნდა. "ჯენერალ მოტორსის" მიერ დაპატენტებული ტექნოლოგიით, ავარიისას იბერება მომცრო, ან დიდი ზომის ბალიში, რაც ავარიის ხარისხზეა დამოკიდებული, ამას კი ავტომობილის ელექტრონული "ტვინი" განსაზღვრავს. ამ ბალიშებიდან ღრმას ადამიანისთვის ტრავმის მიყენებაც შეუძლია. ამიტომ, "ტვინი" მცირე ინციდენტების დროს მისი გამოყენებისგან თავს შეიკავებს.

DTS-ის წარმოება დაევალება დეტროიტში მდებარე "ჰამტრეკის" ამწყობ ქარხანას. პირველი DTS "კადილაკის" სადილერო ქსელში წლეულს, შემოდგომაზე გამოჩნდება. აშშ-ისა და კანადის გარდა, ამ ავტომობილს მიიღებენ "კომპანიის" მექსიკელი, ტაივანელი, კორეელი, იაპონელი, საუდის არაბეთისა და კუვეიტის დილერები. ავტომობილის ფასი მისი მსოფლიო დებიუტის დროს, სავარაუდოდ, ფრანკფურტის წლევანდელ ავტოსალონზე გამოცხადდება.

განახლებული "შვიდიანი" სადებიუტოდ მზადაა

ჯერ კიდევ სამი წლის წინ, როცა გერმანულმა კომპანია "ბეემვემ" ბაზარზე გამოუშვა თავისი ფლაგმანის, მე-7 სერიის სედანის მეხუთე თაობის მოდელი, ბევრმა ეს ავტომობილი, უფრო სწორად, მისი დიზაინი გააკრიტიკა მეტისმეტი ავანგარდულობის გამო. მაშინ ბავარიელებმა კრიტიკა აინუნშიც არ მიიღეს და ავტომობილის დებიუტიც შედგა. და... სკეპტიკოსთა გასაკვირად, ისევე კარგად იყიდება, როგორც მისი კონსერვატიული წინამპარი.

თუმცა, ახლა სხვა დროა - სადაცაა ბავარიელთა მთავარი კონკურენტი "მერსედეს-ბენცი", თავის ფლაგმანს, S-კლასის სედანს განაახლებს, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მე-7 სერიის გაყიდვებზე. ამასთან, სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება კიდევ ერთი გერმანელი კონკურენტის, "აუდის" ფლაგმანი A8. ჰოდა, ბავარიელებმაც წინასწარ დაიჭირეს თავი დარიგი და სანამ შტუდტგარტელები თავიანთ სიახლეს წარუდგენდნენ საზოგადოებას, თავად განაახლეს თავიანთი მედროშე.

პირველ რიგში, ავტომობილს ჩაუტარდა სრულფასოვანი ფისლიფტინგი (გარეგნობის შეცვლა) - სედანის წინა ნაწილმა უფრო მომრგვალებული ფორმები მიიღო, შეიცვალა ბამპერები, სიგანეში "გაიწელა" რადიატორი, მაშუქები უფრო "მკაცრი" მოყვანილობისა გახდა. უკანა ნაწილი ახლა აღარ ტოვებს "სიმძიმის" შთაბეჭდილებას. მთლიანობაში, ავტომობილის დიზაინი უფრო დაიხვეწა და ბავარიული კომპანიისთვის შესაფერისად, "პრაგმატული" გახდა.

თითქმის არ შეცვლილა ინტერიერი. სამაგიეროდ, საგრძნობლად მრავალფეროვანი გახდა მისი საბაზო აღჭურვილობა - განახლებული 7-იანი აღიჭურვება ქსენონის მაშუქებით, ორსაფეხურიანი სტოპ-სიგნალებით (მუხრუჭის სატერფულზე დაწოლის ძალის მიხედვით, მათი ნათების ინტენსივობაც იცვლება), ნავიგაციის სისტემითა და ტელეფონით. დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ადაპტური მაშუქებას დაყენებაც, რომლებიც გზას იმ მიმართულებით ანათებენ, საითაც ავტომობილს საჭე მიმართავს.

გაცილებით სერიოზული ცვლილებებია კაპოტქვეშ. მოდერნიზაცია არ განუცდია ერთადერთ ძრავს. ესაა V12, რომლითაც აღჭურვილია ვერსია 760i (445 ცხ.ძალა). სამაგიეროდ, გამოჩნდება შემდეგი ახალი ვერსიები: 750i/Li (4.8 ლიტრი, 360 ცხ.ძალა), 740i/Li (4 ლიტრი, 306 ცხ.ძალა), 745i/Li (4.4 ლიტრი, 333 ცხ.ძალა) და 735i/Li (36 ლიტრი, 272 ცხ.ძალა). დიზელისძრავიან ვერსია 740d-ს (3.9 ლიტრი, 258 ცხ.ძალა) შეცვლის ვერსია 745d, რომელსაც კაპოტქვეშ განლაგებული აქვს ალუმინის ბლოკიანი V8 აგრეგატი, რომლის მუშა მოცულობაა 4.4 ლიტრი, სიმძლავრე კი - 300 ცხ.ძალა.

შენარჩუნებულია, ასევე, 6-ცილინდრიანი, 3 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე დიზელის აგრეგატიანი ვერსია 730d, რომლის სიმძლავრე 13 ცხ.ძალით გაიზარდა და 231 ცხ.ძალა გახდა. ახალი ფილტრისა და პიეზოამთების წყალობით, დიზელის ყველა აგრეგატი შეესაბამება ევრო-4-ის გამკაცრებულ ეკომოთხოვნებს. განახლებულია ბენზინისძრავიანი ვერსია 730i/Li, რომელიც მიიღებს ალუმინისა და მაგნიუმის შენადნობისგან დამზადებულ ძრავს, რომლის სიმძლავრე 27 ცხ.ძალით გაიზარდა და 258 ცხ.ძალა გახდა.

რაც უფრო მძლავრია ძრავი, მით უფრო ეფექტურ სამუხრუჭე სისტემას მიიღებს შესაბამისი ვერსიის ავტომობილი. ყველა სიკეთესთან ერთად, 14 მილიმეტრით გაგანიერდა უკანა თვლების კვალი, რაც დადებითად აისახება ავტომობილის მანევრულობასა და მაღალი სიჩქარით მოძრაობისას მდგრადობაზე. გარდა ამისა, მყიდველს შესაძლებლობა ექნება, არჩევანი გააკეთოს რამდენიმე ტიპის საკიდარს შორის. ესენია: სტანდარტული, ადაპტირებადი, რომელიც მძღოლის მანერას ავტომტურად მიესადაგება, და სპორტული, რომელიც მართვის აგრესიული მანერის მქონე მძღოლებს გამოადგებათ.

ავტომობილის მსოფლიო პრემიერა ჟენევის ავტოსალონზე (რომელიც 3 მარტს იწყება) შედგება, მისი გაყიდვების დაწყების თარიღად კი ბავარიელებს 9 აპრილი აქვთ დათქმული. სავარაუდოდ, ახალი ავტომობილის საბაზო ფასი 61 500 ევრო იქნება და ის ძრავების ლიტრაჟის ზრდისა და კომპლექტაციის მრავალფეროვნების შესაბამისად გაიზრდება.

"ტოიოტა" მალე მსოფლიოს ლიდერი გახდება

რამდენად საოცარიც უნდა იყოს, ეს პროგნოზი ეკუთვნის დღეისათვის მსოფლიოს უდიდესი ავტომწარმოებლის, "ჯენერალ მოტორსის" ვიცე აღმასრულებელ რობერტ ლუცს. იგი დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია "ტოიოტას" სწრაფვის შეჩერება, გახდეს მსოფლიოს ლიდერი ავტოკომპანია.

"რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია ამის აღკვეთა, მაგრამ ამას იმ შემთხვევაშიც ვერ შევძლებთ, თუ ბაზრის ყველა სეგმენტში, სადაც ჩვენ ავტომობილებს ვყიდით, ჩვენი გაყიდვები შესამჩნევად გაიზრდება. ეს იმიტომ, რომ "ტოიოტა" წარმოუდგენელი ტემპებით ვითარდება აზიის სწრაფად მზარდ ბაზარზე, რომელსაც მალე დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიოს მასშტაბით", - ამბობს ლუცი.

"გენერლების" მეორე კაცი ამბობს, რომ მისი კორპორაცია არაა დაინტერესებული პირველობისთვის ბრძოლით. ეს რბოლა არაა, რომ ვინმეს შევეჯიბროთ. "ავტომრბოლი, ვინც ლიდეროობს, მაგრამ მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ წინ არ გაუშვას მდევარი, თავის საქმეს ცუდად აკეთებს და ადრე თუ გვიან, ლიდერობას მაინც დაკარგავს", - დასძენს ლუცი.

და მაინც, მას მიაჩნია, რომ მისი "კორპორაცია" სწორ გზას ადგას და უახლოეს მომავალში არც დათმობს ლიდერის პოზიციას. თუმცა, "დრო გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდხანს შევძლებთ ჩვენ ამ პოზიცირის შენარჩუნებას", - ამბობს ლუცი.



სანამ იაპონელები ლუცის წინასწარმეტყველებას "გაამართლებენ", მათ ამისათვის შესაბამისი საფუძველიც მოიმზადეს - აშშ-ის ბაზარზე უკან მოიტოვეს "დიდი სამეულის" მესამე, ყველაზე სუსტი წევრი "კრაისლერი" (რომელიც დაიმლერკრაისლერში შედის). დეტროიტში "ტოიოტას" მთავარ აღმასრულებელ ფუძიო ჩოს ჰკითხეს, ხომ არ აპირებს იაპონური გიგანტი "გენერლებისთვის" ლიდერის პოზიციების ჩამორთმევას, რაზეც მან მედიას მეტად თავშეკავებული პასუხი გასცა:

"ძნელი სათქმელია. გაყიდული ავტომობილების რაოდენობის ზრდა ჩვენს თვითმიზანს არ წარმოადგენს. შესაძლოა, ბევრისთვის ეს სიურპრიზი იყოს, მაგრამ ჩვენ ამაზე სულაც არ ვზრუნავთ. თუმცა, მანვე დასძინა, რომ კონკურენცია მეტოქეების ჯობნას ავალებს და "ტოიოტაც" ყველანაირად ეცდება "ჯენერალ მოტორსის" უკან მოტოვებას. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მალე მსოფლიო დომინაციისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება ლიდერობას არა აშშ-ის, ევროპისა და იაპონიის ბაზრებზე, არამედ ისეთ სწრაფ ბაზარზე, როგორიც ჩინურია, რომელსაც უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია.

ჩო ამბობს, რომ "ტოიოტას" წინსვლას ხელს ვეღარ შეუშლის პოლიტიკური ზეწოლა, რომლის წყალობითაც, 80-იან წლებში, აშშ-ში ხელოვნურად იზღუდებოდა იაპონური ავტომობილების იმპორტი. უფრო მეტიც, ახლა იაპონური კომპანიის მთავარი მიზანია, შეიქნას "ჩრდილოეთ ამერიკის ჭეშმარიტი მოქალაქე". ეს კი შესაძლებელი იქნება ინვესტიციებისა და წარმოების ზრდის, ამერიკულ პარტნიორ კომპანიებთან პარტნიორობის გაფართოების ხარჯზე.

ЛТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: КТО УБИЛ ДЖЕЙ БИ ФЛЕТЧЕР?". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Интеллектуальное признание. **10.45** Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5". **11.55** Сериал "МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". **13.35** Евгений Жариков в комедии "АРМИЯ СПАСЕНИЯ". Совместные военные учения группы белорусских войск и военных подразделений стран НАТО "Тропский конь" происходили в "особенно отличившихся" генерал отправил в наказание на забытую "стратегической трубы". Как раз этой трубой занялся американский генерал и послал спецгруппу для ее использовали различные методы для захвата. Агенты-диверсанты проникновения на объект, но каждый раз сталкивались с "непредсказуемостью" противника, которого, как оказалось, умом не понять. Американский генерал сам возглавил операцию по захвату, прибыв с "гостевым" визитом на объект. Но больше под командованием маэора сорвали диверсию. **15.35** Ток-шоу "Пришел домой". **17.30** Сериал "АДВОКАТ: ПОБЕГ". Часть 2-я. **18.35** Развлекательное происшествие. **19.40** Сериал "МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". **20.45** Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ИСЧЕЗАЮЩИЙ ВИД". Часть 2-я. **21.50** Развлекательное происшествие. **22.35** Футбол. Лига чемпионов. **01.00** Сериал "МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". **02.00** Гражданин. Публичное "РЕАЛ"- "ЮВЕНТУС". **03.00** Выпуск "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". **04.55** Остросюжетный сериал "БЕЗ СЛЕДА-II". **05.40** Развлекательное происшествие.

ЖТВ

06.00 "Сегодня утром" **09.05** Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: КТО УБИЛ ДЖЕЙ БИ ФЛЕТЧЕР?". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Интеллектуальное признание. **10.45** Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5". **11.55** Сериал "МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". **13.35** Евгений Жариков в комедии "АРМИЯ СПАСЕНИЯ". Совместные военные учения группы белорусских войск и военных подразделений стран НАТО "Тропский конь" происходили в "особенно отличившихся" генерал отправил в наказание на забытую "стратегической трубы". Как раз этой трубой занялся американский генерал и послал спецгруппу для ее использовали различные методы для захвата. Агенты-диверсанты проникновения на объект, но каждый раз сталкивались с "непредсказуемостью" противника, которого, как оказалось, умом не понять. Американский генерал сам возглавил операцию по захвату, прибыв с "гостевым" визитом на объект. Но больше под командованием маэора сорвали диверсию. **15.35** Ток-шоу "Пришел домой". **17.30** Сериал "АДВОКАТ: ПОБЕГ". Часть 2-я. **18.35** Развлекательное происшествие. **19.40** Сериал "МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". **20.45** Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ИСЧЕЗАЮЩИЙ ВИД". Часть 2-я. **21.50** Развлекательное происшествие. **22.35** Футбол. Лига чемпионов. **01.00** Сериал "МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". **02.00** Гражданин. Публичное "РЕАЛ"- "ЮВЕНТУС". **03.00** Выпуск "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". **04.55** Остросюжетный сериал "БЕЗ СЛЕДА-II". **05.40** Развлекательное происшествие.

ТВ3

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал "КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ!". **10.30** Сериал "КЛОН". **11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". **13.20** Георгий Бухров в фильме "КАДЕТКА ВОЕННОЙ ЗНАТИ" **15.20** Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУА-2". **16.20** "Пять вечеров" Встреча. **17.30** Сериал "ДВЕ СУДЬБЫ". **18.40** Сериал "КЛОН". **19.40** "Кривое зеркало". **21.00** Время. **21.30** Сериал "КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ!". **22.40** Евгений Миронов в боевике "ПЕРЕД РАССВЕТОМ". **00.20** Стивен Чоу в комедии "УБОЙНЫЙ ФУТБОЛ" **02.00** Дэнни Джемис снимает в триллере "ДВА ДНЯ В ДОЛИНЕ". После выполнения очередного заказа, киллер напарника Дасмо Пизано. Но Дасмо удается выбраться из горящий машины и остаться в живых, благодаря хорошему бронежилету. Он находит отстрадающему от почечной колики киллеру. Хозяин и пришедшие к нему киллеру становятся заложниками гости "ВЗНВ". Профессионального фильме сражения Бэйба Рутта прерода одарили редким талантом и уникальным физическим способностями. Он был любимцем всей страны и неустанно приводил в восторг стадионы. Но, несмотря потрясающими удачами. Но, несмотря на всеобщее поклонение, Бэйб не был защищен "звездной болезнью" и оставался добрым и внимательным к чужой беде. Он знал, что такое бедность, одиночество и злые насмешки. Возвращаясь на вершину бейсбольного "олимпа", Бэйб даже не помышлял о том, чтобы уйти из спорта. Он обожал "игру в мяч" и не расставался с ней, будучи даже на пороге смерти...

ТВ5

06.00, 08.00, 09.00(Шоумен), 16.00, 18.15, 20.00, 24.00 Новости. **09.30** Утренняя почта. **10.00** Сериал "Дикая роза". **11.00** Сериал "Ранчо Элизабет". **12.00** Сериал "Ранчо Элизабет". **13.00** Сериал "Ранчо Элизабет". **14.00** Сериал "Ранчо Элизабет". **15.00** Сериал "Ранчо Элизабет". **16.00** Сериал "Ранчо Элизабет". **17.00** Сериал "Ранчо Элизабет". **18.00** Сериал "Ранчо Элизабет". **19.00** Сериал "Ранчо Элизабет". **20.00** Сериал "Ранчо Элизабет". **21.00** Сериал "Ранчо Элизабет". **22.00** Сериал "Ранчо Элизабет". **23.00** Сериал "Ранчо Элизабет". **00.00** Сериал "Ранчо Элизабет". **01.00** Сериал "Ранчо Элизабет". **02.00** Сериал "Ранчо Элизабет". **03.00** Сериал "Ранчо Элизабет". **04.00** Сериал "Ранчо Элизабет". **05.00** Сериал "Ранчо Элизабет".

თეატრები

თბილისისი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
პიეტრო მასკანი
"სოფლის ღირსება"
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
მილერი
“ყველა ჩემი შვილია”
რეჟისორი: ლეო ანთაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
"ოცნება და სინამდვილე"
რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ;
ფასი: 3-5 ლარი.

კინოთეატრები

კინოს სახლი
ფრანგული ფილმების რეტროსპექტივა
დას: 19:00 სთ.

რუსთაველი
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 11:30; 14:00; 16:30; 19:00; 21:30 სთ.

ამირანი
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

გამოფენები

ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
რუსუდან ბერიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (მხატვრული ქსოვილები)

TMS
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ეროვნული გალერეა
იზა მღებრიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

ჰობი
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი
პლაკატებისა და მხატვრული ფოტოს გამოფენა
(პროექტ - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების
პრევენცია ახალგაზრდებს შორის" - ფარგლებში)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

კაილი მინოუგი ტურნეს "ბრითიშ ეარვეისით" განახორციელებს

"ბრითიშ ეარვეისი" კაილი მინოუგის Show Girl ტურნეს ოფიციალურ ავიახაზად დასახელდა. სამთვიანი ტურნეს განმავლობაში, რომელიც მარტში დაიწყება, ავიაკომპანია მსოფლიოში სახელგანთქმულ მომღერალს 23 სხვადასხვა მიმართულებით გადაიყვანს.

კაილი მინოუგი, რომელმაც უკვე რამდენიმე პლატინის დისკი ჩაწერა, ტურნეს გამართავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ევროპის ჩათვლით, ფინალური შოუ კი ავსტრალიაში ჩატარდება.

"ბრითიშ ეარვეისის" კომერციულმა დირექტორმა მარტინ ჯორჯმა აღნიშნა: "ჩვენ კაილისთან წარსულშიც გვქონდა თანამშრომლობა - ის ჩვენი მგზავრების ფავორიტია".

"ავიაკომპანიას განსაკუთრებული მისია ხვდა წილად - კაილი მინოუგის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გადაყვანა Show Girl ტურნეს კონცერტებზე; განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ კაილის გავამგზავრებთ ავსტრალიაში, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მარშრუტია".

კაილი ტურნეს შოტლანდიიდან იწყებს და ევროპაში აგრძელებს, ხოლო საბოლოოდ კონცერტებს თავისი მშობლიური ავსტრალიის ხუთ ქალაქში გამართავს.

დაწვრილებით ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ბრითიშ ეარვეისის ვებ-გვერდიდან: ba.com, სადაც ასევე განთავსებულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ბილეთების მოგება Show Girl ტურნეზე.

მინი

ლონდონში, ნაითსბრიჯის მდიდრული მაღაზიებით სავსე უბანში არის ერთი ასეთი ელიტარული მაღაზიაც - Harvey Nichols. სწორედ მისი შეკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით, გაირკვა, რომ ყველაზე საეტაპო მნიშვნელობის მქონე მოდური ატრიბუტი მინიკაბა გახლავთ. Harvey Nichols-ის სპეციალისტებმა 3.500 კლიენტი გამოკითხეს და დაადგინეს, რომ მოკლე ქვედაბოლო ყველა დროის ყველაზე მოდური გარდერობის ნაწილია.

მინი პოდიუმზე პირველად ანდრე კურეჟმა გამოაჩინა, მოდაში კი მერი კუანტმა შემოიტანა. დღეს ის მოდური გარდერობის სიმბოლოდ აღიქმება.

მეორე ადგილზე ჯინსი გავიდა, შემდეგ - მოკლე შავი კაბა, მერე - კოვბოის ჩექმა, ათეული კი ამ ატრიბუტების შემდეგი თანმიმდევრობით დააგვირგვინეს: პლატფორმის ფეხსაცმელი, პონჩო, სამხედრო შარვალი, საწვიმარი ლაბადა.

“დავადგინეთ, რომ ბრიტანელებს ძალიან დახვეწილი გემოვნება აქვთ. პირველი სამეული ისედაც, ყოველგვარი დებატების გარეშე, მართლაც, კლასიკურ სტილად ითვლება; რომელიც მოდიდან არასდროს გავა”, - აცხადებს მაღაზიის მფლობელი, ბრიტანელებს არჩევანს უწონებს და მაღაზიის თაროებს რაც შეიძლება მეტი მინიკაბით ავსებს.



რესპორანი
"დაკარგული სამოთხე"
12-დან 18 საათამდე მუშაობს ჯაფუს სტატუსით,
სადაც ნებისმიერი ჯერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის
შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული
მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ
ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.
ძმები ჯაჯაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.